

-საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე

2009, # 2

## სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილი

1. საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა
  - პირის რეაბილიტაციის შესახებ პუბლიკაციის გამოქვეყნება
  - საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევა
2. სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა
3. სამოქალაქო სამართალწარმოება
4. ბრალდებულის უფლებები
  - ბრალდებულის უფლება მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში
  - დაზარალებულთან შერიგების ფაქტის დადგენა
5. დაცვის უფლება
6. უკანონო ან დაუსაბუთებელი დაპატიმრების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება
7. შუამდგომლობის განცხადების წესი
8. უცხო სახელმწიფოს მოქალაქის ექსტრადიცია

# 1. საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა

## საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევა

### განჩინება

#-945-აპ

15 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ლ-ურის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ქ. ი-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ივნისის განაჩენზე, რომლითაც გ. ლ-ური ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა« ქვეპუნქტითა და 273-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში.

#### აღწერილობითი ნაწილი:

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 16 აპრილის განაჩენით გ. ლ-ური ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა« ქვეპუნქტითა და 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რისთვისაც, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შეკრების პრინციპით სასჯელად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2007 წლის 12 ოქტომბრიდან.

განაჩენით გ. ლ-ურს მსჯავრი დაედო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა, გადაზიდვაში, ასევე, ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებაში, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ (თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის 2007 წლის 31 აგვისტოს დადგენილებით გ. ლ-ურს ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა 500 ლარი), რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 12 ოქტომბერს, დაახლოებით 13.30 საათზე, გ. ლ-ური „ჟიგულის« მარკის ავტომანქანით, რომელსაც თვითონ მართავდა, ჩავიდა ქ. მარნეულში, შეხვდა გამოძიებით დაუდგენელ პირს, რომლისგანაც უკანონოდ შეიძინა რვა ე.წ. „ბაშად« დაფასოებული, განსაკუთრებით დიდი ოდენობით, კუსტარული წესით დამზადებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის« შემცველი მოთეთრო-მოყვითალო ფხვნილი და გრანულები, საერთო წონით -5,49165 გრამი. 2007 წლის 12 ოქტომბერს, თბილისი-მარნეული-გეგუთის გზის 27-ე კილომეტრზე დაახლოებით 15 საათსა და 30 წუთზე, როდესაც მსჯავრდებულს უკანონოდ შეძენილი ნარკოტიკული საშუალება გადაჰქონდა ქ. თბილისის მიმართულებით, იგი დააკავეს ქვემო ქართლის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა და პირადი ჩხრეკისას ჯინსის შარვლის ქამრიდან ამოუღეს რვა ე.წ. „ბაშად« დაფასოებული, კუსტარული წესით დამზადებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის« შემცველი ფხვნილი და გრანულები, საერთო წონით -5,49165 გრამი, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის« ზუსტი წონა შეადგენს განსაკუთრებით დიდ ოდენობას -3,70357 გრამს.

იმავე დღეს გ. ლ-ური შეამოწმეს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ალგეთის ნარკოლოგიურ განყოფილებაში, სადაც #3472783 დასკვნის თანახმად, დაუდგინდა „ოპიუმის« ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი, რაც ჩაიდინა განმეორებით, 2007 წლის 31 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმის -500 ლარის შეფარდების შემდეგ.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. ლ-ურის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ქ. ი-შვილმა.

მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ქ. ი-შვილმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა მარნეულის რაიონული სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანა და სასჯელის შემსუბუქება იმ საფუძველზე, რომ გ. ლ-ური გულწრფელად აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, აქვს ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა, მას აღნიშნული ნარკოტიკული ნივთიერება შეძენილი ჰქონდა მხოლოდ პირადი მოხმარების მიზნით, არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ივნისის განაჩენით მარნეულის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 16 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ გ. ლ-ურის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ქ. ი-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის

სამართლის საქმეთა პალატას. კასატორმა ითხოვა განაჩენში ცვლილების შეტანა და მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის შემსუბუქება.

**სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ მსჯავრდებულ გ. ლ-ურის ინტერესების დამცველი ადვოკატის -ქ. ი-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ივნისის განაჩენი გ. ლ-ურის მიმართ უნდა გაუქმდეს და საქმე გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის, შემდეგი გარემოებების გამო:

პალატა თვლის, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულ გ. ლ-ურის აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების -ნ. ა-ოვის, შ. შ-ძის ჩვენებებით, გ. ლ-ურის პირადი ჩხრეკის ოქმით, საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის 2007 წლის 13 ოქტომბრის # 133/სქ დასკვნით, საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ალგეთის ნარკოლოგიური გამოკვლევის #3472783 დასკვნით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის 2007 წლის 31 აგვისტოს დადგენილებით მსჯავრდებულისათვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ განაჩენი მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 6 დეკემბრის განაჩენით მსჯავრდებულ გ. ლ-ურს დანაშაულთა ერთობლიობით მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას არ გამოიკვლია საქმეში არსებული გარემოებები მსჯავრდებულების მიმართ სასჯელის დანიშვნისას, არ მისცა მათ შესაბამისი სამართლებრივი შეფასება, რითაც დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნები საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ გ. ლ-ურის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ქ. ი-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ივნისის განაჩენი გ. ლ-ურის მიმართ და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევა**

**განჩინება**

#631-აპ 21 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების -თ. და დ. ნ-შვილების ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ტ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 თებერვლის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 19 ნოემბრის განაჩენით:

თ. ნ-შვილს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტი და ამ ბრალდებაში გამართლდა.

თ. ნ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-19-177-ე მუხლის პირველი ნაწილით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ა», „ბ» ქვეპუნქტებით და მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 13 ივნისიდან.

დ. ნ-შვილს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტი და ამ ბრალდებაში გამართლდა.

დ. ნ-შვილი, ადრე ნასამართლევი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა» და „ბ» ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის „გ» ქვეპუნქტით და მიესაჯა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 7 აგვისტოდან.

სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა -თ. ნ-შვილს დაეკისრა 50 ლარის გადახდა შპს «წყალკანალის» სასარგებლოდ.

განაჩენით მსჯავრდებულების -თ. და დ. ნ-შვილების მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

დ. ნ-შვილი გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ 2004 წლის 24 ნოემბერს გაასამართლა საქართველოს სსკ-ის მე-19,177-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ» ქვეპუნქტით და მიესაჯა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ იგი 2005 წლის 19 მაისს გაასამართლა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა», „ბ», „გ» ქვეპუნქტებით და მიესაჯა 1 წლითა და 1 თვით თავისუფლების აღკვეთა.

2007 წლის 19 აპრილს მძებნი -თ. და დ. ნ-შვილები თ. ნ-შვილის კუთვნილი «ვაზ-21011» ავტომანქანით წავიდნენ ქ. გურჯაანში, ე.წ. „კალოსუბანში» მდებარე ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მიმდებარე ტერიტორიაზე ჯართის მოსაგროვებლად, რა დროსაც ბინათმშენებლობის ეზოში შენიშნეს კომპიურა ამწის სავალი ელექტრორედუქტორი და განიზრახეს მისი ფარულად დაუფლება. ამ მიზნით ისინი ფარულად შევიდნენ ორგანიზაციის ეზოში, დაეუფლნენ რედუქტორს, დაშალეს იგი და რკინის ნაწილები ჩაალაგეს თ. ნ-შვილის კუთვნილი ავტომანქანის საბარგულში, რითაც დაზარალებულ ორგანიზაციას მიაყენეს 150 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი. იმავე დღეს, ნაქურდალის გადატანისას, თ. და დ. ნ-შვილები დანაშაულის ჩადენაში ამხილეს გურჯაანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა და მათ მიერ დაშლილი და ფარულად დაუფლებული რე-დუქტორი დაუბრუნეს დაზარალებულ ორგანიზაციას.

2007 წლის 6 თებერვალს თ. ნ-შვილი თავის ძმასთან -დ. ნ-შვილთან ერთად იმყოფებოდა რა ქ. გურჯაანში, შპს „წყალკანალის» გამწმენდი ნაგებობის მიმდებარე ტერიტორიაზე, განიზრახა, ფარულად დაუფლებოდა აღნიშნული ორგანიზაციის კუთვნილ, 150 მმ დიამეტრის თუჯის სარწყავ მილს.

დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, თ. ნ-შვილმა მოატყუა თავისი ძმა -დ. ნ-შვილი, რომ დაწესებულების დირექტორთან შეთანხმებული იყო მილის ამოღების თაობაზე და სთხოვა დახმარება, რის შემდეგაც ძმასთან ერთად სცადა ფარულად დაუფლებოდა 10მ სიგრძის მილს, მაგრამ თავისი დანაშაულებრივი განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, კერძოდ: მწყემსებმა -დ. გ-შვილმა და გ. ს-შვილმა მილის ამოღების პროცესში წაასწრეს მას დანაშაულზე და ამხილეს.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 თებერვლის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

თ. ნ-შვილს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტი და ამ ბრალდებაში გამართლდა.

თ. ნ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-19,177-ე მუხლის პირველი ნაწილით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ა», „ბ» ქვეპუნქტებით და მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

დ. ნ-შვილს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტი, ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტი და ამ ბრალდებაში გამართლდა.

დ. ნ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „გ» ქვეპუნქტით და მიესაჯა 7 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა. თ. ნ-შვილს შპს «წყალკანალის» სასარგებლოდ დაეკისრა 50 ლარის გადახდა.

მსჯავრდებულების -თ. და დ. ნ-შვილების ინტერესების დამცველი, ადვოკატი ლ. ტ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულების მიმართ სისხლისსამართლებ-რივი დევნის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო, არ ემყარება უტყუარ მტკიცებულებებს; მძებნი ნ-შვილების ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო.

### ამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოებმა უგულვებელყვეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნები საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვის თაობაზე.

საქმის მასალების მიხედვით, როგორც წინასწარ გამოძიებაში, ასევე 1-ლი ინსტანციის სასამართლოში მსჯავრდებულებმა, ძმებმა - თ. და დ. ნ-შვილებმა თავი არ ცნეს დამნაშავედ კომპურა ამწის სავალი ელექტრორედუქტორის მოპარვაში, კერძოდ:

მსჯავრდებულმა თ. ნ-შვილმა განმარტა, რომ აღნიშნული რედუქტორი მან იპოვა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ეზოს გარეთ, ბარდებში უპატრონოდ დაგდებული, რომელიც ძმის - დ. ნ-შვილის დახმარებით დაშალა, გამოარჩია რკინის ნაწილები და ჩაალაგა კუთვნილ ა/მანქანაში ჯართში ჩაბარების მიზნით.

მსჯავრდებულმა დ. ნ-შვილმა თავი არ ცნო დამნაშავედ და აჩვენა, რომ რედუქტორი, რომელიც მისმა ძმამ იპოვა, იყო ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ეზოს გარეთ, ბარდებში უპატრონოდ დაგდებული. ნაპოვნი ნივთი დაშალეს, რკინის ნაწილები გამოარჩიეს და ჩაალაგეს ავტომანქანაში ჯართში ჩასაბარებლად.

მსჯავრდებულების ჩვენებების გასაბათილებლად და მათი ბრალეულობის დასადასტურებლად როგორც პირველი ინსტანციის, ასევე, სააპელაციო სასამართლოების განაჩენებში მითითებულია დაზარალებულ მ. კ-შვილის ჩვენება, რომლის თანახმად, იგი მუშაობს ქ. გურჯაანის ინდუსტრიულ-მშენებლობის უფროსად. 2007 წლის 19 აპრილს, დღის მეორე ნახევარში, შებინდებისას, იგი შევიდა ტერიტორიაზე და ნახა, რომ ღობე იყო გადაგლეჯილი და კომპურა ამწის გვერდზე არსებული ბარდები - გადათელილი. ახლო დათვალიერებისას ნახა, რომ კომპურა ამწიდან მოხსნილი იყო სავალი ნაწილის რედუქტორი.

დაზარალებულის ჩვენებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, რომ ღობე იყო გადაგლეჯილი და კომპურა ამწის გვერდზე არსებული ბარდები - გადათელილი, წინააღმდეგობაში მოდის საქმეში არსებული შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმთან, რომლის თანახმად, დაწესებულების კუთვნილ ეზოში დგას ე.წ. «კრანი», რომელზეც, დაზარალებულის განმარტებით, დამაგრებული იყო რკინის რედუქტორი. დაწესებულების ეზო, ისევე, როგორც ეზოს გარე ტერიტორია, მოუვლელი და ბუჩქნარით დაფარულია. აღნიშნული «კრანიდან» დიდი ორფრთიანი ჭიშკარი მოშორებულია 30 მეტრით, ხოლო დაწესებულების ეზოს შემოვლელული აქვს კედელი, რომელიც მთლიანად ბარდებშია გახვეული. ბინათმშენებლობის ღობის სიმაღლეა 120 სმ. მისგან ის ბუჩქები, სადაც რედუქტორი ეგდო და გაკაფულიც ეტყობა, დაშორებულია 3 მეტრით. ამდენად, შემთხვევის ადგილზე არ იქნა ნანახი «გადაგლეჯილი ღობე და კომპურა ამწის გვერდზე არსებული ბარდები - გადათელილი».

მსჯავრდებულების - დ. და თ. ნ-შვილების განმარტებით, რედუქტორი ეგდო ბუჩქებში, იყო მძიმე, მას 5-6 კაციც ვერ აწევდა, ამიტომ ადგილზევე დაშალეს და ისე ჩადეს საბარგულში.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საბრალდებო დასკვნით დადგენილი გარემოება, რომ მსჯავრდებულებმა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ეზოში შენიშნეს რედუქტორი, დაეუფლნენ მას, დაშალეს იგი და რკინის ნაწილები ჩაალაგეს საბარგულში, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია დაზარალებულის ჩვენებით და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, მაშინ, როდესაც საქმეზე არ არის გარკვეული, რა სიმძიმის იყო რედუქტორი, მსჯავრდებულები შეძლებდნენ თუ არა მის მოხსნას ამწეკრანიდან და გატანას ეზოს გარეთ. ამასთან, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ეზოში არ იქნა ნანახი არანაირი კვალი. მხოლოდ ბინათმშენებლობის ღობიდან 3 მეტრის მოშორებით ნანახ იქნა ბუჩქები, სადაც რედუქტორის ნაღები და გაკაფული ეტყობა.

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებული პრეტენზია საფუძვლიანია გამოძიებისა და სასამართლოს მიმართ იმასთან დაკავშირებით, რომ არც გამოძიებას და არც სასამართლოს არ აღმოუფხვრიათ საქმეში არსებული წინააღმდეგობები, არ შემოწმებულა მსჯავრდებულების მიერ ბრალდების გასაბათილებლად გამოთქმული მოსაზრებანი და მხოლოდ წინააღმდეგობრივი მტკიცებულებების საფუძველზე იქნა გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 თებერვლის განაჩენი თ. ნ-შვილისა და დ. ნ-შვილის მიმართ უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

ამდენად, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, ხელახალი სასამართლო განხილვის დროს, კიდევ ერთხელ გულდასმით უნდა შემოწმდეს და გამოკვლეულ იქნეს საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება, აღმოიფხვრას მათ შორის არსებული წინააღმდეგობები და მხოლოდ ამის შემდეგ ერთობლივად უნდა შეფასდეს გამოკვლეული მტკიცებულებების და ამის საფუძველზე მიღებულ იქნეს კანონიერი სასამართლო გადაწყვეტილება.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 თებერვლის განაჩენი თ. და დ. ნ-შვილების მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევა**

**განჩინება**

#720-აპ

24 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**

**ლ. მურუსიძე,**

**დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ჯ. ჯ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. ქ-ავას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 31 მარტის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 28 დეკემბრის განაჩენით ჯ. ჯ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით -10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით -6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -1000 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; მასვე დაეკისრა ჯარიმა -1000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ჯ. ჯ-ის სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 2 ოქტომბრიდან.

«ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 და მე-3 მუხლების თანახმად, მსჯავრდებულ ჯ. ჯ-ის ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალებების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო დაწესებულებებში -საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება 5 წლის ვადით.

განაჩენით მსჯავრდებულ ჯ. ჯ-ის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ჯ. ჯ-იამ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა დიდი ოდენობით - 0,152 გრამი ნარკოტიკული საშუალება «ჰეროინი», რომელსაც ასევე უკანონოდ ინახავდა შარვლის მარცხენა ჯიბეში, რაც 2007 წლის 2 ოქტომბერს მისგან პირადი ჩხრეკის შედეგად ამოიღეს ზუგდიდის რაიონული სამმართველოს პოლიციის მუშაკებმა.

მანვე დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა დანიშნულებისამებრ გასროლისათვის ვარგისი, 18 ცალი, 7,62 მმ-იანი კალიბრის საბრძოლო ვაზნა და დანიშნულებისამებრ აფეთქებისათვის ვარგისი «პინეპულ» ხელყუმბარა კაფსულ-დეტონატორით, რომლებიც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ შეინახა თავისი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე არსებულ საძინებელ ოთახში, რაც 2007 წლის 2 ოქტომბერს მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოიღეს ზუგდიდის რაიონული სამმართველოს პოლიციის მუშაკებმა.

აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 31 მარტის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

ჯ. ჯ-ია საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა.

ჯ. ჯ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

«ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 და მე-3 მუხლების თანახმად, მსჯავრდებულ ჯ. ჯ-ის 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალებების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო დაწესებულებებში –საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება.

მსჯავრდებულ ჯ. ჯ-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი თ. ქ-ავა საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და ჯ. ჯ-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; განაჩენს საფუძვლად დაედო კრიმინალური ქმედებით შენიღბული პოლიტიკური მოტივი და სასამართლომ პროკურატურის ზეგავლენით, საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით, მტკიცებულებათა ობიექტური შეფასებისა და გამოკვლევის გარეშე, ვარაუდებისა და მოსაზრებების საფუძველზე, დაუშვებელ მტკიცებულებათა ბაზაზე დაადგინა გამამტყუნებელი განაჩენი.

სააპელაციო სასამართლომ ჯ. ჯ-ის მოუხსნა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით შერაცხული ბრალდება, თუმცა, უფრო მეტი მტკიცებულებები გააჩნდა სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილით შერაცხული ბრალდების მოსახსნელად, კერძოდ:

ჯ. ჯ-ია წლების მანძილზე მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. ადრე ნასამართლევი არ ყოფილა, რაც თავისთავად იმასაც ნიშნავს, რომ იგი ნარკოტიკების მომხმარებელი არასოდეს ყოფილა, წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ მაკომპრომეტებელი მასალები შესაბამის სამსახურებს 2007 წლის 2 ოქტომბრამდე ექნებოდათ. საქმეში მოიპოვება ზუგდიდის რაიონული სამმართველოს კრიმინალური პოლიციის განყოფილების უფროსის -გ. კ-ის პატაკი, რომელშიც იგი წერს, რომ მიღებული აქვს ინფორმაცია ჯ. ჯ-იაზე, როგორც ნარკომომხმარებელზე. ამავე პატაკში იგი უთითებს, რომ ჯ. ჯ-ია იმყოფება ქ. ზუგდიდში, თან აქვს ნარკოტიკული საშუალება და, ასევე სახლშიც ინახავს ნარკოტიკულ საშუალებას. პატაკი დათარიღებულია 2007 წლის 2 ოქტომბრით. ამ პატაკის საფუძველზე 2 ოქტომბერს, 11 საათსა და 30 წუთზე, ქ. ზუგდიდში, კოსტავას ქუჩაზე, დააკავეს ჯ. ჯ-ია. სამსჯავრო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვისას გ. კ-იამ აჩვენა, რომ მას პატაკზე თარიღი არ გადაუსწორებია; არ იცის, თუ ვის მიერაა თვის აღმნიშვნელი თარიღი „09» გადაკეთებული „10»-ად. მანვე განმარტა, რომ პატაკი შეადგინა ზუსტად იმ დღეს, როცა მოხდა ჯ. ჯ-ის დაკავება, ე.ი. 2007 წლის 2 ოქტომბერს; ამავე დროს, გ. კ-ის პატაკი ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში რეგისტრაციაში გატარებულია 2007 წლის 2 სექტემბერს, დაკავებამდე ერთი თვით ადრე, რაც დასტურდება სარეგისტრაციო შტამზე დასმული თარიღით.

სახელმწიფო ბრალმძებელმა ვერც პირველი ინსტანციისა და ვერც სააპელაციო სასამართლოებში ვერ წარადგინა ვერავითარი არგუმენტი იმის თაობაზე, თუ რატომაა კ-ის პატაკი რეგისტრაციაში გატარებული მის დაკავებამდე ერთ თვით ადრე -2007 წლის 2 სექტემბერს.

აშკარაა, რომ გაყალბებული დოკუმენტი წარმოადგენს დაუშვებელ მტკიცებულებას და თანახმად საქართველოს სსკ-ის 111-ე მუხლისა, ამ მტკიცებულების საფუძველზე შექმნილი «მტკიცებულებები» არ შეიძლება დაედოს საფუძვლად ბრალდებას. აშკარაა, რომ პოლიციის მუშაკები ჯ. ჯ-ის წინასწარ უთვალთვალებდნენ და ეძებდნენ ხელსაყრელ მომენტს მისი დაკავებისათვის, რისთვისაც საქმის ფორმალური მხარეები წინასწარ ჰქონდათ გათვლილი და მოგვარებული.

საქმეში მოთავსებულია ჯ. ჯ-ის პირადი ჩხრეკის ოქმი. მასში აღნიშნულია, რომ პირადი ჩხრეკის დაწყების წინ ჯ. ჯ-ის მიეცა გონივრული ვადა, არანაკლებ ერთი საათისა, დამსწრეთა მოწვევის შესახებ, რაზედაც მან, თურმე, უარი განაცხადა.

სამსჯავრო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა პოლიციის მუშაკებმა: გ. კ-იამ, ი. ს-ავამ და ე. მ-ძემ უჩვენეს, რომ მათ ქ. ზუგდიდში, კოსტავას ქუჩაზე დააკავეს ჯ. ჯ-ია, წააქციეს იგი, რადგანაც გაქცევა უნდოდა და ხელბორკილი დაადეს.

აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ ჩხრეკის ოქმში დამსწრეთა მოწვევის თაობაზე ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ ჯ-იამ დამსწრეთა მოწვევაზე უარი განაცხადა, უაზრო ფორმალურობაა, რადგან ძნელი წარმოსადგენია, თანაც კომიკური, რომ ბორკილდადებულმა პირმა ქალაქში ერთსაათიან გონივრულ ვადაში ეძებოს დამსწრე, რომელიც დაუდასტურებს რაიმე ფაქტს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გა-საჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოებმა უგულვებელყოვეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნები საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვის თაობაზე.

საქმის მასალების მიხედვით, საქმის მესამე ფურცელზე მოთავსებულია ზუგდიდის რაიონული სამმართველოს კრიმინალური პოლიციის განყოფილების უფროსის -გ. კ-ის პატაკი, რომელშიც იგი წერს, რომ მიღებული აქვს ინფორმაცია ჯ. ჯ-იაზე, როგორც ნარკომომხმარებელზე. ამავე პატაკში იგი უთითებს, რომ ჯ. ჯ-ია იმყოფება ქ. ზუგდიდში, თან გააჩნია ნარკოტიკული საშუალება და ასევე

სახლშიც ინახავს ნარკოტიკულ საშუალებას. პატაკი დათარიღებულია 2007 წლის 2 ოქტომბრით. ამ პატაკის საფუძველზე 2 ოქტომბერს, 11 საათსა და 30 წუთზე, დააკავეს ჯ. ჯ-ია. პატაკში თვის აღმნიშვნელი თარიღი, კერძოდ «09» გადაკეთებულია «10»-ად მაშინ, როცა პატაკი რეგისტრაციაში გატარებულია 2007 წლის 2 სექტემბერს. გ. კ-იამ სამსჯავრო სხდომაზე განაცხადა, რომ მან პატაკი დაწერა 2 ოქტომბერს, ხოლო ვინ გადაასწორა პატაკზე თარიღი, არ იცის. მანვე აღნიშნა, რომ პატაკი შეადგინა ზუსტად იმ დღეს, როცა ჯ. ჯ-ია დააკავეს, ე.ი. 2007 წლის 2 ოქტომბერს.

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმის განმხილველმა სასამართლომ უკრიტიკოდ გაიზიარა პოლიციის მუშაკის -გ. კ-იას ჩვენება, რომ, თუ მათ ჯ. ჯ-ია ოქტომბერში დააკავეს, პატაკი როგორ უნდა გატარებულიყო სექტემბერში, ეს უბრალოდ არის შეცდომა და სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა, რომლითაც ითხოვდნენ სარეგისტრაციო ჟურნალის გამოთხოვასა და დათვალიერებას, რათა ამ გზით გარკვეულიყო, თუ როდის მოხდა გ. კ-იას პატაკის რეგისტრაციაში გატარება -2 სექტემბერს თუ 2 ოქტომბერს.

მოცემულ შემთხვევაში დაირღვა დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირისათვის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები, ასევე, ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპი, როგორცაა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი. აღნიშნული კი იმაზე მიუთითებს, რომ არ შემოწმებულა დაცვის მხარის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა საქმის ფაქტობრივი გარმოებების სწორად დადგენასა და საბოლოოდ -საქმის შედეგზე, რის გამოც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 31 მარტის განაჩენი ჯ. ჯ-იას მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

ამდენად, საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, ხელახალი სასამართლო განხილვის დროს, უნდა იქნეს გამოთხოვილი და დათვალიერებული რეგისტრაციის ჟურნალი, კიდევ ერთხელ გულდასმით უნდა შემოწმდეს საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოხდეს კანონიერი სასამართლო გადაწყვეტილების მიღება.

განხილული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივრის მოთხოვნა იმ ნაწილში, რომლითაც კასატორი ითხოვს მსჯავრდებულ ჯ. ჯ-იას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას, ამ ეტაპზე ვერ დაკმაყოფილდება, რადგან ზემოაღნიშნული საკითხების სარწმუნოდ დადგენის გარეშე შეუძლებელია საბოლოო და კანონიერი სასამართლო გადაწყვეტილების მიღება მისი ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის თაობაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 31 მარტის განაჩენი ჯ. ჯ-იას მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **პირის რეაბილიტაციის შესახებ პუბლიკაციის გამოქვეყნება**

#### **განჩინება**

#13<sup>1</sup>-08

11 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რეაბილიტირებულ გ. პ-შვილის კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 29 იანვრის განჩინებაზე.



### **აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2005 წლის 28 იანვრის განაჩენით გ. პ-შვილი გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილისა და იმავე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «გ», «დ» ქვეპუნქტების (2000 წლის 5 მაისის რედაქცია), აღნიშნული კოდექსის 236-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, აგრეთვე, საქართველოს სსკ-ის (1960 წლის 30 დეკემბრის რედაქცია შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებით) 104-ე მუხლის პირველი, მე-4, მე-6 და მე-7 პუნქტების საფუძველზე წარდგენილ ბრალდებაში. მასვე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე-228-ე მუხლების შესაბამისად, განემარტა სისხლის სამართლის პროცესის ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედებით მისთვის მიყენებული ფიზიკური, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2005 წლის 28 სექტემბრის განჩინებით პროკურორის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის გამამართლებელი განაჩენი გ. პ-შვილის მიმართ დარჩა უცვლელად.

2006 წლის 24 მარტს რეაბილიტირებულმა გ. პ-შვილმა განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას, რომლითაც მოითხოვა სისხლის სამართლის პროცესის ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მისთვის მიყენებული ფიზიკური, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

აღნიშნული განცხადებით გ. პ-შვილი ითხოვდა მისთვის მიყენებული ფიზიკური, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების სახით სახელმწიფოსგან 500000 ლარის გადახდას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 4 ოქტომბრის დადგენილებით გ. პ-შვილის განცხადება, განსჯადობის შესაბამისად, განსახილველად გადაეგზავნა მცხეთის რაიონულ სასამართლოს.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 4 დეკემბრის დადგენილებით არ დაკმაყოფილდა გ. პ-შვილის განცხადება ფიზიკური, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების სახით მისთვის 500000 ლარის გადახდის თაობაზე უსაფუძვლოების გამო.

აღნიშნული დადგენილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რეაბილიტირებულმა გ. პ-შვილმა.

კერძო სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა იყო მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 4 დეკემბრის დადგენილების გაუქმება და მის სასარგებლოდ სახელმწიფოსათვის მისთვის მიყენებული ფიზიკური, მატერიალური და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 500000 ლარის გადახდის დაკისრება.

აპელანტი კერძო სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას ასაბუთებდა იმ გარემოებებზე მითითებით, რომ არსებობს დასაბუთებული სამართლებრივი საფუძველი და უფლება აქვს, მოითხოვოს ფიზიკური, მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება, რაც განიცადა სისხლის სამართლის პროცესის ორგანოების, კერძოდ, პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოს მხრიდან უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად. აღნიშნული ორგანოების მიერ მისი უკანონო დაკავება, უკანონოდ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა და თითქმის თერთმეტვიანი პატიმრობა იგივე იყო, რაც მისი ფიზიკური და სულიერი წამება, მის მიმართ სასტიკი მოპყრობა. აპელანტის აზრით, მცხეთის რაიონულმა სასამართლომ უხეშად დაარღვია საპროცესო ნორმების იმპერატიული მოთხოვნები, შეგნებულად აუარა გვერდი იმ გარემოებას, რომ გ. პ-შვილის რეაბილიტაციის საფუძველი გამოვლინდა სასამართლოში, რომელმაც შეამოწმა მისი დაკავებისა და დაპატიმრების კანონიერება და საფუძვლიანობა, რის შემდეგაც მის მიმართ დაადგინა გამამართლებელი განაჩენი, რასაც მოსდევს ყველა სახის ზიანის ანაზღაურების უფლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2008 წლის 29 იანვრის განჩინებით არ დააკმაყოფილა აპელანტ გ. პ-შვილის საჩივარი, ხოლო მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 4 დეკემბრის დადგენილება, რომლითაც აპელანტს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, დატოვა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების თაობაზე რეაბილიტირებულმა გ. პ-შვილმა კერძო საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. იგი იმავე მოტივების საფუძველზე, რაც მითითებული ჰქონდა კერძო სააპელაციო საჩივარში, ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებასა და სისხლის სამართლის პროცესის ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედებით მისთვის მიყენებული ფიზიკური, მატერიალური და მორალური ზიანის საზღაურად მის სასარგებლოდ სახელმწიფოსათვის 500000 ლარის გადახდის დაკისრებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა რეაბილიტირებულ გ. პ-შვილის საჩივართან დაკავშირებით წარმოდებული საქმის მასალები და შეამოწმა მისი კერძო საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განჩინებაში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ ეთანხმება კასატორის პოზიციას, რომლის მიხედვით, მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა და დაპატიმრება სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლოს მიერ მოხდა უკანონოდ და უსაფუძვლოდ. სააპელაციო სასამართლომ თავის განჩინებაში მართებულად მიუთითა, რომ გ. პ-შვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და ამ საქმეზე წინასწარი გამოძიება, ხოლო შემდეგ პირველი ინსტანციის სასამართლოში აღნიშნული საქმის განხილვა ჩატარდა წინასწარი გამოძიების სტადიაზე მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, რომლებიც, თავის მხრივ, მაღალი ალბათობით ქმნიდა საფუძველს დასაბუთებული ვარაუდისათვის დანაშაულში მისი შესაძლო მონაწილეობის თაობაზე.

როგორც ცნობილია, ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოოდ ჭეშმარიტებას ადგენს სასამართლო და იძლევა სამართლებრივ დასკვნას პირის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის თაობაზე გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენის სახით, მაგრამ მანამდე, ვიდრე ასე მოხდება, წინასწარი გამოძიების ორგანო საქმეს აგზავნის სასამართლოში საბრალდებო დასკვნით მის მიერ მოპოვებული ისეთი მტკიცებულებების საფუძველზე, რომლებიც იძლევა დასაბუთებულ ვარაუდს პირის მიერ დანაშაულის ჩადენის თაობაზე. ამ თვალსაზრისით, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2005 წლის 28 იანვრის განაჩენში მოცემულ საბოლოო დასკვნაზე, რომელშიც აღნიშნულია: სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას გ. პ-შვილისა და სხვა პირთა მიმართ ვერ იქნა მოპოვებული დანაშაულში მათი მამხილებელი უტყუარი მასალები და მტკიცებულებები, შესაბამისად, ისინი წარდგენილ ბრალდებაში უნდა გამართლდნენ. ანალოგიურია მოცემულ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2005 წლის 28 სექტემბრის განჩინებაც, რომლითაც გამამართლებელი განაჩენი დარჩა უცვლელად, ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ მტკიცებულებების უტყუარობასა და ბრალდების საფუძველიანობას საბოლოოდ ადგენს ის სასამართლო, რომელიც არსებითად იხილავს სისხლის სამართლის საქმეს, რაც წინასწარი გამოძიების ორგანოსა და პროკურორს არ ართმევს უფლებას, სათანადო მტკიცებულებების საფუძველზე პირს წარუდგინონ ბრალდება დანაშაულის ჩადენის თაობაზე. ასეთ შემთხვევაში პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა და დაპატიმრება ვერ ჩაითვლება უკანონოდ და დაუსაბუთებლად.

აღნიშნული გარემოებების გამო კასატორ გ. პ-შვილის მოთხოვნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ 2008 წლის 29 იანვარს მის მიმართ გამოტანილი განჩინების გაუქმების, აგრეთვე მისთვის ფიზიკური, მატერიალური და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად სახელმწიფოსათვის გადასახდელად 500000 ლარის დაკისრების თაობაზე ვერ დაკმაყოფილდება.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, პირის რეაბილიტირებულად ცნობის შემთხვევაში სახელმწიფოს ოფიციალური ორგანოს მეშვეობით უნდა ეცნობოს საზოგადოებას აღნიშნული რეაბილიტაციის შესახებ, რის გამოც პუბლიკაცია გ. პ-შვილის სრული რეაბილიტაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ გამოცემაში. საამისოდ უნდა შევიდეს ცვლილება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 29 იანვრის განჩინებაში.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ გ. პ-შვილის კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 29 იანვრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილებები: განჩინების სარეზოლუციო ნაწილში მიეთითოს: «პუბლიკაცია გ. პ-შვილის სრული რეაბილიტაციის შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ გამოცემა –«საკანონმდებლო მაცნეში».

გასაჩივრებული განჩინება სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა

### განჩინება

#1187-აპ

18 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),
- ი. ტყემელაშვილი,
- ზ. მენიშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. ჯ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 მაისის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 12 მარტის განაჩენით თ. ჯ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და მე-19, 378<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის «დ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში.

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით თ. ჯ-ძეს განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის მე-19, 378<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის «დ» ქვეპუნქტით -3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე თ. ჯ-ძეს სასჯელთა მთლიანი შეკრების წესის გამოყენებით განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენით მას მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით უკანონო შემენა, შენახვა, გადაზიდვა და სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოთავსებული პირისათვის ნარკოტიკული საშუალების გადაცემის მცდელობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

თ. ჯ-ძემ დადუგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა დიდი ოდენობით -1,2 გრამი ნარკოტიკული საშუალება «ჰეროინი», რომელიც ასევე უკანონოდ მოათავსა თავის მიერ მსჯავრდებულისათვის გადასაცემად შეძენილ მანდარინის ნაყოფში და სხვა ნივთებთან ერთად, 2006 წლის 7 დეკემბერს მიიტანა გეგუთის #8 სასჯელალსრულების დაწესებულების ამანათების მიმღებ პუნქტში, სადაც შეავსო განცხადება და ზედამხედველობისაგან მალულად ცდილობდა ამანათის მეშვეობით მასში დამალული ნარკოტიკული საშუალების გადაცემის მსჯავრდებულ ვ. პ-ძისათვის, მაგრამ თ. ჯ-ძემ განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ მოახერხა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვინაიდან სასჯელალსრულების დაწესებულების თანამშრომლებმა ამანათის შემოწმებისას აღმოაჩინეს მასში მოთავსებული ნარკოტიკული საშუალება «ჰეროინი».

მსჯავრდებულმა თ. ჯ-ძემ თავისი სააპელაციო საჩივრით მოითხოვა წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 12 მარტის განაჩენის გაუქმება და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 მაისის განაჩენით უცვლელად დარჩა წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 12 მარტის განაჩენი თ. ჯ-ძის მიმართ.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა თ. ჯ-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას, რომლითაც მოითხოვს გამართლებას.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს განაჩენში უნდა შევიდეს მსჯავრდებულის სასიკეთოდ ცვლილება, შემდეგი გარემოებების გამო:

პალატას მიაჩნია, რომ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, მოწმეთა ჩვენებებით, ჩხრეკის ოქმით, მსჯავრდებულ თ. ჯ-ძის მიერ სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია და მას სასამართლოს მიერ სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

ამასთან, პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ თ. ჯ-ძის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა სსკ-ის მე-19, 378<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის «დ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, ვინაიდან პალატა თვლის, რომ აღნიშნული მუხლით პირის მსჯავრდება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნარკოტიკული საშუალების ოდენობა არ იძლევა ქმედების სსკ-ის 260-ე მუხლით დაკვალიფიცირების შესაძლებლობას. ამასთან, თ. ჯ-ძეს სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

**და ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ თ. ჯ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ: თ. ჯ-ძის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა სსკ-ის მე-19, 378<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის «დ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის.

თ. ჯ-ძეს სასჯელის ზომად განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა**

**განჩინება**

#1734-აპ

28 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),**

**მ. ოშხარელი,**

**ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. ბ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ს. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 სექტემბრის განაჩენზე, რომლითაც ი. ბ-შვილი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე, 315-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში.

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 23 მაისის განაჩენით ი. ბ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე, 315-ე მუხლის მეორე ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

აღნიშნული განაჩენით ი. ბ-შვილს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა დახმარება ამზოხებაში საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების დასამზობად, რაც გამოიხატა შემდეგში: საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 27 მაისის #180 ბრძანებით გაუქმდა კოდორის ხეობაში დისლოცირებული თავდაცვის სამინისტროს ბატალიონი „მონადირე“. ხელისუფლებაზე განაწყენებულმა ე. კ-იანმა, კოდორის ხეობაში ცენტრალური ხელისუფლების გავლენის შესუსტებისა და სახელმწიფო ხელისუფლების დასამზობად ამზოხების მოწყობის მიზნით, თავისი ხელმძღვანელობით, ბატალიონის ყოფილი წევრების მონაწილეობით შექმნა უკანონო შეიარაღებული ფორმირება, მათთან ერთად დაეუფლა და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი, გაუქმებულ ბატალიონ „მონადირეზე“ რიცხული საბრძოლო მასალა, ცეცხლსასროლი იარაღები, სამხედრო აღჭურვილობა და სხვა მატერიალური ფასეულობები.

ე. კ-იანმა 2006 წლის 22 ივლისს დაიწყო ორგანიზებული შეიარაღებული გამოსვლა ხელისუფლების წინააღმდეგ, რაც მიზნად ისახავდა მის დამზობას. ი. ბ-შვილმა გადაწყვიტა მითითებების, რჩევების მიცემისა და საჭირო ინფორმაციების მიწოდებით, დახმარება გაეწია ე. კ-იანსათვის, რითაც მნიშვნელოვნად გაუადვილებდა მას დასახული მიზნის მიღწევას. ი. ბ-შვილმა ე. კ-იანს აღუთქვა და დაარწმუნა, რომ თავისი და რიგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების საჯარო გამოსვლებით დაეხმარებოდა ამზოხების მხარდამჭერი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. ე. კ-იანთან და ნ. ა-იანთან (კ-იანთან) 23-25 ივლისს შემდგარ სატელეფონო საუბრებში ი. ბ-შვილი დადებითად აფასებდა ხელისუფლების საწინააღმდეგო მათ საჯარო გამოსვლებს და მოქმედებებს, რითაც ამხნევებდა და მოუწოდებდა ამზოხების გაგრძელებისაკენ. ამასთან ერთად, არწმუნებდა, რომ საქართველოს რიგი პოლიტიკური პარტიები მხარს უჭერდნენ მათ. ი. ბ-შვილი, ნაცვლად იმისა, რომ ე. კ-იანისა და ამზოხებულებისათვის მოეწოდებინა, შეეწყვიტათ წინააღმდეგობა და იარაღი ჩაებარებინათ

ხელისუფლებისათვის, ამბოხებულთა მიმართ საზოგადოების მხარდაჭერისა და სახელმწიფოს ნების პარალიზების მიზნით, ე. კ-იანს ურჩევდა საჯარო გამოსვლების დროს გაეკეთებინა მიმართვა და ხელისუფლების ძალადგინების უწყების შეიარაღებული ქვედანაყოფებისათვის მოეწოდებინა დაეყრათ იარაღი. თავის მხრივ, ე. კ-იანმა შეასრულა ი. ბ-შვილის მითითება და საჯარო გამოსვლებაში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს მოუწოდა, არ ადეკვატათ ამბოხება, ხოლო საზოგადოებას აუწყა, რომ საჭიროების შემთხვევაში შეიარაღებულ გამოსვლას მოაწყობდა მთელ ქვეყანაში და მათ შორის - თბილისში.

ი. ბ-შვილი სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლების საჯარო გამოსვლებისა და მომავალში მოსალოდნელი განცხადებების შესახებ ე. კ-იანს აწვდიდა ინფორმაციებს, არწმუნებდა, რომ რიგი პოლიტიკური პარტიები იწონებდნენ მის მოქმედებას და მხარს უჭერდნენ მას. ი. ბ-შვილმა თავისი საუბრებით ე. კ-იანს გაუმყარა იმის რწმენა, რომ საზოგადოება იყო მის მხარეს, რის შედეგადაც კოდორის ხეობაში ამბოხებულებმა, ე. კ-იანის ხელმძღვანელობით, შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს სახელმწიფო წესრიგის აღსადგენად შესულ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფებს. 25 ივლისს, სოფ. საკენის მიმდებარე ტერიტორიაზე მოძრავ ავტოკოლონაზე შეიარაღებული თავდასხმის დროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურ დავალებათა ცენტრის სამედიცინო ქვედანაყოფის უფროსმა ვ. მ-შვილმა გულმკერდის მარცხენა არეში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობით მიიღო სიცოცხლისათვის საშიშროება, ხოლო ამავე ცენტრის ქვედანაყოფის უფროსმა მ. ქ-შვილმა მარცხენა თემოს ძვლის ფრთის არეში ცეცხლსასროლი შემავალი ჭრილობით მიიღო სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება. შეიარაღებული შეტაკების შემდეგ ე. კ-იანი და მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი პირები გაიქცნენ, მიიმაღლნენ და კვლავ აგრძელებდნენ დანაშაულებრივ საქმიანობას.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. ბ-შვილმა და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 23 მაისის განაჩენის გაუქმება და ი. ბ-შვილის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 სექტემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 23 მაისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 მაისის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ი. ბ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ს. ბ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას და მოითხოვა მსჯავრდებულ ი. ბ-შვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ ი. ბ-შვილის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის, ნ. ბ-ძის 2008 წლის 11 იანვრის #14 განკარგულებით, მსჯავრდებული ი. ბ-შვილი შეწყალბულ იქნა და გათავისუფლდა ძირითადი სასჯელის მოხდისაგან.

საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის «ჟ» ქვეპუნქტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, თუ მსჯავრდებული შეწყალბულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 მაისის განაჩენი უნდა გაუქმდეს და ი. ბ-შვილის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა იმ დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებული სსკ-ის 25-ე, 315-ე მუხლით.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „გ« ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის, ნ. ბ-ძის 2008 წლის 11 იანვრის #14 განკარგულების საფუძველზე ი. ბ-შვილის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის, გათვალისწინებული სსკ-ის 25-ე, 315-ე მუხლით.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა

### განჩინება

#11/საზ 19 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**მ. ოშარელი (თავმჯდომარე),  
ლ. მურუსიძე,  
დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 7 ივლისისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 ნოემბრის განაჩენების კანონიერება პრეიუდიციის საფუძველზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2005 წლის 7 ოქტომბერს ქ. რუსთავის შს სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება 2005 წლის 7 ოქტომბერს ქ. რუსთავში, ... ქ. #5-43-ში მცხოვრებ მ. ა-ძის მიმართ ჩადენილ ყაჩაღური თავდასხმის ფაქტზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით.

2005 წლის 10 ოქტომბერს მოცემულ საქმეზე ექვმიტანილის სახით დააკავეს ა. ხ-იანი, რომელსაც 2005 წლის 12 ოქტომბერს წარედგინა ბრალდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით და აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა დაპატიმრება.

2005 წლის 28 დეკემბერს აღნიშნული სისხლის სამართლის საქმიდან ცალე წარმოებად გამოიყო სისხლის სამართლის საქმე ბრალდებულ ა. ხ-იანის ორი დაუდგენელი თანამონაწილის მიმართ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საქმეს მიენიჭა ნომერი 012050864, ხოლო სისხლის სამართლის საქმე ა. ხ-იანის მიმართ წარიმართა სასამართლოში.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 7 ივლისის განაჩენით დამტკიცდა რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ ზ. კ-შვილსა და ა. ხ-იანს შორის გაფორმებული საპროცესო შეთანხმება.

ა. ხ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე შეეფარდა კანონით გათვალისწინებული უფრო მსუბუქი სასჯელი და საბოლოოდ მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2006 წლის 18 აპრილს ა. ხ-იანის ბრალდების საქმიდან გამოყოფილი სისხლის სამართლის #012050864 საქმე ორი დაუდგენელი პირის მიმართ საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილის დადგენილებით გამოსაძიებლად გადაეცა შს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს.

2006 წლის 10 მაისს მოცემულ საქმეზე, იმავე ყაჩაღობის ფაქტთან დაკავშირებით, ბრალდება წარედგინათ ლ. ბ-ძესა და ლ. ა-შვილს, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ბ“ და „გ“ პუნქტებით და 2006 წლის 11 მაისს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ პატიმრობა 2 თვის ვადით.

2006 წლის 9 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ბრძანებით ბრალდებულების -ლ. ა-შვილისა და ლ. ბ-ძის მიმართ პატიმრობის ვადა გაგრძელდა ერთი თვით -2007 წლის 10 აგვისტომდე.

2007 წლის 12 ივლისს მოცემულ საქმეზე, იგივე ყაჩაღობის ფაქტზე, ბრალდება წარედგინა ასევე გ. უ-ავას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით და მოსამართლის ბრძანებით აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა დაპატიმრება.

2007 წლის 26 მაისს აღნიშნულ საქმეზე შედგა საბრალდებო დასკვნა და სისხლის სამართლის საქმე ლ. ბ-ძის, ლ. ა-შვილისა და გ. უ-ავას მიმართ არსებითად განსახილველად შევიდა რუსთავის საქალაქო სასამართლოში.

საქმის სასამართლოში შესვლის შემდეგ განსასჯელების -ლ. ა-შვილის, ლ. ბ-ძისა და გ. უ-ავას მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება -დაპატიმრება დარჩა უცვლელად.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 ნოემბრის განაჩენით:

ლ. ა-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ», «გ», «დ» ქვეპუნქტებით 7 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით -4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -8

წელი და საბოლოოდ ლ. ა-შვილს სასჯელის ზომად განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე დამატებითი სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვით;

ლ. ბ-ძეს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეხამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდება და ამ ნაწილში გამართლდა.

ლ. ბ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «გ», «დ» ქვეპუნქტებით 7 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით -4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -7 წელი და საბოლოოდ ლ. ბ-ძეს სასჯელის ზომად განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, დამატებითი სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვით;

გ. უ-ავა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ», «გ», «დ» ქვეპუნქტებით და მიესაჯა 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -7 წელი, 11 თვე და 29 დღე და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 17 წლით, 5 თვითა და 29 დღით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, დამატებითი სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვით.

განაჩენით ლ. ა-შვილის, ლ. ბ-ძისა და გ. უ-ავას მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

გ. უ-ავა და ლ. ა-შვილი 2005 წლის ივლისში წავიდნენ ქ. ქობულეთში, სადაც დაჰყვეს რამდენიმე თვე. გ. უ-ავამ შესთავაზა ლ. ა-შვილს, ყაჩაღური გზით თავს დასხმოდნენ ქ. რუსთავში მცხოვრებ მ. ა-ძის ოჯახს, რომლის შვილი მუშაობდა საზღვარგარეთ და, მისი ინფორმაციით, ჩამოტანილი ჰქონდა ფული. გ. უ-ავა არ უნდა გამოჩენილიყო მ. ა-ძის ბინაში, ვინაიდან ეს ბინა მათ ნაყიდი ჰქონდათ გ. უ-ავას მშობლებისგან და მას იცნობდნენ.

2005 წლის 7 ოქტომბერს გ. უ-ავა და ლ. ა-შვილი ქ. ქობულეთიდან ჩავიდნენ ქ. რუსთავში, სადაც მათ წინასწარ შეთანხმებისამებრ შეუერთდათ ლ. ბ-ძე. დაახლოებით 13.30 საათზე გ. უ-ავა, ლ. ა-შვილი და ლ. ბ-ძე მივიდნენ ქ. რუსთავში, ... ქ. #5-ში მდებარე კორპუსთან. გ. უ-ავა დარჩა სადარბაზოსთან, ხოლო ლ. ა-შვილი და ლ. ბ-ძე ავიდნენ მე-8 სართულზე, რის შემდეგაც დააკაუნეს კარზე და მოიმარჯვეს ხელთ არსებული ცეცხლსასროლი იარაღების მაგვარი საგნები. მათ კარი გაუღო მ. ა-ძემ, რის შემდეგაც ლ. ა-შვილი და ლ. ბ-ძე, ცეცხლსასროლი იარაღების მაგვარი საგნებით მომარჯვებულები, შევიდნენ სახლში. მ. ა-ძე ძალადობით შეიყვანეს საძინებელ ოთახში, დასვეს იატაკზე, დაუმიზნეს ცეცხლსასროლი იარაღების მაგვარი საგნები და სიცოცხლის მოსპობის მუქარით მოსთხოვეს გადაეცა მათთვის ფული და ოქროსფერობა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრნენ მოკვლით. მ. ა-ძისაგან მიიღეს რა უარი, ლ. ა-შვილი დარჩა მასთან, ხოლო ლ. ბ-ძემ დაიწყო საძინებელი ოთახის ჩხრეკა, სადაც იპოვა მ. ა-ძის კუთვნილი ოქროს ნივთები. ამის შემდეგ ლ. ბ-ძე, ცეცხლსასროლი იარაღის მაგვარი საგნით მომარჯვებული, დარჩა მ. ა-ძესთან, ხოლო ლ. ა-შვილმა დაიწყო მეორე საძინებელი ოთახის ჩხრეკა, სადაც იპოვა მ. ა-ძის შვილის -მ. ა-შვილის კუთვნილი 5000 აშშ დოლარი და „ჯვსის“ ფირმის ვიდეოკამერა, ხოლო მისაღები ოთახის მაგიდიდან აიღო მ. ა-ძის კუთვნილი „სამსუნგ-800-ის« მოდელის მობილური ტელეფონის აპარატი. ლ. ა-შვილმა აღნიშნული ნივთები ჩააწყო იქვე ნანახ, პოლიეთილენის პარკში, რის შემდეგაც ორივე თავდამსხმელმა მოილაპარაკა და, ბინიდან უსაფრთხო გასვლის მიზნით, მ. ა-ძე ჩაკეტეს სააბაზანო ოთახში, რითაც უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება, ხოლო თვითონ გ. უ-ავასთან ერთად შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ, მ. ა-ძის ბინიდან წაღებული ფული და ნივთები კი ურთიერთშორის გაინაწილეს.

ყაჩაღური თავდასხმის შემდეგ დაახლოებით 15.20 საათზე, გ. უ-ავამ მ. ა-ძის ბინიდან წაღებულ „სამსუნგ-800-ის« მოდელის მობილური ტელეფონის აპარატში ჩადო კუთვნილი სიმბარათი და დარეკა ქ. ქობულეთში. მ. ა-ძის ბინაზე ყაჩაღური თავდასხმის შემდეგ გ. უ-ავა და ლ. ა-შვილი იმავე დღეს დაბრუნდნენ ქ. ქობულეთში, ხოლო ლ. ბ-ძე მოგვიანებით, ასევე, ჩავიდა ქ. ქობულეთში და შეუერთდა მათ.

ყაჩაღური თავდასხმის შედეგად დაზარალებულებმა -მ. ა-ძემ და მ. ა-შვილმა განიცადეს 10450 ლარის დიდი ოდენობის მატერიალური ზიანი.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 4 თებერვლის დადგენილებით რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 ნოემბრის განაჩენში შევიდა შესწორება. კერძოდ:

განაჩენის სამოტივაციო ნაწილში ნაცვლად სიტყვებისა: «ლ. ბ-ძეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «გ», «დ» ქვეპუნქტებით უნდა განესაზღვროს 7 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა» მიეთითა -«ლ. ბ-ძეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «გ», «დ» ქვეპუნქტებით უნდა განესაზღვროს 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა».

განაჩენის სამოტივაციო ნაწილში ნაცვლად სიტყვებისა: «ლ. ა-შვილს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ», «გ», «დ» ქვეპუნქტებით უნდა განესაზღვროს 7 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა» მიეთითა -«ლ. ა-შვილს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის

«ბ», «გ», «დ» ქვეპუნქტებით უნდა განესაზღვროს 7 წლით, 2 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა».

განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

არასრულწლოვანი ლ. ა-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ», «გ», «დ» ქვეპუნქტებით 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით -6 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 88-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად თითოეული დანაშაული-სათვის განსაზღვრული სასჯელი შემცირდა ერთი მეოთხედით. ლ. ა-შვილს საქართველოს სსკ-ის (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ», «გ», «დ» ქვეპუნქტებით განესაზღვრა 7 წლით, 2 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით -4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -8 წელი და საბოლოოდ ლ. ა-შვილს სასჯელის ზომად განესაზღვრა 19 წლით, 8 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლის მეოთხე ნაწილის საფუძველზე საბოლოოდ ლ. ა-შვილს სასჯელის ზომად განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე დამატებითი სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვით. ლ. ა-შვილს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2007 წლის 16 ნოემბრიდან;

ლ. ბ-ძეს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდება და ამ ნაწილში გამართლდა.

ლ. ბ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «გ», «დ» ქვეპუნქტებით 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით -6 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 88-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად თითოეული დანაშაულისათვის განსაზღვრული სასჯელი შემცირდა ერთი მეოთხედით. საქართველოს სსკ-ის (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «გ», «დ» ქვეპუნქტებით განესაზღვრა 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით -4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -7 წელი და საბოლოოდ ლ. ბ-ძეს სასჯელის ზომად განესაზღვრა 18 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლის მეოთხე ნაწილის საფუძველზე საბოლოოდ ლ. ბ-ძეს სასჯელის ზომად განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, დამატებითი სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვით. ლ. ბ-ძეს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2007 წლის 16 ნოემბრიდან;

გ. უ-ავა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ», «გ», «დ» ქვეპუნქტებით და მიესაჯა 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -7 წელი, 11 თვე და 29 დღე და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 17 წლით, 5 თვითა და 29 დღით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, დამატებითი სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვით. გ. უ-ავას სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2007 წლის 16 ნოემბრიდან.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 ნოემბრის განაჩენის მიხედვით, სასამართლომ არ გაიზიარა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 7 ივლისის განაჩენით დადგენილი ფაქტი იმის შესახებ, რომ 2005 წლის 7 ოქტომბერს მ. ა-ძის ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმა ორ, ძიებით დაუდგენელ პირთან ერთად ჩაიდინა ა. ხ-იანმა, რის გამოც, საქართველოს სსსკ-ის 113-ე მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეები ა. ხ-იანისა და ლ. ა-შვილის, ლ. ბ-ძის, გ. უ-ავას მიმართ გადმოაგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში მათი კანონიერების შესამოწმებლად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმეთა მასალები და თვლის, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 ნოემბრის განაჩენი მსჯავრდებულების -ლ. ა-შვილის, ლ. ბ-ძისა და გ. უ-ავას მიმართ უნდა დარჩეს ძალაში, ხოლო რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 7 ივლისის განაჩენი უნდა გაუქმდეს და ა. ხ-იანის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 7 ივლისის განაჩენით ა. ხ-იანს მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა», „გ» და „დ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში -2005 წლის 7 ოქტომბერს ქ. რუსთავში, ... ქ.#5-43-ში მცხოვრებ მ. ა-ძის მიმართ ჩადენილ ყაჩაღური თავდასხმის ფაქტზე. აღნიშნულ განაჩენს საფუძველად დაედო დაზარალებულ მ. ა-ძის მიერ მიცემული ჩვენება.

2006 წლის 18 აპრილს ა. ხ-იანის ბრალდების საქმიდან გამოყოფილი სისხლის სამართლის #012050864 საქმე ორი დაუდგენელი პირის მიმართ საქართველოს გენერალური პროკურორის



მოადგილის დადგენილებით გამოსაძიებლად გადაეცა შს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს. 2006 წლის 10 მაისს მოცემულ საქმეზე ბრალდება წარედგინათ ლ. ა-შვილს, ლ. ბ-ძესა და გ. უ-ავას.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 7 ივლისის განაჩენით ლ. ა-შვილს, ლ. ბ-ძესა და გ. უ-ავას მსჯავრი დაედოთ იმაში, რომ 2005 წლის 7 ოქტომბერს ჩაიდინეს მ. ა-ძის ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმა.

აღნიშნულ განაჩენს საფუძვლად დაედო დაზარალებულ მ. ა-ძის მიერ მიცემული ჩვენებები, სადაც მან განმარტა, რომ 2005 წლის 8 ოქტომბერს პოლიციის განყოფილებაში ფოტოსურათზე ამოიღო ა. ხ-იანი. 2006 წლის აპრილში, სასამართლოში ყოფნის დროს, ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე -სხვა საქმის განხილვისას მან სრულიად შემთხვევით ამოიღო მის ბინაში მყოფი თავდამსხმელები და მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა. 2005 წლის 7 ოქტომბერს მას ყაჩაღურად თავს დაესხნენ ლ. ა-შვილი და ლ. ბ-ძე. მან ა. ხ-იანი მიამსგავსა ერთ-ერთ თავდამსხმელს, სინამდვილეში კი ა. ხ-იანის ნაცვლად იყო ლ. ა-შვილი, რაშიც იგი არ ცდებდა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 7 ივლისის განაჩენი კანონით დადგენილი წესით არ გასაჩივრებულა.

საკასაციო პალატა, აფასებს რა ურთიერთსაწინააღმდეგო სასამართლო განაჩენებში არსებულ მტკიცებულებებს, რაც საფუძვლად დაედო ა. ხ-იანისა და ლ. ა-შვილის მსჯავრდებას, თვლის, რომ სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა ლ. ა-შვილის საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებებს და დასაბუთებულად უარყო პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე, ა. ხ-იანის სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ ა. ხ-იანმა ჩაიდინა მ. ა-ძის ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 ნოემბრის განაჩენი მსჯავრდებულების -ლ. ა-შვილის, ლ. ბ-ძისა და გ. უ-ავას მიმართ უნდა დარჩეს ძალაში, ხოლო რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 7 ივლისის განაჩენი უნდა გაუქმდეს და ა. ხ-იანის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 113-ე მუხლის მეოთხე ნაწილით, 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ე» ქვეპუნქტით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 ნოემბრის განაჩენი მსჯავრდებულების -ლ. ა-შვილის, ლ. ბ-ძისა და გ. უ-ავას მიმართ დარჩეს ძალაში.

გაუქმდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 7 ივლისის განაჩენი ა. ხ-იანის მიმართ.

შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა ა. ხ-იანის მიმართ.

ა. ხ-იანს უფლება აქვს, აინაზღაუროს მიყენებული ზიანი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე-228-ე მუხლებით დადგენილი წესით.

განემარტოს ა. ხ-იანს, რომ მას უფლება აქვს, ზიანის ანაზღაურებისა და უფლებების აღდგენის შესახებ განცხადებით მიმართოს სასამართლოს 6 თვის ვადაში, უზენაესი სასამართლოს განჩინების გამოტანის დღიდან.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა**

#### **განჩინება**

#106-აპ

22 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),**

**ზ. მეიშვილი,**

**ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. გ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. გ-შვილისა და მსჯავრდებულ გ. ჩ-შვილის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ნოემბრის განაჩენზე.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 აგვისტოს განაჩენით ს. ზ-შვილი, გ. ჩ-შვილი, გ. გ-მე ცნობილ იქნენ დამნაშავედ იმაში, რომ მათ ჩაიდინეს ხულიგნობა, ე.ი. ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის II ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, რისთვისაც მიესაჯათ: ს. ზ-შვილს -2 წლით თავისუფლების აღკვეთამდე; გ. ჩ-შვილს -2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა; გ. გ-მეს -3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 14 თებერვალს, დაახლოებით 19 საათზე, ს. ზ-შვილი, გ. გ-მე და გ. ჩ-შვილი თავიანთ კლასელთან ერთად მივიდნენ ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანის მე-13 კილომეტრზე მდებარე რესტორან «არგონავტებში», ვალენტინობის დღესასწაულის აღსანიშნავად დალიეს ალკოჰოლური სასმელი და იმყოფებოდნენ რა არაფხიზელ მდგომარეობაში, სამივემ განიზრახა, ჩაედინა ხულიგნობა. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ისინი გავიდნენ რესტორნის ე.წ. «კუპედან» ეზოში არსებულ საცეკვაო მოედანზე, შეუერთდნენ იქ მყოფ სხვა სტუმრებს, უმიზეზოდ მიაყენეს მათ ფიზიკური შეურაცხყოფა და დაუწყეს ლანძღვა-გინება. ამ ქმედებით მსჯავრდებულებმა გამოხატეს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა, რაც გრძელდებოდა დაახლოებით 10 წუთს და რაც აღკვეთილ იქნა რესტორნის ადმინისტრაციის მიერ გამოძახებით მისული საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა გ. გ-მემ და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ზ. გ-შვილმა. მათ განაჩენში ცვლილების შეტანა და მსჯავრდებულისათვის სასჯელის შემსუბუქება მოითხოვეს.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ს. ზ-შვილმა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ვ. ა-იამ. ისინი აღნიშნავენ, რომ, მართალია, ს. ზ-შვილმა აღიარა დანაშაული, მაგრამ ის იყო არასრულწლოვანი, რის გამოც ბოლომდე არ ესმოდა მისდამი წარდგენილი ბრალის არსი და რადგან საქმეში არ მოიპოვება სსკ-ის 239-ე მუხლის II ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის დამადასტურებელი მტკიცებულება, იგი უნდა გამართლდეს.

განაჩენი სააპელაციო წესით ასევე გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ს. ზ-შვილმა, გ. ჩ-შვილმა და გ. გ-მემ, რომლებიც ითხოვენ გამართლებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ნოემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 აგვისტოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა გ. ჩ-შვილმა და მსჯავრდებულ გ. გ-მის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ზ. გ-შვილმა საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. მსჯავრდებულ გ. გ-მის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ზ. გ-შვილი მოითხოვს მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას, ხოლო მსჯავრდებული გ. ჩ-შვილი -გამართლებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ნოემბრის განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს შემდეგი გარემოებების გამო:

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მსჯავრდებულებმა: ს. ზ-შვილმა, გ. ჩ-შვილმა, გ. გ-მემ მისცეს აბსოლუტურად იდენტური ჩვენებები, კერძოდ, აღნიშნავს, რომ ისინი ერთად იმყოფებოდნენ რესტორან «არგონავტებში», დალიეს ალკოჰოლური სასმელი, გავიდნენ ეზოში არსებულ საცეკვაო მოედანზე, დაიწყეს ლანძღვა-გინება და იქ მყოფებს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. საქალაქო სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ს. ზ-შვილმა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ვ. ა-იამ, მსჯავრდებულმა გ. გ-მემ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ზ. გ-შვილმა და მსჯავრდებულებმა ს. ზ-შვილმა, გ. ჩ-შვილმა და გ. გ-მემ. მსჯავრდებულმა ს. ზ-შვილმა და მისმა ინტერესების დამცველმა საჩივრებში აღნიშნეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებულმა მისცა აღიარებითი ჩვენება, სინამდვილეში მის მიერ ჩადენილი ქმედება არ წარმოადგენს დანაშაულს და მოითხოვს გამამართლებელი განაჩენის გამოტანა. მსჯავრდებულმა გ. ჩ-შვილმა მოითხოვა მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა. მსჯავრდებულ გ. გ-მის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ზ. გ-შვილმა მოითხოვა მსჯავრდებულ გ. გ-მის მიმართ დანიშნული სასჯელის შემსუბუქება. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილი ჰქონდა თავად მსჯავრდებულ გ. გ-მეს, რომელიც გამართლებას და არა დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ საქმის ხელმეორედ, ზეპირი მოსმენით განხილვის დროს, სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს საქმის გარემოებები, დაკითხოს მსჯავრდებულები მათ მიმართ წარდგენილ ბრალდებასთან მიმართებით და სასამართლო გამოძიებით მოპოვებული და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზისა და სწორი სამართლებრივი შეფასების შედეგად, მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით და 568-ე მუხლით,

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ გ. გ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. გ-შვილისა და მსჯავრდებულ გ. ჩ-შვილის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ნოემბრის განაჩენი ს. ზ-შვილის, გ. ჩ-შვილისა და გ. გ-ძის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გადაეგზავნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა**

**განჩინება**

#1614-აპ

5 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ზ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ივნისის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 მარტის განაჩენით ა. ზ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით -3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის პირველი ნაწილით -5 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, მას მიესაჯა 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი -4 წელი და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 13 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ა. ზ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ა. ზ-შვილმა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა 1,03845 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ოპიუმი“, რომელსაც უკანონოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ ბინაში, საძინებელი ოთახის ფანჯრის რაფაზე. 2006 წლის 9 დეკემბერს, ქ. რუსთავის შს სამმართველოს გამომძიებელმა, გადაუდებელი აუცილებლობის გამო, ა. ზ-შვილის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად ამოიღო ორ პოლიეთილენის პარკში მოთავსებული, ცალ-ცალკე დაფასოებული შავი ფერის მასა, ასევე თეთრი ფერის ჭიქა, რომელშიც იდო სამი პატარა ნაწილაკი, ორი ხუთმილიგრამიანი „შპრიცი“ გამჭვირვალე სითხით. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ა. ზ-შვილის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის დროს ამოღებული სპეციფიკური სუნის მქონე, მოშავო-ყავისფერი რბილი პლასტიკური მასის ორი ნაწილაკი, საერთო წონით 1,03845 გრამი, წარმოადგენს კუსტარული წესით დამზადებულ ნარკოტიკულ საშუალება „ოპიუმს“, რომელიც არ შეიცავს კუსტარული წესით მიღებული ოპიუმისათვის არადამახასიათებელ რაიმე უცხო მინარევებს.

ა. ზ-შვილმა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან, უკანონოდ შეიძინა თვითნაკეთი წესით დამზადებული 5,6 მმ კალიბრის პისტოლეტი, რომელსაც ასევე უკანონოდ ატარებდა და ინახავდა მეგობრის -ბ. ბ-შვილის ბინაში. აღნიშნული იარაღი ბ. ბ-შვილმა და ა. ზ-შვილის ძმამ ჩააბარეს ქ. რუსთავის შს სამმართველოს.

ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, იარაღი არის თვითნაკეთი წესით დამზადებული 5,6 მმ კალიბრის პისტოლეტი, განკუთვნილი ამავე კალიბრის ვაზნების გასასროლად, იგი მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ ა. ზ-შვილის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა. აპელანტები სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ განაჩენის გაუქმებასა და ა. ზ-შვილის გამართლებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ივნისის განაჩენით არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი და რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 მარტის განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ა. ზ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას იმ საფუძველზე, რომ მას არ ჩაუდენია მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულები.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის მოტივთა საფუძველიანობა და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი და სამართლიანია მსჯავრდებულ ა. ზ-შვილის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრდების ნაწილში.

საქმეში არსებული მასალებით, კერძოდ: ჩხრეკის ოქმით, საქართველოს შს სამინისტროს ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს დასკვნით სრულად არის დადასტურებული ა. ზ-შვილის მიერ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა.

ამასთან, პალატა მიიჩნევს, რომ ა. ზ-შვილის ბრალდება იმ ნაწილში, რომლის მიხედვითაც, მან თითქოს ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება, არ არის დადასტურებული და არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან.

მსჯავრდებულ ა. ზ-შვილის ბრალეულობას საფუძველად დაედო მოწმეების -ბ. ბ-შვილისა და გ. ზ-შვილის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებები, კერძოდ:

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მოწმე ბ. ბ-შვილმა განმარტა, რომ მის ბინაში იარაღი შესანახად მიიტანეს გ. და ა. ზ-შვილებმა, იარაღი შეინახა გ. ზ-შვილმა. მისთვის უცნობია, თუ ვის ეკუთვნოდა აღნიშნული იარაღი. მისი ბინიდან ეს იარაღი შემდეგ წაიღო გ. ზ-შვილმა. წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებაში მოწმე ბ. ბ-შვილი მიუთითებდა, რომ იგი იცნობს ა. ზ-შვილს, რომელმაც მასთან სახლში შესანახად მიიტანა დანა და პისტოლეტი, რომელიც შემდეგ გადასცა გ. ზ-შვილს, რომელმაც უთხრა მას, რომ ნებაყოფლობით ჩააბარებდა პოლიციაში.

მოწმე გ. ზ-შვილმა განმარტა, რომ იარაღი მის ძმას -ა. ზ-შვილს არ ეკუთვნის. იარაღი მას გადასცა ბ. ბ-შვილმა, რის შემდეგაც ჩააბარა პოლიციას. ბ. ბ-შვილს მისთვის არ უთქვამს, თუ ვის ეკუთვნოდა ეს იარაღი. წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებაში მოწმე გ. ზ-შვილი მიუთითებდა, რომ იარაღი მას გადასცა ბ. ბ-შვილმა, რომელმაც უთხრა, რომ ეს იარაღი მას შესანახად მიუტანა ა. ზ-შვილმა.

ამდენად, სასამართლომ ისე დაუდო საფუძველად განაჩენს დასახელებული მოწმეების ჩვენებები, რომ არ აღმოფხვრა მტკიცებულებებს შორის არსებული წინააღმდეგობა.

საქმეში არ მოიპოვება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით წარდგენილ ბრალდებაში ა. ზ-შვილის მამხილებელი არც ერთი უტყუარი მტკიცებულება და, ამდენად, განაჩენი აგებულია მხოლოდ ვარაუდებსა და ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ა. ზ-შვილს უნდა მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით წარდგენილი ბრალდება და ამ ნაწილში მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა. მსჯავრდებულ ა. ზ-შვილს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, რასაც უნდა დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი - 4 წელი და საბოლოოდ მას მოსახდელად უნდა განესაზღვროს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

მსჯავრდებულ ა. ზ-შვილს მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით წარდგენილი ბრალდება და ამ ნაწილში მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

მსჯავრდებულ ა. ზ-შვილს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, რასაც დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი -4 წელი და საბოლოოდ მას მოსახდელად განესაზღვროს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა

### განჩინება

#1829-აპ

4 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**

**დ. სულაქველიძე,**

**მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 11 სექტემბრის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 მარტის განაჩენით ვ. მ-შვილი და დ. მ-მე ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინეს ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, საცავში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 19 მაისს გორის რაიონის სოფელ ... ვ. მ-შვილმა არასრულწლოვან დ. მ-მესთან ერთად დალია ალკოჰოლური სასმელი, რის შემდეგაც მათ განიზრახეს ამავე სოფელში მცხოვრებ უ. მ-შვილის ძროხის ქურდობა. თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ვ. მ-შვილმა სახლიდან აიღო მავთულის საჭრელი მკვნიტარა და დ. მ-მესთან ერთად, ღამით, დაახლოებით 00.<sup>30</sup> საათზე, მივიდა უ. მ-შვილის საცხოვრებელ ბინასთან, გადაჭრა ეზოს მავთულბადე და ორივე ერთად ფარულად შევიდა ეზოში. მათ გააღეს ძროხის სადგომის კარი, უკანონოდ შეაღწიეს, აუშვეს დაბმული ძროხა და მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრეს, რის შემდეგაც მოპარული საქონელი გადამალეს სოფელ ფხვენისის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ძველი ფერმის შენობაში, რითიც დაზარალებულს მიაყენეს 2000 ლარის ოდენობის ზიანი.

აღნიშნული ქმედებისათვის ვ. მ-შვილს მიესაჯა 4 წლით, ხოლო დ. მ-მეს -3 წლით თავისუფლების აღკვეთა. ვ. მ-შვილს სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 7 დეკემბრიდან, დ. მ-მეს კი 2006 წლის 10 აგვისტოდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ დ. მ-მის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. გ-ევმა და მსჯავრდებულმა ვ. მ-შვილმა.

ადვოკატმა ი. გ-ევმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა დ. მ-მის ქმედების გადაკვალიფიცირება სსკ-ის 360-ე მუხლზე და სასჯელის შემცირება, კერძოდ -5 ათასი ლარი ჯარიმის დაკისრება, ხოლო მსჯავრდებულმა ვ. მ-შვილმა -დანიშნული სასჯელის პირობითი მსჯავრით შეცვლა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 11 სექტემბრის განაჩენით გორის რაიონული სასამართლოს განაჩენი შეიცვალა: ვ. მ-შვილისა და დ. მ-მის ქმედება საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა ამაჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებზე და ვ. მ-შვილს მიესაჯა 4 წლით, ხოლო დ. მ-მეს -2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა; მსჯავრდებულებს სასჯელის მოხდაში ჩათვალათ წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო -2006 წლის 18 მაისიდან 2006 წლის 21 მაისამდე.

კასატორი -მსჯავრდებული ვ. მ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ უ. მ-შვილმა ის და დ. მ-მე დაიქირავა ჯართის დასაჭრელად, თუმცა გასამრჯელო აღარ გადაუხადა, ამიტომ მათ მისი ძროხა, უ. მ-შვილის გასაზრახებლად, დაუკითხავად წაიყვანეს სადგომიდან, რათა პატრონს ფული გადაეხადა და 2 დღის შემდეგ დაუბრუნეს; სადგომში რამდენიმე ძროხა იყო, მაგრამ მათ მხოლოდ ერთი გაიყვანეს, რადგან ის უკანვე უნდა დაებრუნებინათ და ასეც მოიქცნენ; ამ ფაქტის

თვითმხილველი არ არსებობს; მას შემდეგ 12 თვის განმავლობაში ორივე გარეთ იყო და მხოლოდ ერთი წლის შემდეგ დააპატიმრეს; მათი ქმედების მიზანი იყო მხოლოდ უ. მ-შვილის გაბრაზება.

გარდა აღნიშნულისა, კასატორი პალატას სთხოვს, გაითვალისწინოს მსჯავრდებულების ასაკი, მათი წარსული, გულწრფელი მონანიება, ის, რომ მათ არ მიუთვისებიათ არავის ქონება და მათი ქმედება სსკ-ის 177-ე მუხლიდან გადააკვალიფიციროს 360-ე მუხლზე, ხოლო სასჯელად დაუნიშნოს ჯარიმა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქართველოს სსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულთა მიერ მათთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა უტყუარადაა დადასტურებული საქმეში არსებული მასალებით, მათ შორის, თავად მსჯავრდებულთა და დაზარალებულ უ. მ-შვილის ჩვენებებით, რომლებიც სააპელაციო პალატამ სწორად შეაფასა და დაადგინა დასაბუთებული განაჩენი.

ამასთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების და #1 საპრობილის ადმინისტრაციის მომართვების შესაბამისად, ვ. მ-შვილი და დ. მ-მე გათავისუფლდნენ ძირითადი სასჯელის შემდგომი მოხდისაგან საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 23 ნოემბრის #676-ე განკარგულების საფუძველზე.

საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ჟ» ქვეპუნქტის შესაბამისად, სისხლსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა და წინასწარი გამოძიება უნდა შეწყდეს, თუ მსჯავრდებული შეწყალებულია.

ამდენად, ვ. მ-შვილისა და დ. მ-მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლსამართლებრივი დევნა მათი შეწყალების აქტით სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების გამო, სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ჟ» ქვეპუნქტის შესაბამისად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ჟ» ქვეპუნქტით, 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ ვ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 11 სექტემბრის განაჩენით მსჯავრდებულების - ვ. მ-შვილისა და დ. მ-მის მიმართ შეწყდეს სისხლის-სამართლებრივი დევნა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 23 ნოემბრის #676-ე განკარგულების საფუძველზე მათი სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების გამო.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა**

#### **განჩინება**

#35-აპ

7 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ბ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ნოემბრის განაჩენზე ბ. მ-შვილის, მ. ნ-მისა და ა. გ-ურის მიმართ.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 14 მარტის განაჩენით ბ. მ-შვილს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ბრალდება, როგორც ზედმეტად წარდგენილი; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „კ“ პუნქტით, მე-19, 109-ე

მუხლის „ა» და „ზ» ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა ხულიგნური ქვენაგრძობით, ასევე ხულიგნური ქვენაგრძობით ორი ან მეტი პირის მკვლელობის მცდელობა.

ამავე განაჩენით ცნობილ იქნენ დამნაშავეებად:

1. მ. ნ-ძე -2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ზ» ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ხულიგნობა, ე.ი. ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობითა და ძალადობის მუქარით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ხულიგნობის აღმკვეთი პირის მიმართ, იარაღად დანის გამოყენებით;

2. ა. გ-ური -2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ზ» ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ხულიგნობა, ე.ი. ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობითა და ძალადობის მუქარით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ხულიგნობის აღმკვეთი პირის მიმართ.

ბ. მ-შვილის, მ. ნ-ძისა და ა. გ-ურის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 23 აპრილს ბ. მ-შვილი, მ. ნ-ძე და ა. გ-ური თავიანთ მეგობრებთან -ი. ბ-შვილთან, დ. და მ. დ-შვილებთან, გ. გ-შვილთან, კახა ხორავასთან, ლინდა ურუშაძესა და ვლადიმერ შავლაყაძესთან ერთად აღდგომის დღესასწაულისა და ა. გ-ურის დაბადების დღის აღსანიშნავად იმყოფებოდნენ ქ. თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე რესტორან „თეთრ სახლში», სადაც დალიეს ალკოჰოლური სასმელი. რესტორნიდან გამოსვლის შემდეგ, 24 აპრილს, დაახლოებით 2 საათზე, ბ. მ-შვილმა, მ. ნ-ძემ და ა. გ-ურმა რესტორნის ჭიშკართან უმიზეზოდ, უცენზურო სიტყვებით შეურაცხყოფა მიაყენეს რესტორნის მიმტან ნინო გლოველის მიერ გამოძახებულ ტაქსის მძღოლ გ. მ-შვილს. ბ. მ-შვილი და მ. ნ-ძე დანის მუქარით, ხოლო ა. გ-ური -სიტყვიერი მუქარით მოითხოვდნენ მისგან მანქანის კარის გაღებას. მათ დანითა და წიხლების დარტყმით უმნიშვნელო დაზიანებები მიაყენეს გ. მ-შვილის მართვის ქვეშ მყოფ ავტომანქანა „ოპელ-ვექტრას». მათი ქმედების აღსაკვეთად შემთხვევის ადგილზე მივიდნენ რესტორნის დაცვის თანამშრომელი ლ. დ-შვილი და ამავე რესტორნის დაცვის ყოფილი მუშაკები -გ. ფ-ევი და ნ. თ-ძე, რომლებმაც მოსთხოვეს მათ, შეეწყვიტათ ხულიგნური ქმედება და მოუწოდეს წესრიგისაკენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ახალგაზრდებმა კვლავ გააგრძელეს ლანძღვა-გინება და ჩხუბი დაუწყეს დაცვის თანამშრომლებსა და იქ მყოფ სხვა პირებს, რა დროსაც ბ. მ-შვილმა განზრახ მოკვლის მიზნით, თანნაქონი დანით ნ. თ-ძეს კისრის მარჯვენა ზედაპირზე მიაყენა ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა მარჯვენა საძილე არტერიის დაზიანებით; გ. ფ-ევის -მარჯვენა ლავიწზედა მიდამოს გარე და შუა მესამელების საზღვარზე ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა, ლავიწის ძვლის ფრაგმენტის ათლით; რესტორნის ავტოსადგომის დარაჯ დ. ქ-შვილს -ნაკვეთი ჭრილობა მარჯვენა წინამხრის არეში; რესტორნის მუსიკოს დ. თ-შვილს -ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა გულმკერდის უკანა ზედაპირზე, მარცხნივ, მე-11-მე-12 ნეკნთაშუა არეში, არშემავალი გულმკერდისა და მუცლის ღრუში. ამავე დროს მ. ნ-ძე, დანამომარჯვებული, ლანძღვა-გინებით გამოიყვინდა რესტორნის ელექტრიკოს თ. თ-იას და მას სიტყვიერად ემუქრებოდა. რესტორნის ადმინისტრატორ ა. რ-ვას ჩარევის შედეგად მ. ნ-ძე მოსცილდა თ. თ-იას. ა. გ-ური აგრძელებდა დაცვის მუშაკებისა და იქ მყოფი სხვა პირების ლანძღვა-გინებასა და ჩხუბს. ბ. მ-შვილის, მ. ნ-ძისა და ა. გ-ურის ქმედების აღკვეთა შესაძლებელი გახდა შემთხვევის ადგილზე მისული საპატრულო და თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს პოლიციის მუშაკების მიერ. ნ. თ-ძე, გ. ფ-ევი და დ. თ-შვილი შემთხვევის ადგილიდან სასწრაფოდ გადაიყვანეს ლუდუშაურის სახ. ეროვნულ სამედიცინო ცენტრში, ხოლო დ. ქ-შვილი -თბილისის #4-ე კლინიკურ საავადმყოფოში. ნ. თ-ძე სამედიცინო ცენტრში მიყვანისთანავე გარდაიცვალა მიღებული სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებების შედეგად განვითარებული მწვავე ზოგადი სისხლნაკლებობის გამო. გ. ფ-ევს, დ. ქ-შვილსა და დ. თ-შვილს მიღებული ჰქონდათ მსუბუქი ხარისხის დაზიანებები ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით და მათ გაეწიათ დროული სამედიცინო დახმარება. ასეთივე ხარისხის დაზიანებები მიიღეს ბ. მ-შვილმა, ა. გ-ურმა და მ. ნ-ძემ, რომლებიც იმავე დღეს დააკავეს.

აღნიშნული ქმედებისათვის ა. გ-ურს მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩათვალა პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით; მასვე დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა 5 ათასი ლარის ოდენობით და სასჯელის ვადაში ჩათვალა წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო -2006 წლის 24 აპრილიდან 2006 წლის 27 ივნისის ჩათვლით -2 თვე და 3 დღე; მ. ნ-ძეს მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ბ. მ-შვილს საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „კ» პუნქტით -11 წლით, მე-19, 109-ე მუხლის „ა», „ზ» პუნქტებით -10 წლით თავისუფლების აღკვეთა; საბოლოოდ მას განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 21 წლის ვადით.

ბ. მ-შვილსა და მ. ნ-ძეს სასჯელის მოხდა დაეწყოთ 2006 წლის 24 აპრილიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ბ. მ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. კ-შვილმა. მან ითხოვა განაჩენის გაუქმება და ბ. მ-შვილის გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ნოემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი და-ზუსტდა კვალიფიკაციის ნაწილში: ბ. მ-შვილს მოეხსნა საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ზ» ქვეპუნქტები, ამავე მუხლის მე-3

ნაწილი და მე-19, 109-ე მუხლის „ზ« პუნქტი, როგორც ზედმეტად წარდგენილი; ბ. მ-შვილის ქმედება საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 109-ე მუხლის „კ« პუნქტიდან გადაკვალიფიცირდა ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ« ქვეპუნქტზე; განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი -მსჯავრდებული ბ. მ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, რადგან მასში ჩამოყალიბებული დასკვნები არ შეესაბამება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, არ გამომდინარეობს მტკიცებულებათა ერთობლიობიდან; არ აღმოფხვრილა წინააღმდეგობები მტკიცებულებებს შორის, რაც ეჭვქვეშ აყენებს სასამართლოს დასკვნებს; წინააღმდეგობრივ მტკიცებულებათა არსებობისას სასამართლომ დაუსაბუთებლად უარყო ერთი და მიიღო მეორე მტკიცებულება.

მსჯავრდებულის განმარტებით, მან 2006 წლის 23 აპრილს, გვიან ღამით, რესტორან „თეთრი სახლიდან« გამოსვლის შემდეგ, ზურგის არეში მიიღო ჭრილობა, დაკარგა გონება და გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც აღმოჩნდა, რომ წელს ზევით იყო შიშველი; მას რესტორანში შესვლამდე შარვლის საქამრეზე ჩამოვიდებული ჰქონდა შავტარიანი დანა, რომელიც რესტორნის დაცვას ჩააბარა, რესტორნიდან გასვლისას კი დანის აღება დაავიწყდა; ჩხუბში მონაწილეობა არ მიუღია და არც დანაშაული ჩაუდენია; მტკიცებულებები ურთიერთგამომრიცხავი შინაარსისაა და შეუძლებელია, კონკრეტულად დადგინდეს ბ. მ-შვილის ქმედების მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ხასიათი; საქართველოს სსკ-ის 162-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღმატებოდეს 9 თვეს და ეს ვადა აითვლება დაკავების მომენტიდან; იგი დააკავეს 2006 წლის 24 აპრილს, ამიტომ მის მიმართ ამოწურულია პატიმრობაში ყოფნის 9-თვიანი ვადა და დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

გარდა აღნიშნულისა, დაზარალებულების -გ. ფ-ევისა და დ. ქ-შვილის ჩვენებები ურთიერთგამომრიცხავი ხასიათისაა; გ. ფ-ევმა დამნაშავე აღწერა, როგორც მაღალი, გამხდარი, შავი ფერის ხუჭუჭთმიანი კაცი, რომელშიც მან ბ. მ-შვილი ვერ ამოიცნო; არ ემთხვევა დაზარალებულების ჩვენება ნ. თ-ძისა და გ. ფ-ევის დაჭრის რიგითობის შესახებ; უფრო მეტად გასაზიარებელია გ. ფ-ევის ჩვენება ნ. თ-ძის მკვლელობის ეპიზოდთან დაკავშირებით, რადგან იგი მის გვერდით იდგა და თვითონაა ამ ფაქტის თვითმხილველი; შეუძლებელია, გ. ფ-ევი ცდებოდეს მოცემულ საქმეზე მტკიცების საგანთან დაკავშირებული გარემოებების გადმოცემაში, მის მიერ აღწერილი პირი კი ბ. მ-შვილი არ არის, რადგან არა აქვს ხუჭუჭი თმა და არ არის მაღალი; შესაძლებელია, დ. ქ-შვილი კეთილ-სინდისიერად ცდებოდეს ნ. თ-ძის გარდაცვალების გარემოებების გადმოცემისას მისი ასაკის, შექმნილი აურზაურისა და მიღებული სტრესის გამო; აღსანიშნავია, რომ არც ერთი მოწმე და დაზარალებული არ უთითებენ დ. ქ-შვილის დაჭრის გარემოებებზე, რადგან აღნიშნული არავის უნახავს; ყველა თვითმხილველი დაკითხულია მაშინვე, 2006 წლის 24 აპრილს, ხოლო დ. ქ-შვილი -მომხდარიდან 4 დღის შემდეგ, 27 აპრილს, რაც სერიოზულ ეჭვს ჰბადებს მასზე განხორციელებული ზეწოლის თაობაზე, ბრალდების მხარისათვის სასურველი ჩვენების მიღების თვალსაზრისით; დ. ქ-შვილის ჩვენებას ეჭვქვეშ აყენებს მოწმის სახით დაკითხული ა. რ-ვას ჩვენება, რომლითაც დადგენილია, რომ ამოსაცნობად წარდგენილი ფოტოსურათებიდან მან ვერ ამოიცნო ბ. მ-შვილი როგორც დანაშაულის ჩამდენი პირი. თვით ბ. მ-შვილს ბეჭის არეში მჩხვლეტავი, ბასრი საგნით მიყენებული აქვს ჭრილობა; ასევე ოთხი შემავალი ჭრილობა აქვს მიყენებული ა. გ-ურს ზურგში; უტყუარადაა დადგენილი, რომ ბ. მ-შვილი, წელს ზევით შიშველი, უგონოდ ეგდო, რესტორნის შესასვლელ ჭიშკართან, ხოლო ნ. თ-ძე მოკლეს ეზოს სიღრმეში; საქმეში დაკითხული არც ერთი პირი არ უთითებს მასზე როგორც დანაშაულის ჩამდენზე; ექსპერტიზის დასკვნით, დ. ქ-შვილს მიყენებული აქვს სხეულის მსუბუქი დაზიანება ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით, ამიტომ მისთვის დაზიანების მიყენების ფაქტი არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს განზრახ მკვლელობის მცდელობად დამამძიმებელ გარემოებებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებული ბ. მ-შვილი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 13 ნოემბრის განაჩენის გაუქმებასა და სასჯელის შემცირებას, რადგან არასწორად აქვს სასჯელები შეკრებილი.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

დაზარალებულ დ. ქ-შვილის ჩვენებებით დადგენილია, რომ რესტორნის ეზოში ხალხმრავლობა იყო. გ. ფ-ევმა და ნ. თ-ძემ მოუწოდეს ახალგაზრდებს, დაეტოვებინათ რესტორანი და წასულიყვნენ სახლში, რაც მათ იუკადრისეს. ვითარება დაიძაბა. დ. ქ-შვილმა დააპირა, გასცლოდა ახალგაზრდებს, რა დროსაც ნ. თ-ძემ დაიძაბა -დამჭრესო. ამ უკანასკნელმა ჩაიმუხლა. მასთან იდგა გ. ფ-ევი, რომელმაც ასევე იყვირა -დამჭრესო და მანაც დაიჩოქა. ნ. თ-ძესთან და გ. ფ-ევთან იდგა მხოლოდ ბ. მ-შვილი, რომელსაც დანიანი მარცხენა ხელი აღმარული ჰქონდა და დ. ქ-შვილს მოუქნია. ამ უკანასკნელმა დანას თავისი ხელი დაუხვედრა და დაიჭრა იდაყვთან, რის შემდეგ გაიქცა, რადგან ეშინოდა, მისთვის დანა განმეორებით არ დაერტყა.



დაზარალებულმა გ. ფ-ევმა განმარტა, რომ იგი და ნ. თ-ძე ერთმა პირმა დაჭრა. ამ დროს რესტორნის ეზოში, გ. ფ-ევის გარდა, იმყოფებოდნენ მხოლოდ ნ. თ-ძე, დარაჯი და ის პირი, ვინც ჭრილობები მიაყენა დაზარალებულებს.

თავად მსჯავრდებულმა სასამართლოს განუმარტა, რომ ჰქონდა შავ ტარიანი დანა, რომელიც რესტორანში შესვლამდე დაცვის თანამშრომლებს ჩააბარა. რესტორნიდან გამოსვლისას დანის წამოღება დაავიწყდა.

მოწმე ლ. დ-შვილმა განმარტა, რომ შემთხვევის დღეს ჩხუბში მონაწილე პირებმა რესტორანში შესვლამდე 2 დანა ჩააბარეს დაცვის სამსახურის თანამშრომლებს. მათი წასვლისას დანა მეპატრონეებს დაუბრუნდათ. გამორიცხულია, რომ დაცვის თანამშრომლებს დანა ჰქონოდათ ან გამოეყენებინათ.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის შესაბამისად, აღმოჩენილ და ამოღებულ იქნა შავ ტარიანი საკეცი დანა, რომლის პირზე აღინიშნება სისხლის მაგვარი ლაქები.

სასამართლო-ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, აღნიშნულ დანაზე აღმოჩნდა ადამიანის იმ ჯგუფის სისხლი, რაც ჰქონდა ნ. თ-ძეს და აქვს გ. ფ-ევს, დ. ქ-შვილს, ა. გ-ურს და ბ. მ-შვილს.

უსაფუძვლოა კასატორის მითითება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას ამოიწურა მისი პატიმრობის 9-თვიანი ვადა. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს ამ საკითხზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას.

საქართველოს სსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით და აღნიშნავს, რომ ა. გ-ურის და მ. ნ-ძის მიერ მათთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა უტყუარადაა დადასტურებული საქმეში არსებული მტკიცებულებებით, რომლებიც სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ გაანალიზა და სწორად შეაფასა. ასევე უდავოდ დადგენილია, რომ ბ. მ-შვილმა ჩაიდინა განზრახ მკვლელობა ხულიგნური ქვენაგრძნობით.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ბ. მ-შვილი დანაშაულის ჩადენისას მოქმედებდა «არა ერთი განზრახვით, არამედ თითოეული დაზარალებულის მიმართ კონკრეტული განზრახვით». ამ დასკვნის დასასაბუთებლად მოშველიებულია დ. ქ-შვილის ჩვენება, რომლის მიხედვით ბ. მ-შვილის ქმედება «თანმიმდევრულად განხორციელდა, მან «ჯერ დაჭრა ნ. თ-ძე, შემდეგ -გ. ფ-ევი და ამის შემდეგ დ. ქ-შვილისაკენ წამოვიდა».

აღნიშნული დასკვნის შესაბამისად, მოხდა არა ორი ან მეტი პირის მკვლელობის მცდელობა, არამედ მკვლელობის მცდელობა არაერთგზის, რაც ბ. მ-შვილს ბრალად არ შერაცხვია. იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო პალატამ ფაქტობრივად უარყო ბ. მ-შვილის მხრიდან ორი ან მეტი პირის მკვლელობის მცდელობის განზრახვა და განაჩენი ბრალდების მხარის წარმომადგენელს არ გაუსაჩივრებია, განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის «ა» პუნქტი (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) და ბრალდების ამ ნაწილში ბ. მ-შვილის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

საკასაციო პალატა აქვე აღნიშნავს, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მსჯავრდებულის ქმედების კვალიფიკაციიდან გამომდინარე, ბ. მ-შვილს უნდა დანიშნოდა ერთი სასჯელი. ერთი სასჯელი უნდა დანიშნულიყო მსჯავრდებულის ქმედების მე-19, 109-ე მუხლის «ო» პუნქტით (მკვლელობის მცდელობა არაერთგზის) დაკვალიფიცირების შემთხვევაშიც.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 568-ე მუხლით და

## დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ბ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ნოემბრის განაჩენიდან ბ. მ-შვილის მიმართ ამოირიცხოს საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ნაწილში ბ. მ-შვილის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

ბ. მ-შვილს საბოლოოდ მოსახდელად დარჩეს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი -11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის ა. გ-ურისა და მ. ნ-ძის მსჯავრდების ნაწილში, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა

### განჩინება

#2274-აპ

17 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყემელაშვილი

განიხილა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ ნ. ც-ელისა და მსჯავრდებულ მ. დ-ძის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

საბრალდებო დასკვნით მ. დ-ძეს ბრალი დაედო საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» და ამავე მუხლის მესამე ნაწილის «დ» ქვეპუნქტებით, 362-ე მუხლის პირველი ნაწილით, 369-ე მუხლის მესამე ნაწილით, 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ე» ქვეპუნქტით, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის «ე», «ზ», «თ» ქვეპუნქტებით, 363-ე მუხლის მეორე ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), 373-ე მუხლით (2006 წლის 31 მაისიდან მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2004 წლის 13 მაისს, დაახლოებით 16.00 საათზე, მ. დ-ძე ნ. ე-ძესთან ერთად იმყოფებოდა ქ. თბილისში, ენგელსის ქუჩაზე, 343-ე საშუალო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, რა დროსაც შევიდნენ სკოლის საპირფარეოში. იმ დროს, როდესაც მ. დ-ძე და ნ. ე-ძე იმყოფებოდნენ სკოლის დერეფანში, შეამჩნიეს, რომ ამავე სკოლის პედაგოგს, ლ. ხ-ძეს, საკლასო ოთახში დატოვებული ჰქონდა ხელჩანთა. მათ განიზრახეს, მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდნენ აღნიშნულ ხელჩანთას და მასში არსებულ ფასეულობას. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მ. დ-ძე შევიდა საკლასო ოთახში და მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა ლ. ხ-ძის კუთვნილ ხელჩანთას, ღირებულს 30 ლარად, რომელშიც იდო თანხა -15 ლარი, ლოცვების წიგნი და სხვა პირადი ნივთები, რითაც დაზარალებულს მიაყენა 45 ლარის ზიანი. ამის შემდეგ მ. დ-ძემ ფარულად გატაცებული ხელჩანთა გადასცა ნ. ე-ძეს, რომელმაც იგი დამალა ქურთუკის ქვეშ. ხელჩანთის ქურდობის ფაქტი დაზარალებულმა ლ. ხ-ძემ მალევე აღმოაჩინა და გამოიძახა ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველოს თანამშრომლები, რომლებმაც ნ. ე-ძე დააკავეს შემთხვევის ადგილზე, რა დროსაც ჩატარებული პირადი ჩხრეკისას მისგან ამოღებულ იქნა ფარულად გატაცებული ლ. ხ-ძის კუთვნილი ხელჩანთა, ხოლო მ. დ-ძე შემთხვევის ადგილიდან მიიძალა. მანვე შეიტყო რა, რომ ჩადენილი დანაშაულისათვის დაკავებული იყო ნ. ე-ძე, ვითარების გარკვევის მიზნით, მივიდა მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველოში, სადაც ეს უკანასკნელი ეჭვმიტანილის სახით იკითხებოდა, მაგრამ, ვინაიდან მან სათანადოდ არ იცოდა ქართულად წერა-კითხვა, დიდ დროს ანდომებდა მის მიერ არჩეული დუმილის უფლების დაკითხვის ოქმში პროცესუალურად დაფიქსირებას. ამის გამო პოლიციის თანამშრომლებმა მ. დ-ძეს, როგორც მის ახლობელს, შესთავაზეს დაკითხვის ოქმში ნ. ე-ძის ნაცვლად ჩანაწერების გაკეთება. მ. დ-ძე, მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, დათანხმდა პოლიციის თანამშრომლებს და ეჭვმიტანილის სახით დაკითხვის ოქმში, ნ. ე-ძის ნაცვლად, გააკეთა ჩანაწერები, რითაც შექმნა რა ყალბი ოფიციალური დოკუმენტი, მოახდინა მძიმე დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაცია, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი -ნ. ე-ძე მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის მიცემულ იქნა ბრალდებულის სახით პასუხისგებაში და აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა დაპატიმრება.

2005 წლის 28 ნოემბერს მ. დ-ძე იმყოფებოდა ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე, რა დროსაც შენიშნა, რომ მოქ. ლ. ნ-შვილმა გზის სავალ ნაწილზე გააჩერა თავისი კუთვნილი «ჰონდა-სივიკის» მარკის ავტომანქანა და გადმოვიდა სალონიდან, რა დროსაც მანქანის გასაღები დატოვა მორგებულ მდგომარეობაში. ამასთან, ავტომანქანაში დარჩა მისი ფეხმძიმე მეუღლე -თ. ზ-შვილი, რომელიც იჯდა მანქანის წინა, მარჯვენა სავარძელზე. მ. დ-ძემ განიზრახა მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, დაუფლებოდა აღნიშნულ ავტომანქანას. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, იგი ჩაჯდა ლ. ნ-შვილის კუთვნილ ავტომანქანაში და თ. ზ-შვილს, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ ფეხმძიმედ იყო, დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით, თუ იგი რაიმე ხერხით შეუშლიდა ხელს. ამასთან, იმ მიზნით, რომ მის მიერ ავტომანქანის გატაცება არ შეფერხებულიყო და გაადვილებოდა დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანა, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობისა და მოკვლის მუქარით, არ მისცა თ. ზ-შვილს ავტომანქანიდან გადასვლის საშუალება, რითაც უკანონოდ აღუკვეთა თავისუფლება და დიდი სიჭქარით

დაძრა ავტომანქანა. თ. ზ-შვილმა გააღო ავტომანქანის კარი და ცდილობდა თავის დაღწევას, მაგრამ მ. დ-მემ კვლავ არ მისცა მანქანიდან გადასვლის საშუალება და თ. ზ-შვილს მოკვლით დაემუქრა, თუ იგი არ შეწყვეტდა ყვირილს და მანქანიდან გადასვლის მცდელობას. თ. ზ-შვილმა რეალურად აღიქვა მუქარა, რის გამოც იძულებული გახდა, დამორჩილებოდა მას. დაახლოებით 700-800 მეტრის გავლის შემდეგ, გზის სავალ ნაწილზე არსებულ ორმოსთან, მ. დ-მე იძულებული გახდა, შეენელებინა მოძრაობა, რითაც ისარგებლა თ. ზ-შვილმა და გადმოხტა ავტომანქანიდან, ხოლო მ. დ-მე დაეუფლა რა ავტომანქანას, გააგრძელა მოძრაობა და მიიმალა შემთხვევის ადგილიდან. აღნიშნული ავტომანქანის დაუფლებისას მ. დ-მემ, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, გაიტაცა ლ. ნ-შვილის კუთვნილი მნიშვნელოვანი დოკუმენტებიც, ავტომანქანის ტექნიკური პასპორტი და ლ. ნ-შვილს მიაყენა 3500 აშშ დოლარის ზიანი.

2006 წლის 4 აგვისტოს მ. დ-მე ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებისათვის დაჯარიმდა 100 ლარით. მიუხედავად ამისა, მან არ გააკეთა სათანადო დასკვნები და კვლავ განაგრძო ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარება, კერძოდ: 2006 წლის 30 ოქტომბერს მან ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ კვლავ მიიღო ნარკოტიკული საშუალება, რის შემდეგაც დაკარგა გონება. ამის გამო იგი ახლოვლებმა გადაიყვანეს ქ. თბილისის V კლინიკურ საავადმყოფოში, სადაც დაუდგინდა დიაგნოზი -ნარკომანია. შესაბამისი მკურნალობის შემდეგ მ. დ-მე იმავე დღეს გამოეწერა საავადმყოფოდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 7 სექტემბრის განაჩენით:

მ. დ-მეს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ე» ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისის რედაქცია) წარდგენილი ბრალდება და ბრალდების ამ ნაწილში გამართლდა.

მ. დ-მეს ასევე მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მეორე ნაწილის «ე», «ზ», «თ» ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისის რედაქცია) წარდგენილი ბრალდება და ბრალდების ამ ნაწილშიც გამართლდა.

მ. დ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის (2006 წლის 31 მაისის რედაქცია) 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის «დ» ქვეპუნქტით -6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 369-ე მუხლის მესამე ნაწილით -4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით -1 წლით თავისუფლების აღკვეთა, 362-ე მუხლის პირველი ნაწილით -1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მ. დ-მე პატიმრობაში იმყოფება 2006 წლის 15 დეკემბრიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალოს 2005 წლის 4 დეკემბრიდან 2005 წლის 7 დეკემბრის ჩათვლით პატიმრობაში ყოფნის პერიოდი.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ნ. ც-ელმა და მსჯავრდებულმა მ. დ-მემ.

პროკურორი ნ. ც-ელი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას და მ. დ-მის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის (2006 წლის 31 მაისიდან მოქმედი რედაქცია) 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» და ამავე მუხლის მესამე ნაწილის «დ» ქვეპუნქტებით, 362-ე მუხლის პირველი ნაწილით, 369-ე მუხლის მესამე ნაწილით, 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ე» ქვეპუნქტით, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის «ე», «ზ», «თ» ქვეპუნქტებით, 363-ე მუხლის მეორე ნაწილით, 273-ე მუხლით და საბოლოოდ მისთვის 25 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას.

მსჯავრდებულმა მ. დ-მემ და მისმა ადვოკატმა დააზუსტეს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და მოითხოვეს განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ: მ. დ-მის გამართლება საქართველოს სსკ-ის 177-ე, 362-ე, 369-ე მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებებში, ხოლო 273-ე მუხლით -სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა პროკურორის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და გასაჩივრებულ განაჩენში შევიდა ცვლილება, კერძოდ:

მ. დ-მეს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის (2006 წლის 31 მაისის რედაქცია) 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ე» ქვეპუნქტით, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის «ე», «ზ», «თ» ქვეპუნქტებით, 362-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილი ბრალდებები და ამ ნაწილში გამართლდა.

მ. დ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის (2006 წლის 31 მაისის რედაქცია) 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «დ» ქვეპუნქტით -6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 369-ე მუხლის მესამე ნაწილით -4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით -1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორი ნ. ც-ელი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას ახალი სასამართლო განხილვისათვის იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; სააპელაციო სასამართლომ მ. დ-მე გამართლა წარდგენილი ბრალდების ნაწილში საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ე»

ქვეპუნქტით, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის «ე», «ზ», «თ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და გაიზიარა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის სასამართლო მ. დ-ძის ჩვენება, რომელმაც უარყო ლ. ნ-შვილზე ყაჩაღური თავდასხმისა და თ. ზ-შვილის თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტი. განაჩენის სამოტივაციო ნაწილში სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო დაზარალებულ თ. ზ-შვილის ფსიქიკური აღქმის ფაქტორს მის მიმართ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებასთან მიმართებით და გაიზიარა მისი ჩვენების მხოლოდ ის ნაწილი, როდესაც მან უარყო მ. დ-ძის მონაწილეობა მასზე განხორციელებულ თავისუფლების უკანონო აღკვეთაში და შეფასება არ მისცა დაზარალებულების -ლ. ნ-შვილისა და თ. ზ-შვილის ჩვენებებს - ერთმანეთთან და საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით. სასამართლომ შეფასება არ მისცა იმ გარემოებას, რომ თ. ზ-შვილმა თანმიმდევრული ჩვენება მისცა როგორც მომხდარ ფაქტთან, ისე, თავდამსხმელის გარეგნულ აღწერილობასთან დაკავშირებით. თ. ზ-შვილის ჩვენებით, პირს, რომელიც მანქანაში ჩაჯდა და უკანონოდ, მისი ნების საწინააღმდეგოდ, აღუკვეთა თავისუფლება, შუბლზე ჩამოფარებული ჰქონდა ქუდი, ხოლო ქურთუკის საყელო -ბოლომდე აწეული და სახე კარგად არ უჩანდა. ასეთ ვითარებაში არც არის გასაკვირი, რომ თ. ზ-შვილს ვერ ამოეცნო მ. დ-ძე, თუმცა თ. ზ-შვილის ჩვენებით, მ. დ-ძე თავდამსხმელს ჰგავდა. ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უსაფუძვლოდ გაიზიარა თ. ზ-შვილის ვარაუდი, რომ მის მეუღლეს არ შეეძლო, დაენახა მის გვერდით მჯდომი პიროვნება, რაც ბრალდებას მიაჩნია, რომ თ. ზ-შვილის მხრიდან ზედმეტად სუბიექტურია და დამაფიქრებელი. ამასთან ერთად, მტკიცებულებათა ერთობლივად შეფასებისას გასათვალისწინებელია ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ წინასწარი გამოძიება დაწყებულია 2005 წლის 28 დეკემბერს ლ. ნ-შვილის კუთვნილი ავტომანქანის გატაცების ფაქტზე და აღნიშნული ა/მანქანა ლ. ნ-შვილის მეგობარმა შ. მ-შვილმა ნახა 2006 წლის 15 დეკემბერს -მ. დ-ძის დაკავების შემდეგ.

მსჯავრდებული მ. დ-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას ან საქმის დაბრუნებას ახალი სასამართლო განხილვისათვის იმ მოტივით, რომ მას თავისუფლების სანაცვლოდ ხელი დაადო რამდენჯერმე სასამართლოვმა ვინმე ე-ძემ, რის გამოც დღემდე უდანაშაულოდ იმყოფება საპატიმროში. კასატორი ითხოვს ასევე მისი ოჯახური მდგომარეობის მხედველობაში მიღებას, კერძოდ, რომ ჰყავს მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი, რომელიც იზრდება ნათესავეებთან.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა გ. შ-ძემ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები, მან მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება.

საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულმა მ. დ-ძემ მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პროკურორის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ მ. დ-ძის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება პროკურორის საკასაციო საჩივრის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ მ. დ-ძე უკანონოდ გაამართლა წარდგენილი ბრალდების ნაწილში საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის «ე» ქვეპუნქტით, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის «ე», «ზ», «თ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის; სასამართლომ შეფასება არ მისცა იმ გარემოებას, რომ თ. ზ-შვილმა თანმიმდევრული ჩვენება მისცა როგორც მომხდარ ფაქტთან, ისე, თავდამსხმელის გარეგნულ აღწერილობასთან დაკავშირებით.

საკასაციო პალატა ეთანხმება I-ლი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენების დასკვნას იმის თაობაზე, რომ მხოლოდ დაზარალებულ ლ. ნ-შვილის ჩვენებები, რომლებითაც ის ამხელდა მ. დ-ძეს განსახილველი დანაშაულის ჩადენაში, არ იყო საკმარისი მტკიცებულება მ. დ-ძის მსჯავრდებისათვის აღნიშნულ ეპიზოდში.

სასამართლო გამოძიებისას დაიკითხა დაზარალებული თ. ზ-შვილი, რომლის მიმართაც უშუალოდ განხორციელდა ყაჩაღური თავდასხმა და თავისუფლების უკანონო აღკვეთა. თ. ზ-შვილმა როგორც წინასწარი გამოძიებისას, ასევე, სასამართლოში საქმის განხილვისას თანმიმდევრულად აღწერა, თუ როგორ მოხდა მასზე ყაჩაღური თავდასხმა და მისი თავისუფლების უკანონო აღკვეთა. წინასწარი გამოძიებისას მან ასევე დეტალურად აღწერა დანაშაულის ჩადენი პირის გარეგნობა და განაცხადა, რომ კარგად დაიმახსოვრა მისი სახე და ნახვის შემთხვევაში შეუძლია ამოცნობა. პირის ფიზიკურად ამოცნობისას თ. ზ-შვილმა ამოსაცნობ პირთა შორის ვერ შეძლო ვერც ერთი პირის ამოცნობა, თუმცა მიუთითა, რომ მ. დ-ძე «ჰგავს იმ პირს, რომელმაც გაიტაცა მათი კუთვნილი ავტომანქანა, მაგრამ ეს ის პიროვნება არ არის, რადგან მისი აღწერილობა მხოლოდ მიემსგავსება ამ პირის აღწერილობას». სასამართლო სხდომაზე ჩვენების მიცემისას თ. ზ-შვილმა განაცხადა, რომ არ იცნობს განსასჯელს და კატეგორიულად უარყო მის მიერ აღნიშნული დანაშაულის ჩადენა, მან განმარტა, რომ, მართალია, მისმა მეუღლემ ამოიცნო განსასჯელი, მაგრამ მეუღლეს არ შეეძლო, დაენახა მის გვერდით მჯდომი პიროვნება. თვითონ უფრო ახლოს ხედავდა ამ პიროვნებას, ვიდრე მისი მეუღლე -ლ. ნ-შვილი და მიუხედავად ამისა, მან ვერ ამოიცნო აღნიშნული პიროვნება. მისივე განცხადებით, მან კარგად დაიმახსოვრა დანაშაულის სახე და ნახვის შემთხვევაში შეუძლია მისი ამოცნობა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ გარდა ამ ორი პირის ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებისა, საქმის მასალებში არ მოიპოვება სხვა მტკიცებულება, რაც უტყუარად დაადასტურებდა მ. დ-ის მიერ ზემოაღნიშნულ დანაშაულთა ჩადენას.

საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილების თანახმად, დადგენილება ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა, გამამტყუნებელი განაჩენი და ყველა სხვა საპროცესო გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვიტანისა და ბრალდებულის სასარგებლოდ.

ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოებმა უგულებელყვეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნები საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვის თაობაზე მ. დ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 369-ე მუხლის მესამე ნაწილით წარდგენილი ბრალდების ეპიზოდებში.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მ. დ-ის მსჯავრდებას ქურდობის ეპიზოდში საფუძვლად დაედო მხოლოდ ამავე ბრალდების საქმეზე ბრალდებულისა და მოწმის სახით დაკითხული ნ. ე-ის მიერ მიცემული არათანმიმდევრული, წინააღმდეგობრივი, მამხილებელი ჩვენებები, მაშინ, როდესაც გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად უნდა დაედოს მხოლოდ ეჭვის გამომრიცხავ, ურთიერთშეთანხმებული, უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, კერძოდ:

I-ლი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მიერ მ. დ-ის საქმის განხილვისას ნ. ე-ის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებები არ ყოფილა გამოკვლეული მათი გამოქვეყნების გზით.

სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაკითხვისას ნ. ე-მემ განმარტა, რომ ტუალეტში შესვლა უნდოდა მ. დ-მეს. სკოლის ეზოში შევიდნენ და ავიდნენ მეორე სართულზე, ის პირველი შევიდა ტუალეტში. რომ გამოვიდა, მ. დ-მემ მიაწოდა ჩანთა, მან იკითხა, თუ რა იყო. მ. დ-მემ უთხრა, რომ დაეკავებინა და ის მალე გამოვიდოდა საპირფარეშოდან. მას ელოდებოდა, მაგრამ არ გამოჩნდა. ამ დროს კლასიდან გამოვარდა ერთი ქალი და ჩანთა გამოგლიჯა. ის მას ჩანთას არ აძლევდა, უთხრა, რომ პირი, რომელმაც ჩანთა მისცა, საპირფარეშოში იყო შესული. ერთ წუთში გამოვიდა სასწავლო ნაწილი, მასაც უნდოდა მისთვის ჩანთის გამორთმევა, მაგრამ არ მისცა. მერე შეიყვანეს დირექტორის კაბინეტში, დარეკეს პოლიციაში, ჩანთა წაართვეს და ისიც პოლიციაში წაიყვანეს. ასევე უჩვენა, რომ ორივეს შეემლო შესვლა საპირფარეშოში, რადგან იქ სამი კაციც დაეტეოდა. არ იცის, რატომ არ შევიდა მასთან ერთად მ. დ-მე. მან ტუალეტთან მისცა ჩანთა, მერე კი დაიკარგა. ის დააკავეს დირექტორის კაბინეტში. მან მ. დ-მეზე მიუთითა, რომ იგი ტუალეტში იყო შესული, გამომძიებელსაც აუხსნა, რომ ჩანთა მისი არ იყო. ის და მ. დ-მე იცნობენ ერთმანეთს 2003 წლიდან, მან ის დაასმინა. ის მშვირი იყო და ყველი მოიპარა, 1 კილოც კი არ ყოფილა ყველი და გამოუშვეს, მაგრამ მას ეს გულში არ ჩაუხვევია.

საქმის მასალების მიხედვით, ნ. ე-ის მიერ აღნიშნულ ჩვენებაში მითითებული გარემოებები არ დასტურდება დაზარალებულ ლ. ხ-ისა და ჩხრეკაში მონაწილე პირების მიერ წინასწარ და სასამართლოში მიცემული თანმიმდევრული ჩვენებებით; საქმეში კი არ არის არც ერთი სხვა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ნ. ე-ის აღნიშნულ ჩვენებას, კერძოდ:

დაზარალებული ლ. ხ-მე როგორც წინასწარ გამოძიებაში, ასევე, სასამართლო პროცესზე მიცემულ ჩვენებებში განმარტავს, რომ, როდესაც ის შევიდა ოთახში, ერთ-ერთმა მოსწავლემ უთხრა, რომ ვიღაც კაცი შევიდა ოთახში და იმან გაიტანა ხელჩანთა. ისინი ორივენი გამოვიდნენ გარეთ, დერეფანში, სადაც იმავე ბავშვმა მიუთითა ვიღაც კაცზე, რომელიც გადიოდა ქუჩაში. ის მას გამოეკიდა და გააჩერა ადგილზე. თავის თანამშრომლებს სთხოვა, დაერეკათ პოლიციაში, ის გაჩერებული ჰყავდა სკოლის შესასვლელ კართან. მას რამდენჯერმე სთხოვა, რომ დაებრუნებინა ჩანთა, მაგრამ ის უარზე იყო. ამ დროს მივიდნენ პოლიციის თანამშრომლები. მან მათ აუხსნა ვითარება. ყოველივე ამის შემდეგ, ორი მოქალაქის თანდასწრებით, მას ჩაუტარეს ჩხრეკა, რა დროსაც ქურთუკის უბიდან ამოუღეს ხელჩანთა. როგორც შემდეგ მისთვის გახდა ცნობილი, ეს პიროვნება არის ნ. ე-მე. დაზარალებული იმავეს ამბობს შემდეგ ჩვენებაში, ამასთან, დამატებით უჩვენა, რომ ჩანთა იმ პირს ისე ედო უბეში, რომ არ უჩანდა და მის მოთხოვნაზე, რომ მას ჩანთა დაებრუნებინა, უპასუხა: «რა ჩანთა, მე არაფერი არ მაქვსო». დაზარალებულმა ლ. ხ-მემ სასამართლო პროცესზე მისცა ანალოგიური ჩვენება: მოსწავლემ მას მიუთითა ვიღაც პიროვნებაზე, რომელიც გადიოდა, ის მას გამოეკიდა და გააჩერა სკოლის კართან, სთხოვა ჩანთის დაბრუნება, მაგრამ მან არ დააბრუნა. ამ დროს მივიდა პოლიცია, რომელიც გამოიძახა მისმა თანამშრომელმა. ჩხრეკის დროს ამ მითითებულ პიროვნებას ქურთუკის უბიდან ამოუღეს თავისი ხელჩანთა.

ამდენად, დაზარალებულ ლ. ხ-ის აღნიშნულ ჩვენებებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე, რომ პოლიციის თანამშრომლებმა ნ. ე-მეს ჩხრეკის შედეგად უბიდან ამოუღეს ხელჩანთა, რომელიც მან მისი მოთხოვნით ნებაყოფლობით არ წარმოადგინა. ის უარყოფდა, რომ ჰქონდა ხელჩანთა და მას ხელჩანთა არ უჩანდა, -განსხვავებულად უჩვენებს ნ. ე-მე თავის ჩვენებაში, კერძოდ: მან განმარტა, რომ ის ელოდებოდა მ-ს, მაგრამ არ გამოჩნდა. ამ დროს კლასიდან გამოვარდა ერთი ქალი და ჩანთა გამოგლიჯა. ის მას ჩანთას არ აძლევდა, უთხრა, რომ პირი, რომელმაც ჩანთა მისცა,

საპირფარეშოში იყო შესული. ერთ წუთში გამოვიდა სასწავლო ნაწილი, მასაც უნდოდა მისთვის ჩანთის გამორთმევა, მაგრამ არ მისცა. მერე შეიყვანეს დირექტორის კაბინეტში და დარეკეს პოლიციაში.

დაზარალებულ ლ. ხ-მის ჩვენებები მთლიანად დადასტურებულია ჩხრეკაში დამსწრეების სახით მონაწილე პირების, მოწმეების სახით დაკითხული ა. ზ-მისა და ლ. შ-მის ჩვენებებითა და პირადი ჩხრეკის ოქმით - ჩხრეკის შედეგად ნ. ე-მის ქურთუკის უბიდან ამოღებულ იქნა შავი ფერის ხელჩანთა, რომელიც მან ნებაცოფლობით არ წარმოადგინა.

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენით მ. დ-მის მსჯავრდებას ქურდობის ნაწილში საფუძვლად უდევს მხოლოდ ე-მის მიერ მიცემული ჩვენება, რომელშიც მითითებული ფაქტობრივი გარემოებები არ არის დადასტურებული საქმეში არსებული სხვა, უტყუარი მტკიცებულებებით, რის გამოც უნდა შეწყდეს მ. დ-მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «დ» ქვეპუნქტით მსჯავრდების ნაწილში.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმის მასალებითა და განაჩენით ასევე არ არის დადასტურებული მ. დ-მის მიერ საქართველოს სსკ-ის 369-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია) ჩადენა.

მართალია, პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მ. დ-მემ თავი ცნო დანაშავედ საქართველოს სსკ-ის 369-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში, მაგრამ მის მიერ მიცემული ჩვენებიდან ჩანს, რომ იგი არ არის გარკვეული, თუ რას ნიშნავს მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია და თავს დანაშავედ ცნობს მხოლოდ იმაში, რომ თავისი ჩანაწერით გააყალბა ნ. ე-მის ექვმიტანილის სახით დაკითხვის ოქმი, კერძოდ, მან უჩვენა, რომ ქურდობა არ ჩაუდენია, სკოლის შენობის გარეთ იდგა ნ. ე-მესთან ერთად, მათ ერთად დალიეს. ნ. ე-მემ უთხრა, რომ ტუალეტში უნდოდა და სთხოვა, რომ გაჰყოლოდა. მას უზნელი შეხვდა და ელაპარაკებოდა. ნ. ე-მე შევიდა სკოლაში. ამ დროს მოვიდა პოლიცია. მასაც უნდოდა შესვლა ტუალეტში, მაგრამ უზნელს ელაპარაკებოდა. 5 წუთში პოლიცია შევარდა და ნ. ე-მე გამოიყვანეს, ისიც ჩასვეს მანქანაში და წაიყვანეს პოლიციაში. მის შესახებ ყოყმანობდნენ, მაგრამ მერე გამოუშვეს, ნ. ე-მე კი დატოვეს. იგი იმ დღეს დაესწრო ნ. ე-მის დაკითხვას, ოქმი გააყალბა თავისი ჩანაწერით, ბოლო ნაწილი დაწერა თავისი ხელით, რადგან ნ. ე-მეს უჭირდა ქართულად წერა, რაშიც თავს ცნობს დანაშავედ. გამომძიებელი ამ დროს გასული იყო, ე.ი. მან ფაქტობრივად თავი ცნო დანაშავედ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლით წადგენილ ბრალდებაში.

საბრალდებო დასკვნით მის მიერ საქართველოს სსკ-ის 369-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა გამოიხატა იმაში, რომ ვინაიდან ნ. ე-მემ სათანადოდ არ იცოდა ქართულად წერა-კითხვა, დიდ დროს ანდომებდა მის მიერ არჩეული დუმილის უფლების დაკითხვის ოქმში პროცესუალურად დაფიქსირებას. ამის გამო პოლიციის თანამშრომლებმა მ. დ-მეს, როგორც მის ახლობელს, შესთავაზეს დაკითხვის ოქმში ნ. ე-მის ნაცვლად ჩანაწერების გაკეთება. მ. დ-მე მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით დათანხმდა პოლიციის თანამშრომლებს და ექვმიტანილის სახით დაკითხვის ოქმში ნ. ე-მის ნაცვლად გააკეთა ჩანაწერები, რითაც შექმნა რა ყალბი ოფიციალური დოკუმენტი, მოახდინა მძიმე დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაცია, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი - ნ. ე-მე მიცემულ იქნა ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის და აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა დაპატიმრება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საბრალდებო დასკვნითა და განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ მტკიცებულების ფალსიფიკაციამ გამოიწვია მძიმე შედეგი - ნ. ე-მე მიცემულ იქნა ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, რაც აუცილებელია ფალსიფიკაციის დანაშაულებრივი ქმედების ობიექტური შემადგენლობისათვის, საქმის მასალებით არ არის დადასტურებული, რადგან ნ. ე-მის მიერ მ. დ-მის მხილების შემდეგაც, ჩადენილი დანაშაულისათვის ნ. ე-მე მ. დ-მესთან ერთად მიცემულ იქნა ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» და ამავე მუხლის მესამე ნაწილის «დ» ქვეპუნქტებით, ხოლო 2007 წლის 10 თებერვალს ბრალდებულ ნ. ე-მის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა, ვინაიდან გავიდა ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში ყოფნის 12-თვიანი ვადა. ამდენად, მ. დ-მის მიერ ნ. ე-მის ექვმიტანილის სახით დაკითხვის ოქმის გაყალბებას, რაშიც მხილებულ იქნა მ. დ-მე, გავლენა არ მოუხდენია ნ. ე-მის ბრალეულობაზე, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა არა იმიტომ, რომ მას არ დაუდასტურდა დანაშაულის ჩადენა მ. დ-მის მიერ მტკიცებულების ფალსიფიკაციის გამო, არამედ იმიტომ, რომ გავიდა მისი ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში ყოფნის 12-თვიანი ვადა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ უნდა შეწყდეს მ. დ-მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 369-ე მუხლის მესამე ნაწილით მსჯავრდების ნაწილშიც.

რაც შეეხება სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებულ ბრალდებას, რაშიც მ. დ-მე მთლიანად ცნობს თავს დანაშავედ, იგი სწორად აქვს წარდგენილი. ამ მუხლით მას სასჯელად დანიშნული აქვს თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, რაც მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, რომ ჰყავს მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი, ასევე წარსულში მისი არაერთგზის ნასამართლობის მხედველობაში მიღებით, უნდა შეეცვალოს ჯარიმით -15 ათასი ლარის ოდენობით.

მ. დ-მე პატიმრობაში იმყოფება 2006 წლის 15 დეკემბრიდან. ზემოაღნიშნულის გამო, საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით, მ. დ-მე მთლიანად უნდა გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

- პროკურორის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
- მსჯავრდებულ მ. დ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის განაჩენი შეიცვალოს მის სასიკეთოდ, კერძოდ:
  - მ. დ-მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «დ» ქვეპუნქტით მსჯავრდების ნაწილში.
  - მ. დ-მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 369-ე მუხლის მესამე ნაწილით მსჯავრდების ნაწილში.
  - მ. დ-მეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით სასჯელად დაენიშნოს ჯარიმა 15 000 ლარის ოდენობით;
  - მ. დ-მე პატიმრობაში იმყოფება 2006 წლის 15 დეკემბრიდან. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით, მ. დ-მე მთლიანად გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.
  - მ. დ-მე დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.
  - განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.
  - განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა**

**განჩინება**

#1655-აპ 22 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. ხ-ურის ინტერესების დამცველი ადვოკატის - გ. ლ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 აგვისტოს განაჩენზე, რომლითაც ზ. ხ-ური ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის I ნაწილითა და 273-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში.

**აღწერილობითი ნაწილი:**

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 30 მაისის განაჩენით ზ. ხ-ური -ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის I ნაწილით - 1 წლით და 6 თვით თავისუფლების ადკვეთა. სსკ-ის 273-ე მუხლით -ჯარიმა 2000 ლარი. საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით დანიშნული სასჯელები ჩაეთვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით.

განაჩენით ზ. ხ-ურს მსჯავრი დაედო ქურდობისათვის, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლებისათვის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ასევე, ნარკოტიკული საშუალების ექი-მის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ.

მის მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის ნოემბერში ზ. ხ-ურმა ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოიხმარა „მარიხუანასა» და „ბუპრენორფინის» შემცველობის ნარკოტიკული საშუალება, რის გამოც გორის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 1 ნოემბრის დადგენილებით დაეკისრა ადმინისტრაციული სახდელი და დაჯარიმდა 500 ლარით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მიუხედავად ამისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას. 2007 წლის 23 თებერვალს შიდა ქართლის საპატრულო პოლიციის

თანამშრომლებმა გორში ადმინისტრაციული წესით დააკავეს ზ. ხ-ური, რომელიც შიდა ქართლის საექსპერტო კრიმინალისტიკური განყოფილების გამოკვლევის #1045 დასკვნის თანახმად, იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ ზემოქმედების ქვეშ.

2007 წლის 16 აპრილს, დაახლოებით 8 საათსა და 50 წუთზე, ზ. ხ-ური შევიდა ქ. გორში, თამარ მეფის ქ. #78-ში მდებარე შპს „ფარმაცია-2006-ის« აფთიაქში და განიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაუფლებოდა იქვე, დახლზე დადებულ აფთიაქის დირექტორის -ნ. მ-შვილის კუთვნილ მობილურ ტელეფონს. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით ზ. ხ-ურმა ისარგებლა იმით, რომ ნ. მ-შვილი ზურგით იდგა და მისთვის წამალს ეძებდა, ფარულად აიღო ნ. მ-შვილის კუთვნილი, „სიმენსის« ფირმის „ა-50« მოდელის, 35 ლარად ღირებული მობილური ტელეფონი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა გორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა, რომელმაც მოითხოვა ზემოაღნიშნულ განაჩენში ცვლილების შეტანა მსჯავრდებულ ზ. ხ-ურისათვის სასჯელის გამკაცრების მიზნით, კერძოდ, მსჯავრდებულის პიროვნების, ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და საზოგადოებრივი საშიშროების გათვალისწინებით, მისთვის 3 წლით თავისუფლების აღკვეთისა და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმის -3000 ლარის შეფარდება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 აგვისტოს განაჩენით პროკურორის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 30 მაისის განაჩენი შეიცვალა სასჯელის ნაწილში და ზ. ხ-ურს განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ზ. ხ-ურს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო 2007 წლის 20 აგვისტოდან. მას სასჯელის ვადაში ჩათვალა წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო -2007 წლის 18 აპრილიდან 30 მაისის ჩათვლით.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ზ. ხ-ურის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ლ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორმა ითხოვა ზ. ხ-ურის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული მსჯავრდების ნაწილში.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა თვლის, რომ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით -მსჯავრდებულ ზ. ხ-ურის რაიონულ სასამართლოში მიცემული აღიარებითი ჩვენებით, ზ. ხ-ურის ლაბორატორიული გამოკვლევის დასკვნით, მისთვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ მოსამართლის დადგენილებით, დაზარალებულ ნ. მ-შვილის ჩვენებით და საქმის სხვა მასალებით, მსჯავრდებულზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა დადასტურებულია.

საქმეში წარმოდგენილია დაზარალებულ ნ. მ-შვილის სანოტარო წესით დამოწმებული განცხადება, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულმა აანაზღაურა მიყენებული მცირე მნიშვნელობის ზიანი, ისინი შერიგდნენ და მას არ გააჩნია არავითარი პრეტენზია ზ. ხ-ურის მიმართ.

საქართველოს სსკ-ის 69-ე მუხლის თანახმად „ის, ვინც პირველად ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება 3 წლით თავისუფლების აღკვეთას, შეიძლება გაათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ შეურიგდა დაზარალებულს«. პალატა მიიჩნევს შემდეგს: მიუხედავად იმისა, რომ ზ. ხ-ური წარსულში ნასამართლევა, უნდა ჩაითვალოს, რომ მან პირველად ჩაიდინა დანაშაული, ვინაიდან მას აღნიშნული ნასამართლობა გაქარწყლებული აქვს, ხოლო სსკ-ის 79-ე მუხლის VI ნაწილის თანახმად, „გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ ზ. ხ-ურის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის I ნაწილით.

საკასაციო პალატა ითვალისწინებს რა მსჯავრდებულის პიროვნებას, რომ იგი აღიარებს დანაშაულს, კმაყოფაზე ჰყავს 3 შვილი, აქედან 2 -მცირეწლოვანი, უმუშევარი მეუღლე, პენსიონერი, ავადმყოფი დედა, მიიჩნევს, რომ მას სსკ-ის 273-ე მუხლით სასჯელად დანიშნული თავისუფლების აღკვეთა - 1 წლის ვადით უნდა შეეცვალოს ჯარიმით.

ზ. ხ-ური პატიმრობაში იმყოფება 2007 წლის 20 აგვისტოდან. ზემოაღნიშნულის გამო, საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით, ზ. ხ-ური მთლიანად უნდა გაათავისუფლდეს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „დ« ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,



**და ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულ ზ. ხ-ურის ინტერესების დამცველი ადვოკატის -გ. ლ-შვილის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 აგვისტოს განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ შემდეგი მიმართებით:

ზ. ხ-ურის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის I ნაწილით.

საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით ზ. ხ-ურს სასჯელად დაენიშნოს ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით, ზ. ხ-ური მთლიანად გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა**

**განჩინება**

#1833აპ-07

22 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ე. ვ-იანის დამცველი ადვოკატების -ზ. ხ-შვილისა და ი. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 სექტემბრის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 8 იანვრის განაჩენით ე. ვ-იანი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით. აქედან, საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის თანახმად, 3 წელი -შესაბამის სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 3 წელი ჩათვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

იმავე განაჩენით ლ. შ-ძე ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, რასაც ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -1 წლით თავისუფლების აღკვეთა და მსჯავრდებულ ლ. შ-ძეს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 სექტემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 8 იანვრის განაჩენში შევიდა ცვლილება: ლ. შ-ძის ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით (2000 წლის 5 მაისის რედაქცია), გადაკვალიფიცირდა საქართველოს მოქმედი სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია).

განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულების -ე. ვ-იანისა და ლ. შ-ძის მიმართ დარჩა უცვლელად.

საბოლოოდ სააპელაციო სასამართლოს განაჩენით ე. ვ-იანს მსჯავრი დაედო ყაჩაღობისათვის, ჩადენილი ჯგუფურად, ხოლო ლ. შ-ძეს -ყაჩაღობისათვის, ჩადენილი ჯგუფურად და არაერთგზის, რაც გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 18 ივლისს თბილისში, მეტროს სადგურ «მარჯანიშვილის» ტერიტორიაზე, ე. ვ-იანი და ლ. შ-ძე ერთად იმყოფებოდნენ, მათ იაპონიის მოქალაქე ტ. ტ-ადა გაიცნეს და მას ქალაქის დათვალიერება შესთავაზეს. ამ მიზნით ისინი გმირთა მოედანზე აფხაზეთის ომში დაღუპულთა

მემორიალთან მივიდნენ, სადაც რამდენიმე ხანი დაჰყვეს. იმავე დღეს, დაახლოებით 10.00 საათზე, ტ. ტ-ადა მ-მის ხევში აიყვანეს და ქვებით შეიარაღებულები, ჯგუფურად თავს დაესხნენ მას, რა დროსაც წაართვეს უზბეკეთის რესპუბლიკის ეროვნული ვალუტის ორი კუპიურა, თითო -ასი სუმის ნომინალით. ისინი ასევე ცდილობდნენ ზურგანთის წართმევას, რა დროსაც ორივე მათგანი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით ტ. ტ-ადას თავში ქვებს ურტყამდნენ. ტ. ტ-ადას ყვირილზე შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდა. მათ დანახვაზე ე. ვ-იანი და ლ. შ-მე შეშინდნენ და შემთხვევის ადგილიდან მიიმაღნენ. მეორე დღეს, 19 ივლისს, ე. ვ-იანი და ლ. შ-მე პოლიციის მუშაკებმა დააკავეს. მათ პირადი ჩხრეკა ჩაუტარდათ, რის შედეგადაც უზბეკეთის რესპუბლიკის ეროვნული ვალუტის ერთი კუპიურა ასი სუმის ნომინალით #16167516 იქნა ამოღებული.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ე. ვ-იანის დამცველმა ადვოკატებმა - ზ. ხ-შვილმა და ი. ხ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორები თავიანთი საჩივრით ითხოვენ გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და ე. ვ-იანის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ მას არ ჩაუდენია განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, შემდეგი მოტივებიდან გამომდინარე: სააპელაციო სასამართლომ ე. ვ-იანის მიმართ საქმე განიხილა არასრულყოფილად, დაეყრდნო მხოლოდ დაზარალებულის ჩვენებას, როგორც ძირითად მტკიცებულებას, ამასთან, არ მიეცა ჯეროვანი შეფასება საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებს.

მსჯავრდებულ ე. ვ-იანის ადვოკატების მიერ საკასაციო საჩივრის შეტანის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის #676-ე განკარგულებით იგი შეწყალებულ იქნა და გათავისუფლდა თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილიდან.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულების: ე. ვ-იანის, ლ. შ-მის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში -ე. ვ-იანის მსჯავრდების ნაწილში -უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა 2007 წლის 23 ნოემბერს გამოსცა #676 განკარგულება, რომლითაც მსჯავრდებული ე. ვ-იანი შეწყალებულ იქნა და იგი გათავისუფლდა სასჯელის მოხდისგან. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის «ჟ» ქვეპუნქტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს, თუ მსჯავრდებული შეწყალებულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 სექტემბრის განაჩენი ე. ვ-იანის მსჯავრდების ნაწილში უნდა გაუქმდეს და მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია).

საკასაციო პალატამ გასაჩივრებული განაჩენის კანონიერება სარევიზიო წესით, სრული მოცულობით შეამოწმა მსჯავრდებულ ლ. შ-მის მიმართაც, რომელსაც საკასაციო საჩივარი არ შეუტანია. საქმის მასალების შესწავლით ირკვევა, რომ ლ. შ-მის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა დადასტურებულია უტყუარი მტკიცებულებებით, რომლებიც საკმარისია მისი დამნაშავედ ცნობისათვის წარდგენილი ბრალდების მიხედვით. საქმეში არ მოიპოვება სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომელთა გამო შეიძლება, ეჭვის ქვეშ დადგეს სასამართლოს დასკვნები მისი ბრალეულობის თაობაზე, რის გამოც საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 სექტემბრის განაჩენი მსჯავრდებულ ლ. შ-მის მსჯავრდების ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 567-ე და 568-ე მუხლებით,

## **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულ ე. ვ-იანის დამცველი ადვოკატების -ზ. ხ-შვილისა და ი. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 სექტემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ე. ვ-იანის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის 2007 წლის 23 ნოემბრის #676 განკარგულებით მისი შეწყალების გამო.

იგივე განაჩენი მსჯავრდებულ ლ. შ-მის მიმართ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა

### განჩინება

#2192-აპ

30 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),  
ლ. მურუსიძე,  
მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. ფ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ოქტომბრის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2007 წლის 12 აპრილის განაჩენით ლ. ფ-შვილი და მ. კ-შვილი ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით, რის გამოც მათ სასჯელის ზომად განესაზღვრათ: მ. კ-შვილს -თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, ხოლო ლ. ფ-შვილს -თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით.

განაჩენით მ. კ-შვილსა და ლ. ფ-შვილს მსჯავრი დაედოთ თაღლითობისათვის, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

მ. კ-შვილმა და ლ. ფ-შვილმა განიზარხეს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, თავიანთი ნაცნობის, ... ქ. #89-ში მცხოვრების, არასრულწლოვან ი. კ-შვილის კუთვნილი მობილური ტელეფონის მოტყუებით დაუფლება. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2006 წლის 31 ოქტომბერს, საღამოს საათებში, მ. კ-შვილი და ლ. ფ-შვილი ... ქუჩაზე შეხვდნენ სახლისკენ მიმავალ ი. კ-შვილს და სთხოვეს, რომ ლომბარდში ჩასაბარებლად ერთი დღით ეთხოვებინა მათთვის თავისი მობილური ტელეფონი, რადგან სასწრაფოდ ესაჭიროებოდათ ფული. ამასთან, მას დაჰპირდნენ, რომ მეორე დღესვე დაუბრუნებდნენ ტელეფონს. აღნიშნულზე ი. კ-შვილმა განაცხადა უარი, მაგრამ მ. კ-შვილისა და ლ. ფ-შვილის არაერთგზის თხოვნის შემდეგ, ზემოაღნიშნული პირობით ათხოვა მათ თავისი კუთვნილი «პანასონიკის» ფირმის, 180 ლარად ღირებული მობილური ტელეფონი. მ. კ-შვილი და ლ. ფ-შვილი დაეუფლნენ რა ი. კ-შვილის კუთვნილ მობილურ ტელეფონს, იმავე დღეს გაყიდეს იგი 100 ლარად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2007 წლის 12 აპრილის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა -მ. კ-შვილმა და ლ. ფ-შვილმა.

აპელანტი -მსჯავრდებული მ. კ-შვილი თავისი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა სასჯელის შემსუბუქებას იმ მოტივით, რომ დაავადებულია «ც» და «დ» ჰეპატიტით, ამოკვეთილი აქვს ცალი თირკმელი და ელენთა. დაკავებიდან მესამე დღეს გარდაეცვალა ძმა, ჰყავს ინვალიდი დედა, რომელიც საჭიროებს მოვლა-პატრონობას.

აპელანტი -მსჯავრდებული ლ. ფ-შვილი თავისი საჩივრით ითხოვდა მის მიმართ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას წარდგენილ ბრალდებაში იმ მოტივით, რომ გასაჩივრებული განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი და არ ეყრდნობა საქმეში არსებულ უტყუარ მტკიცებულებებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ოქტომბრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულების -ლ. ფ-შვილისა და მ. კ-შვილის საკასაციო საჩივრები, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 12 აპრილის განაჩენი მათ მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ლ. ფ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. იგი თავისი საჩივრით ითხოვს მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმავე მოტივებით, რაზეც მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულების -ლ. ფ-შვილისა და მ. კ-შვილის მიმართ, შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ ლ. ფ-შვილისა და მ. კ-შვილის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მათ

ნამდვილად ჩაიდინეს თაღლითობა, კერძოდ კი დაზარალებულ ი. კ-შვილის კუთვნილი მობილური ტელეფონის მოტყუებით დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. მათი ბრალეულობა დადასტურებულია თვით დაზარალებულისა და მოწმეების ჩვენებებით, ამოღების ოქმითა და ამოღებული ნივთმტკიცებით, რომლებიც მოპოვებულია წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიაზე საპროცესო ნორმების დაცვით. საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა, ანდა ეჭვქვეშ დადგებოდა ლ. ფ-შვილისა და მ. კ-შვილის მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდება. სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი ქმედება და არ არსებობს საფუძველი მისი შეცვლისათვის.

ამასთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების ადმინისტრაციის მომართვის შესაბამისად, ლ. ფ-შვილი საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 24 აპრილის #276-ე განკარგულების საფუძველზე შეწყალებით გათავისუფლდა ძირითადი სასჯელის მოხდისაგან.

საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ჟ» ქვეპუნქტის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს, თუ მსჯავრდებული შეწყალებულია.

ამდენად, გასაჩივრებული განაჩენი ლ. ფ-შვილის მსჯავრდების ნაწილში უნდა შეიცვალოს და მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ჟ» ქვეპუნქტის შესაბამისად.

საქართველოს სსსკ-ის 567-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პალატამ გასაჩივრებული განაჩენი სარევიზიო წესით შეამოწმა მსჯავრდებულ მ. კ-შვილის მიმართ და მიიჩნია, რომ აღნიშნული განაჩენი მისი მსჯავრდების ნაწილში, აგრეთვე აღნიშნული განაჩენით მ. კ-შვილისათვის დანიშნული სასჯელი, ზემომითითებულ გარემოებათა გამო, უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ჟ» ქვეპუნქტით, 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 567-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 568-ე მუხლით,

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ ლ. ფ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: ლ. ფ-შვილის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 24 აპრილის #276-ე განკარგულებით მისი შეწყალების გამო.

იგივე განაჩენი მ. კ-შვილის მსჯავრდების ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა**

#### **განჩინება**

#451-აპ

4 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა დაზარალებულ ც. კ-შვილისა და მსჯავრდებულ ჩ. ბ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. გ-შვილის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 18 დეკემბრის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 26 აგვისტოს განაჩენით ცნობილ იქნენ დამნაშავეებად:

1. ჩ. ბ-ძე საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა სსკ-ის 120-ე მუხლით 6 თვით, ხოლო 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით -1 წლით თავისუფლების აღკვეთა. ჩ. ბ-ძეს საბოლოოდ მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 2 თებერვლიდან;

2. ნ. ბ-მე საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა« ქვეპუნქტით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2006 წლის 9 თებერვლიდან.

ჩ. ბ-მეს დაზარალებულ ც. კ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 67 430 აშშ დოლარის გადახდა მორალური, ფიზიკური და ქონებრივი ზიანის ასანაზღაურებლად.

მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ჩ. ბ-მემ იცოდა, რომ ნ. ბ-მემ და სხვა პირებმა ც. კ-შვილს უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება და ჰყავდათ ქობულეთის რაიონის სოფ. . . . ტყეში მდებარე ფიცრულში. იგი 2002 წლის 23 ივნისს, სხვა პირებთან ერთად მივიდა აღნიშნულ ადგილას და დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით, ხის ნაჭრით ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ც. კ-შვილს და თავის გარდაცვლილ ქმართან თანაცხოვრებისათვის მუქარით ითხოვდა ნივთების, ფულისა და ქონებრივი უფლების გადაცემას. ჩ. ბ-მის მხრიდან ამგვარ ქმედებას სისტემატიური ხასიათი ჰქონდა. მუქარითა და ძალადობით ც. კ-შვილი არაერთხელ მიიყვანეს ნოტარიუსთან ქობულეთში, სადაც მან იძულებით ხელი მოაწერა ხელშეკრულებებზე ბინისა და ავტომანქანა «ტოიოტას» გასხვისების თაობაზე. ამის შემდეგ ც. კ-შვილი აიძულეს, დაერეკა დ. მ-ძესთან, რათა ამ უკანასკნელს შენახული 3500 აშშ დოლარი და ოქროსულობა მიეტანა. თავისუფლების აღკვეთის პერიოდში დაზარალებულმა მიიღო მსუბუქი ხარისხის დაზიანებები ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით. გატაცებიდან მე-13 დღეს ც. კ-შვილმა მოახერხა გაქცევა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დაზარალებულმა ც. კ-შვილმა და ჩ. ბ-მის ადვოკატმა კ. გ-შვილმა.

დაზარალებულმა მოითხოვა ჩ. ბ-მისათვის უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნა, ხოლო ადვოკატმა კ. გ-შვილმა - თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 18 დეკემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

დაზარალებული ც. კ-შვილი საკასაციო საჩივრით მოითხოვს ჩ. ბ-მისათვის სასჯელის მაქსიმუმის დანიშვნას იმ მოტივით, რომ იგი დანაშაულის ორგანიზატორია, არ აღიარებს დანაშაულს და არ აუნაზღაურებია ზარალი.

ჩ. ბ-მის ადვოკატი კ. გ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი დაუსაბუთებელია და მასში ჩამოყალიბებული დასკვნები არ შეესაბამება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. ეს მტკიცებულებები ადასტურებს, რომ ც. კ-შვილმა თავისი ნებით გადასცა ქონების ნაწილი ბ-მეებს და გამომავლა არ მომხდარა.

კასატორი აღნიშნავს, რომ თ., მ. და ზ. ბ-მეებს, ასევე, კ. ი-შვილს სოლიდარულად დაეკისრათ ც. კ-შვილის სასარგებლოდ მორალური, ქონებრივი და ფიზიკური ზიანის ანაზღაურება 323 600 აშშ დოლარის ოდენობით, რაც შემცირდა უზენაესი სასამართლოს განჩინებით. კასატორისთვის გაუგებარია, რის საფუძველზე დაეკისრა გადასახდელად ჩ. ბ-მეს აღნიშნული თანხის მეხუთედი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გამო, რომ არ არსებობს ჩ. ბ-მის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები და მას დანიშნული აქვს ჩადენილ ქმედებასთან შეუსაბამო სასჯელი, ადვოკატი მოითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და ჩ. ბ-მის მიმართ საქმის შეწყვეტას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

სსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პალატამ შეისწავლა საქმე სრული მოცულობით, გააანალიზა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა აღნიშნავს, რომ კასატორთა მოტივები ანალოგიურია მათ მიერ სააპელაციო საჩივრებში მითითებული მოტივებისა, რომლებზეც სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ იმსჯელა და დაადგინა დასაბუთებული განაჩენი, კერძოდ:

დაზარალებულმა ც. კ-შვილმა სასამართლოს განუმარტა, რომ გატაცების შემდეგ მასთან მივიდა ჩ. ბ-მე, რომელიც ჯოხით გამეტებით სცემდა, ეუბნებოდა -ოქრო გქონია და ცოტა მაჩუქეო. ნ. ბ-მეც მასთან იყო, ჰქონდა პისტოლეტი, მაგრამ წამებაში მონაწილეობა არ მიუღია. დაზარალებულმა მიუთითა, რომ მას აწამებდა ჩ. ბ-მე და სწორედ იგი იყო დანაშაულის ორგანიზატორი.

დაზარალებულის ძმამ -გ. კ-შვილმა თავის ჩვენებებში მიუთითა, რომ ც. გაიტაცეს. გამტაცებლების წარმომადგენელმა მას უთხრა, რომ ც. კ-შვილს თავის უძრავ-მომრავ ქონებას დაათმობინებდნენ გერების სასარგებლოდ და მხოლოდ ამის შემდეგ გაათავისუფლებდნენ. გავიდა 13 დღე, მაგრამ ც. არ გაათავისუფლეს. მე-14 დღეს გ. კ-შვილმა თავისი სახლის სხვენში აღმოაჩინა და, რომელმაც უთხრა - სასწრაფოდ წყალი მომიტანე, ვიხრჩობიო. ც-ს ნაცემი იყო და სხეულზე ემჩნეოდა თერმული დაზიანებები. გ. კ-შვილმა ასევე აღნიშნა, რომ მისი მეუღლე ავტომანქანის ჩამოსაყვანად იძულებით წაიყვანეს თბილისში. გამტაცებლები ც-ს ეძებდნენ და იმუქრებოდნენ, რის გამოც დაზარალებული მალულად გადაიყვანეს ქ. თბილისში.

ანალოგიური ჩვენება მისცა მოწმე ე. ღ-შვილმა. მან ასევე აღნიშნა, რომ ქონება, რომელსაც ითხოვდნენ გამტაცებლები, ც. კ-შვილის სახელზე იყო გაფორმებული.

მსჯავრდებულების -ჩ. ბ-მისა და ნ. ბ-მის მიერ მათთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა უტყუარად დასტურდება საქმეში არსებული სხვა მასალებითაც, მათ შორის, მოწმეების -თ. ვ-მის, ე.

მ-ძის და სხვათა ჩვენებით, ჩვენების ადგილზე შემოწმების ოქმით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, რომლის მიხედვით ც. კ-შვილს სხეულზე აღნიშნებოდა ნაჭდევი და სისხლნაჟღენთები, ასევე -თერმული დაზიანებები.

ამასთან, ჩ. ბ-ძის მიერ სსკ-ის 120-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია 2002 წლის 23 ივნისს, ხოლო ამ და სხვა მუხლით იგი ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მიცემულია 2005 წლის 5 დეკემბერს. სსკ-ის 71-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ა» ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ გავიდა ორი წელი იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას. იმის გათვალისწინებით, რომ ჩ. ბ-მე წარდგენილ ბრალდებაში თავს არ ცნობდა და არ ცნობს დამნაშავედ, იგი უნდა გათავისუფლდეს სსკ-ის 120-ე მუხლით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან, სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ე» ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე და, შესაბამისად, გასაჩივრებული განაჩენიდან ჩ. ბ-ძის მიმართ უნდა ამოირიგხოს მითითება სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებით სასჯელთა შთანთქმის შესახებ.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს დაზარალებულის საჩივრის მოტივს და აღნიშნავს, რომ სსკ-ის 566-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო ინსტანციას არა აქვს უფლება, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი ან მიიღოს მსჯავრდებულის საზიანო სხვა გადაწყვეტილება. გარდა ამისა, ჩ. ბ-ძის პიროვნების, ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის და სასამართლოს მიერ დადგენილი, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი სხვა გარემოებების გათვალისწინებით, მისთვის დანიშნული სასჯელი ვერ ჩაითვლება მეტისმეტად მსუბუქად და, შესაბამისად, ამკარად უსამართლოდ.

ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს სამოქალაქო სარჩელის საკითხის გადაწყვეტის ნაწილში, კერძოდ:

პირველი ინსტანციის სასამართლომ ზიანის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2005 წლის 14 დეკემბრის განაჩენით დადგენილი, ც. კ-შვილისათვის მიყენებული ზიანის ოდენობა -ქონებრივი ზიანი 221 600 აშშ დოლარი, მორალური ზიანი -100 000 აშშ დოლარი და ფიზიკური ზიანი -2000 აშშ დოლარი, რომლის გადახდა სოლიდარულად დაეკისრა ოთხ მსჯავრდებულს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლომ დაზარალებულის სასარგებლოდ ჩ. ბ-მეს გადასახდელად დააკისრა აღნიშნული თანხის მეხუთედი -67 430 აშშ დოლარი. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ ვალდებულების შესრულება შესაძლებელი იყო ნივთების გადაცემითაც და რომ აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს 2005 წლის 14 დეკემბრის განაჩენი შესული იყო კანონიერ ძალაში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განაჩენი, რომელსაც ზიანის ოდენობის დადგენისას დაეყრდნო პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოები, არ იყო შესული კანონიერ ძალაში, იგი გასაჩივრდა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 13 ივნისის განჩინებით შეიცვალა სწორედ სამოქალაქო სარჩელის ნაწილში, კერძოდ, მორალური ზიანის ასანაზღაურებლად დაკისრებული თანხის ოდენობა შემცირდა 30 000 აშშ დოლარამდე. საბოლოოდ დადგინდა, რომ ც. კ-შვილს მთლიანად უნდა აუნაზღაურდეს 253 600 აშშ დოლარი; შესაძლებელია ქონებრივი ზიანის ანაზღაურება ნივთების ნატურის სახით დაბრუნებითაც.

საკასაციო პალატის 2006 წლის 13 ივნისის განჩინებით დადგენილი ზიანის ოდენობიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული განაჩენით ჩ. ბ-მეს გადასახდელად დაეკისრა ამ ზიანის ოდენობის მეხუთედი ნაწილი, სააპელაციო პალატის განაჩენი უნდა შეიცვალოს და ჩ. ბ-მეს დაზარალებულის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 50 720 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, რომლიდანაც ქონებრივი ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია ნივთების ნატურით დაბრუნებითაც.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში კანონიერია, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არსებითად არ დარღვეულა და მსჯავრდებულთა ქმედება სწორადაა დაკვალი-ფიცირებული.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ე» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-6 ნაწილით, 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

#### და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ჩ. ბ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. გ-შვილისა და დაზარალებულ ც. კ-შვილის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 18 დეკემბრის განაჩენი შეიცვალოს: ჩ. ბ-მე გათავისუფლდეს სსკ-ის 120-ე მუხლით დანიშნული სასჯელის -6 თვით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან, სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ე» ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე;

გასაჩივრებული განაჩენიდან ჩ. ბ-ძის მიმართ ამოირიგხოს მითითება სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებით სასჯელთა შთანთქმის შესახებ;

მსჯავრდებულ ჩ. ბ-ძეს დაზარალებულ ც. კ-შვილის სასარგებლოდ დაეკისროს 50720 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, რომლიდანაც შესაძლებელია ქონებრივი ზიანი ანაზღაურდეს ნივთების ნატურის სახით დაბრუნებით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.  
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 3. სამოქალაქო სამართალწარმოება

#### განჩინება

#1214-აპ

18 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),  
ლ. მურუსიძე,  
დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ლ-ინის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ივნისის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 20 დეკემბრის განაჩენით ა. ლ-ინი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 108-ე მუხლით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 239-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით -3 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მესამე ნაწილით -5 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ა. ლ-ინს სასჯელის მოხდა დაეწყო დაკავების მომენტიდან -2005 წლის 8 აგვისტოდან. მას დანიშნული სასჯელის ვადაში ჩაეთვალა, აგრეთვე, რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში ექსტრადიციამდე და ექსტრადიციის შემდეგ შეფარდებული საპატიმრო აღკვეთის ღონისძიების შეცვლამდე პატიმრობაში ყოფნის დრო -2004 წლის 7 აპრილიდან 2005 წლის 15 აპრილამდე -1 წელი და 8 დღე.

დაზარალებულ ე. ჯ-ძის სამოქალაქო სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სამოქალაქო მოპასუხედ ცნობილ ა. ლ-ინს ე. ჯ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის საკომპენსაციოდ 5000 ლარის გადახდა.

განაჩენით ა. ლ-ინის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2001 წლის 3 ნოემბერს, დაახლოებით 17.00 საათზე, თბილისში, ნავთლუღის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ა. ლ-ინმა თავის ნაცნობთან, ყრუ-მუნჯ ვ. პ-ევთან ერთად დალია ალკოჰოლური სასმელი -ღვინო, რისი მიღების შემდეგ, დაახლოებით 19.30 საათზე, ისინი ერთად წავიდნენ ქეთევან წამებულის გამზირის #19-ში მდებარე ავტოგასამართი სადგურის -«მაგოლის» მიმდებარე ტერიტორიაზე. აღნიშნულ ადგილზე, ქუჩაში, ვ. პ-ევსა და ა. ლ-ინს შორის, რომელმაც იცოდა ყრუ-მუნჯთან საუბარი, მოხდა შეკამათება. ა. ლ-ინმა იუკადრისა ვ. პ-ევსგან ასეთი საქციელი და დაუწყო მას ცემა და განიზრახა მისი მოკვლა. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით ა. ლ-ინმა მოიმარჯვა თანაქონი დანა, რომლითაც ვ. პ-ევს გულმკერდის არეში დარტყმით, შურისძიების მოტივით მიაყენა სიცოცხლისათვის საშიში, მძიმე ხარისხის დაზიანება, რის შედეგადაც ვ. პ-ევი გარდაიცვალა. ა. ლ-ინი კი მიიმალა შემთხვევის ადგილიდან.

თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 4 დეკემბრის ბრძანებით ა. ლ-ინს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა და გამოცხადდა ძებნა. იმყოფებოდა რა მიმალვაში, ა. ლ-ინი რუსეთის ფედერაციის ტვერსკის რაიონის სასამართლოს 2004 წლის 1 აპრილის განაჩენით, სსკ-ის 228-ე მუხლის პირველი ნაწილით (გასაღების მიზნის გარეშე დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა) მიესაჯა 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული სასჯელი ა. ლ-ინმა კალენდარულად მოიხადა 2004 წლის 7 აპრილს. 2004 წლის 13 ოქტომბერს ა. ლ-ინი ექსტრადირებულ იქნა საქართველოში და შეასახლეს ქ. თბილისის 31-ე საპრობილეში.

2005 წლის 15 აპრილს ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს გამწესრიგებელი სხდომის დადგენილებით შერჩეული აღკვეთის ღონისძიება ა. ლ-ინს შეეცვალა არასაპატიმრო ღონისძიებით -პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემით და გათავისუფლდა სხდომის დარბაზიდან, ხოლო საქმე ვ. პ-ევს მკვლელობის ფაქტზე დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად დაუბრუნდა რაიონის პროკურორს.

იმყოფებოდა რა არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების ქვეშ, ა. ლ-ინმა კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული, კერძოდ: 2005 წლის 8 აგვისტოს ქ. თბილისის ნავთლუღის ბაზრის მიმდებარე ტერიტო-

რიაზე, ქეთევან წამებულისა და მეველის ქუჩის გადაკვეთაზე, დაახლოებით 13.00 საათზე ა. ლ-ინი მიეპარა თავის ნაცნობ, ყრუ-მუნჯ ვ. თ-მეს და თავში ჩაარტყა სპეციალურად მომარჯვებული ლითონის საგანი, დაუწყო მას ჩხუბი, რაც გრძელდებოდა დაახლოებით 15 წუთს. შემთხვევის ადგილზე შეგროვდა ხალხი. დაირღვა საზოგადოებრივი წესრიგი. ა. ლ-ინის ხულიგნური ქმედების აღკვეთას შეეცადნენ შემთხვევის ადგილზე მისული საპატრულო პოლიციის მუშაკები -ლ. შ-მე და დ. ბ-შვილი, რომლებიც მას მოუწოდებდნენ წესრიგისაკენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ა. ლ-ინი მის ხელთ არსებული ლითონის საგნით კვლავ ცდილობდა ვ. თ-მისათვის დაზიანების მიყენებას. საპატრულო პოლიციის მუშაკებმა ძალის გამოყენებით შეძლეს საგნის წართმევა და მისი დაკავება, რის შემდეგაც ა. ლ-ინი წარდგენილ იქნა ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის შს სამმართველოში.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ივნისის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

ა. ლ-ინს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება, როგორც ზედმეტად წარდგენილი. ა. ლ-ინი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 108-ე მუხლით -10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 239-ე მუხლის მესამე ნაწილით -5 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად (ძვ.რედაქცია), საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

დაზარალებულ ე. ჯ-მის სამოქალაქო სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სამოქალაქო მოპასუხედ ცნობილ ა. ლ-ინს ე. ჯ-მის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის საკომპენსაციოდ 5000 ლარის გადახდა.

მსჯავრდებული ა. ლ-ინი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის მოტივთა საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. გამოკვლეულ მტკიცებულებებს მიეცა სწორი სამართლებრივი შეფასება.

საქმეზე შეკრებილი და სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებებით, კერძოდ: მოწმეების - ლ. გ-მის, ი. გ-მის, ი. მ-ხის, ტ. პ-შვილის, შ. ჩ-შვილის, გ. კ-მის, გ. ნ-ოვისა და სხვათა ჩვენებებით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნითა და სხვა მასალებით უდავოდ დასტურდება მსჯავრდებულ ა. ლ-ინის მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულების ჩადენა.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ა. ლ-ინის მიმართ სასჯელის დანიშნისას გაითვალისწინა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი და შეუფარდა კანონით გათვალისწინებული სამართლიანი სასჯელი.

ამასთან, პალატა აღნიშნავს, რომ მითითებული ბრალდების საქმის განხილვისას დაზარალებულებად ცნობილი არიან ვ. პ-ევის მეუღლე -ლ. ჯ-მე და სიდედრი -ე. ჯ-მე. სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობილია ლ. ჯ-მე, ხოლო სამოქალაქო მოპასუხედ -ა. ლ-ინი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 20 დეკემბრის განაჩენით სამოქალაქო მოპასუხედ ცნობილ ა. ლ-ინს დაზარალებულ ე. ჯ-მის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის საკომპენსაციოდ 5000 ლარის გადახდა.

საქართველოს სსკ-ის 68-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის ან შეურაცხი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, ანდა რომელსაც ასეთი ზიანი მიაყენა დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადებულმა პირმა. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, იმ დანაშაულის საქმეზე, რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, დაზარალებულის უფლებები ენიჭება მის რომელიმე ახლო ნათესავს. ერთი დონის ახლო ნათესავებს შორის დავის შემთხვევაში დაზარალებულის უფლებამონაცვლე განისაზღვრება წილისყრით.

სისხლის სამართლის პროცესში ახლო ნათესავი არის: მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის -განქორწინებული).

ამდენად, მოცემულ საქმეზე არ არსებობს ე. ჯ-მის დაზარალებულ ვ. პ-ევის უფლებამონაცვლედ ცნობის საფუძველი, რის გამოც უნდა გაუქმდეს ე. ჯ-მის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ განაჩენი მსჯავრდებულ მ. ლ-ინისათვის ე. ჯ-მის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში უნდა გაუქმდეს.

იმის გამო, რომ საქმეზე სამოქალაქო სამართალწარმოება არ დაწყებულა, პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, სსკ-ის 561-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, საქმე სამოქალაქო სარჩელის



ნაწილში ხელახლა განსახილველად გადასცეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის მეექვსე ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული გარემოება არ უკარგავს უფლებას დაზარალებულ ლ. ჯ-ძეს, წარადგინოს სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

გაუქმდეს ე. ჯ-ძის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილება.

გაუქმდეს განაჩენი მსჯავრდებულ ა. ლ-ინისათვის ე. ჯ-ძის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში.

სხვა ნაწილში განაჩენი დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამოქალაქო სამართალწარმოება**

**განჩინება**

#1174-აპ

28 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. მ-ძისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. მ-ძის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 მაისის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 21 მარტის განაჩენით მ. მ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „გ» ქვეპუნქტით, 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით, მე-4 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ბინაში უკანონო შეღწევით, არაერთგზის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის; ასევე, ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით, არაერთგზის, იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის; ასევე, საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა და შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

მ. მ-ძეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 1992 წლის 5 ოქტომბრის განაჩენით საქართველოს 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის მე-17, 150-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 243-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და მე-17, 243-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიესაჯა 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. ნასამართლობის გაქარწყლებამდე მას ბათუმის საქალაქო სასამართლოს 1995 წლის 21 აგვისტოს განაჩენით საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 150-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 212-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიესაჯა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 1999 წლის 2 ივნისის განაჩენით მას საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის მე-3 ნაწილით განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლების შემდეგ, ნასამართლობის გაქარწყლებამდე, 2005 წლის 9 დეკემბერს მ. მ-ძე, იმყოფებოდა რა ქ. ბათუმში, ქურდობის მიზნით გვიან ღამით მივიდა ... ქ. #47 საცხოვრებელი სახლის წინ, ფანჯრიდან შეაღწია მეორე სართულზე მდებარე ა. ე-ძის ბინაში და დაეუფლა ამ უკანასკნელის კუთვნილ, 200 აშშ დოლარად ღირებულ მობილურ

ტელეფონ „ნოკიას», 700 აშშ დოლარსა და 600 ლარს, ავტომანქანისა და ავტოფარების გასაღებებს და მიიმალა, რითიც დაზარალებულს მიაყენა 900 აშშ დოლარისა და 600 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

მ. მ-მე იმავე ღამეს, ა. ე-მის საცხოვრებელი ბინის ქურდობის შემდეგ, ავტომანქანისა და ავტოფარების ფარულად დაუფლებული გასაღებების გამოყენებით, სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მივიდა ა. ე-მის ავტოფარებთან, გახსნა მისი საკეტი და უკანონოდ შეაღწია სადგომში, რის შემდეგაც იქ გაჩერებული ავტომანქანიდან არაერთგზის დაეუფლა ა. ე-მის კუთვნილ ნივთებს – „სონის» ფირმის ციფრულ ფოტოაპარატს, ღირებულს 300 აშშ დოლარად და „სონის» ფირმის ხმის ჩამწერს, ღირებულს 200 აშშ დოლარად, რის შემდეგაც მიიმალა, რითიც დაზარალებულს მიაყენა 500 აშშ დოლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2006 წლის 19 მარტს, ღამით, დაახლოებით 5 საათზე, ქ. ბათუმში, სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით მ. მ-მე მივიდა ... ქ. #42 საცხოვრებელი სახლის წინ, სადაც მის მე-2 სართულზე შენიშნა ღია ფანჯარა. მან პირველ სართულზე არსებული ფანჯრის გისოსების გამოყენებით შეძლო ღია ფანჯრიდან ი. რ-ვას საცხოვრებელ ბინაში შეღწევა, რა დროსაც მართლსაწინააღმდეგოდ, ფარულად დაეუფლა ი. რ-ვას კუთვნილ მობილურ ტელეფონ „სამსუნგ-730-ს», ღირებულს 310 აშშ დოლარად და მისი დის -რ. რ-ვას კუთვნილ მობილურ ტელეფონ „მოტოროლას», ღირებულს 100 ლარად და თანხას -160 ლარს, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, რითიც დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი.

იმავე წლის 15 აპრილს, ღამით, დაახლოებით 5 საათიდან 6 საათამდე პერიოდში, მ. მ-მე მივიდა ხელვაჩაურის რაიონის დაბა ხელვაჩაურში, დ. ... ქ. #48-ში, რა დროსაც ფანჯრიდან უკანონოდ შეაღწია იქვე მცხოვრებ ნ. ხ-მის ბინაში, სადაც ფარულად დაეუფლა ნ. ხ-მის კუთვნილ მობილურ ტელეფონ „სიმენს-სლ 45-ს», შავი ფერის ჯინსის შარვალს, 100 ლარს, „გაერთიანებული ქართული ბანკის» პლასტიკურ ბარათს და სამ კომპაქტურ დისკს, რის შემდეგაც და დაზარალებულს მიაყენა 300 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2006 წლის 27 მაისს, დაახლოებით 3 საათზე, მ. მ-მემ ყაჩაღობის მიზნით შეაღწია ე. ლ-კოს საცხოვრებელ ბინაში, მდებარე დაბა ხელვაჩაურში, ... ქ. #56ა, ბინა 3-ში და ხელთ არსებული ცეცხლსასროლი იარაღით, სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით უკანონოდ დაეუფლა ე. ლ-კოს კუთვნილ, 540 ლარად ღირებულ მობილურ ტელეფონ „სამსუნგ-700-ს», რის შემდეგაც მიიმალა და დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი.

იმავე წლის 3 ივნისს, გვიან ღამით მ. მ-მემ ღია ფანჯრიდან შეაღწია რ. ბ-მის ბინაში და დაეუფლა მის 130 ლარად ღირებულ მობილურ ტელეფონ „ნოკიას», რის შემდეგ მიიმალა.

19 ივლისს, გვიან ღამით, მ. მ-მემ ქ. ბათუმში, ... ქ. #6 საცხოვრებელი სახლის წინ, პირველ სართულზე ღია ფანჯრიდან უკანონოდ შეაღწია ა. გ-უას საცხოვრებელ ბინაში და მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა ამ უკანასკნელის შვილის -ი. გ-უას მობილურ ტელეფონ „სიმენს-ა52-ს», ღირებულს 50 ლარად, რის შემდეგაც მიიმალა.

მ. მ-მე 2006 წლის 24 ივნისს, გვიან ღამით, ქ. ბათუმში ქურდობის მიზნით მივიდა ... ქ. #42 საცხოვრებელი სახლის წინ, ღია ფანჯრიდან უკანონოდ შეაღწია ი. ბ-კოს საცხოვრებელ ბინაში და მისაღებ ოთახში მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა ამ უკანასკნელის კუთვნილ მობილურ ტელეფონ „სამსუნგ\_600-ს», ღირებულს 300 აშშ დოლარად, მობილურ ტელეფონ „სიმენს\_ც55-ს», ღირებულს 100 აშშ დოლარად და 300 აშშ დოლარს, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, რითიც დაზარალებულს სულ მიაყენა 700 აშშ დოლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

მ. მ-მე, ქურდობის მიზნით, 2006 წლის 1 ივლისს, გვიან ღამით, მივიდა ქ. ბათუმში, ... ქ. #21 საცხოვრებელი სახლის წინ, პირველ სართულზე ღია ფანჯრიდან შეაღწია თ. ი-ელის საცხოვრებელ ბინაში და მისაღებ ოთახში მართლსაწინააღმდეგოდ, ფარულად დაეუფლა ამ უკანასკნელის კუთვნილ მობილურ ტელეფონ „სიმენს-ც55-ს», ღირებულს 90 ლარად, რის შემდეგ მიიმალა.

მ. მ-მემ 7 ივლისს, დაახლოებით 4 საათზე, ყაჩაღობის მიზნით, ფანჯრიდან შეაღწია ე. ლ-კოს საცხოვრებელ ბინაში, დაბა ხელვაჩაურში, ... ქ. #56ა, ბინა #3-ში და ცეცხლსასროლი იარაღით, სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა ე. ლ-კოს კუთვნილ მობილურ ტელეფონ „სიმენს-ც 55-ს», ღირებულს 55 ლარად და 130 ლარს, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

მ. მ-მემ დაუდგენელ დროსა და დაუდგენელი პირისაგან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ქარხნული წესით დამზადებული, 1930 წლის ნიმუშის, 7,62მმ კალიბრის 17 ცალი ვაზნა, რასაც მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა თავის დროებით საცხოვრებელ ბინაში, მდებარე ქ. თბილისში, ... ქუჩა #34, ბინა #23-ში, მისაღებ ოთახში მდგარ ტელევიზორ „ივერიის» შიგნით, უკანა მხარეს. აღნიშნული ვაზნები 2006 წლის 22 აგვისტოს საქართველოს შსს საგამომიებო დეპარტამენტის მუშაკების მიერ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად იქნა ამოღებული.

აღნიშნული ქმედებისათვის მ. მ-მეს განესაზღვრა 24 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2006 წლის 18 აგვისტოდან; მასვე დაზარალებულ ი. ბ-კოს სასარგებლოდ დაეკისრა 700 აშშ დოლარის, დაზარალებულ ა. ე-მის სასარგებლოდ -2000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა გადახდის დროისათვის არსებული კურსით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და ითხოვა გამართლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 31 მაისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ამასთან, გასაჩივრებულ განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება: მ. მ-ძეს მოეხსნა საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე» ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით შერაცხული ბრალდება და ამ ნაწილში გამართლდა; მ. მ-ძის ქმედება სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ» ქვეპუნქტიდან და 179-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა ამავე კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ» ქვეპუნქტსა და 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტზე; საბოლოოდ მას განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 14 წლის ვადით; განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული მ. მ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

მოწმეები, რომელთა ჩვენებებსაც დაეყრდნო სასამართლო, დაინტერესებული პირები არიან, რადგან მათ დააკავეს და მათ ამოიღეს თავიანთივე ჩადებული ნივთმტკიცებები; საქმეში უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობა კი არ არის, არამედ -გაყალბებული მტკიცებულებებია; სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი სამართლებრივი დარღვევებით, რითიც შეილახა მსჯავრდებულის კონსტიტუციური უფლებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული მ. მ-ძე ითხოვს განაჩენის გაუქმებას და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას.

მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ლ. მ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი მ. მ-ძის მიმართ გამოტანილია მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევებით, რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს და მ. მ-ძე გამართლდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით უტყუარად დასტურდება არა მარტო მ. მ-ძის უდანაშაულობა ყაჩაღობაში, არამედ -ამ დანაშაულის ჩადენის ფაქტის არსებობაც კი; სასამართლომ განაჩენის ამ ნაწილს საფუძვლად დაუდო და-ძმა -ე. და რ. ლ-კოების ჩვენებები და ამოცნობის ოქმები, მაშინ, როცა მათი ჩვენებებიდან უდავოდ დგინდება, რომ მათ მიმართ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედება არის არა ყაჩაღობა, არამედ -ქურდობა; ე. ლ-კოს მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენება დამახინჯებულად არის გადატანილი განაჩენში, რათა ყაჩაღობის ფაქტი დამაჯერებელი გახდეს; და-ძმა ლ-კოების ჩვენებებიდან დგინდება, რომ დამნაშავემ მათ მიმართ იარაღი გამოიყენა არა ქონების დაუფლების ან შენარჩუნების, არამედ -პოლიციის მიერ მისი შეპყრობის თავიდან ასაცილებლად; ასევე, უსაფუძვლო და უკანონოა მ. მ-ძისათვის იმავე ლ-კოების ბინაზე ყაჩაღობის ბრალად შერაცხვა, რადგან ორივე შემთხვევაში სახეზეა ქურდობის ფაქტები, თუმცა სასამართლოებმა ყაჩაღობად შეაფასეს; განაჩენს საფუძვლად უდევს მსჯავრდებულის ყოფილი მეუღლის -ლ. ნ-ძის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებები, თუმცა მან ეს ჩვენებები კატეგორიულად უარყო სასამართლო პროცესზე და განაცხადა, რომ ასეთი ჩვენებების მისაღებად გამოძიებამ მასზე განახორციელა ფსიქიკური ზეწოლა; მან უარყო მ. მ-ძის მიერ რაიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტი; სასამართლომ კი, ნაცვლად იმისა, რომ ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები დაუშვებელ მტკიცებულებებად ეცნო, გამამტყუნებელ განაჩენს დაუდო საფუძვლად.

ადვოკატის აზრით, სასამართლოს დაუშვებელ მტკიცებულებებად უნდა ეცნო ე. და რ. ლ-კოების მიერ მ. მ-ძის ამოცნობის ოქმები, რადგან მათ ამოცნობამდე წინასწარ უჩვენეს მსჯავრდებულის ფოტოსურათები; ექვებსა და ვარაუდებზეა აგებული განაჩენი მ. მ-ძის მიერ საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდების ნაწილშიც, რადგან საქმეში არ არის არც ერთი მტკიცებულება, რომელიც პირდაპირ ან ირიბად დაადასტურებდა მის ბრალეულობას ამ ეპიზოდში; უტყუარად არ არის დადგენილი, თუ ვის ეკუთვნოდა ამოღებული ვაზნები; იმ პერიოდში მ. მ-ძე იმ ბინაში მდგმურად ცხოვრობდა სულ ერთი თვის მანძილზე; ამ ბინაში სისტემატურად ასევე მდგმურებად ცხოვრობდნენ სხვა პირებიც; ფაქტია, რომ ტელევიზორი, საიდანაც ამოიღეს ვაზნები, მ. მ-ძეს არ ეკუთვნოდა, ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ვაზნებიც სხვა პირის საკუთრება იყო; საქართველოს კონსტიტუცია და სისხლის სამართლის კანონმდებლობა ავალდებულებენ სასამართლოებს, რომ გამამტყუნებელი განაჩენი ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას, ხოლო ყოველგვარი ეჭვი უნდა გადაწყდეს მსჯავრდებულის სასარგებლოდ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატი ლ. მ-ძე ითხოვს მ. მ-ძის გამართლებას და მის განთავისუფლებას პატიმრობიდან.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უსაფუძვლოა კასატორთა მითითება, თითქოს და-ძმა -ე. და რ. ლ-კოების ჩვენებები ადასტურებს ქურდობის და არა -ყაჩაღობის ჩადენის ფაქტს.

ე. და რ. ლ-კოებმა სასამართლოს ისიც განუმარტეს, რომ მათ ბინაში შესულ პირს ჰქონდა «თთ-ს» სისტემის პისტოლეტი. იგი ითხოვდა ფულს. მათ კატეგორიულად განაცხადეს, რომ ორივე თავდასხმა განახორციელა მ. მ-ძემ, რომელიც ამოიგნეს საქმის წინასწარი გამოძიებისას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია, ეყრდნობა საქმეში არსებულ უტყუარ მტკიცებულებებს, რომლებიც მოპოვებული და გამოკვლეულია სისხლის სამართლის

საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით და ეს მტკიცებულებები საკმარისია საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. უდავოდ დადასტურებულია და ეჭვს არ იწვევს, რომ მ. მ-მ არაერთგზის და ბინაში უკანონო შეღწევით ჩაიდინა ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; მანვე არაერთგზის და ბინაში უკანონო შეღწევით ჩაიდინა ყაჩაღობა, ასევე, საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა, რაც სწორადაა დაკვალიფიცირებული.

ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს მსჯავრდებულისათვის დაზარალებულების სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში. ი. ბ-კო და ა. ე-მე სამოქალაქო მოსარჩელებად ცნეს საქმის წინასწარი გამოძიებისას, მაგრამ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 36-ე მუხლის მოთხოვნათა მიუხედავად, მ. მ-მ სამოქალაქო მოპასუხედ არ უცვნიათ. შესაბამისად, მსჯავრდებულს ისე დაეკისრა დაზარალებულების სასარგებლოდ თანხის გადახდა, რომ საქმეზე არ დაწყებულა სამოქალაქო სამართალწარმოება და ამის გამო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, სსსკ-ის 561-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საქმე სამოქალაქო სარჩელების ნაწილში ხელახლა განსახილველად გადასცეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული გარემოება არ უკარგავს უფლებას ი. ბ-კოსა და ა. ე-მეს, წარადგინონ სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან მ. მ-მეს დანიშნული აქვს მისი პიროვნებისა და ჩადენილი ქმედებების სიმძიმის შესაბამისი სასჯელი და გარდა სამოქალაქო სარჩელების საკითხის გადაწყვეტისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულ მ. მ-მისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. მ-მის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 მაისის განაჩენი გაუქმდეს მ. მ-მისათვის ი. ბ-კოსა და ა. ე-მის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **სამოქალაქო სამართალწარმოება**

#### **განჩინება**

#1537-აპ

19 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**

**დ. სულაქველიძე,**

**ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. კ-მის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ა-ურის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ივნისის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 თებერვლის განაჩენით ა. კ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა« ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა« ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების განმეორებით, ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ასევე, ძარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 9 სექტემბერს ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებისათვის ა. კ-მე ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ დასჯილი იყო ადმინისტრაციული წესით.

2005 წლის 30 ოქტომბერს მან კვლავ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება ექიმის დანიშნულების გარეშე.

2006 წლის 7 ივლისს ა. კ-მ დაუდგენელ პირთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, ქ. ბათუმში, წერეთლისა და ჯორჯიაშვილის ქუჩების კვეთაზე, დაახლოებით 13 საათზე, მ. კ-მეს აშკარად შეაწყვიტა ყელზე დაკიდებული ოქროს ძეწკვი, ღირებული 170 აშშ დოლარად და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა, რითიც დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ა. კ-მ დააკავეს 2006 წლის 11 ივლისს.

აღნიშნული ქმედებისათვის ა. კ-მ საბოლოოდ განესაზღვრა 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2006 წლის 11 ივლისიდან. მასვე დაზარალებულ მ. კ-მის სასარგებლოდ დაეკისრა 170 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრეს მსჯავრდებულმა ა. კ-მ და მისმა ადვოკატმა ი. უ-მემ. მათ ითხოვეს განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულის გამართლება სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო 273-ე მუხლით მსჯავრდების ნაწილში – განაჩენის უცვლელად დატოვება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; ამასთან, განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით: ა. კ-მე გამართლდა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ბრალდებაში; მას სსკ-ის 273-ე მუხლითა და 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით; განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი – მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ლ. ა-ური საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, ამიტომ უნდა გაუქმდეს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მსჯავრდების ნაწილში, შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლოს დასკვნა ა. კ-მის დამნაშავედ ცნობის შესახებ არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან; არ აღმოფხვრილა წინააღმდეგობა მტკიცებულებებს შორის; სასამართლომ არ გაითვალისწინა საქმის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები; განაჩენის დასაბუთებლად სასამართლომ გამოიყენა დაუშვებელი მტკიცებულება, ასევე, დაუსაბუთებლად უარყო ერთი და გაიზიარა მეორე მტკიცებულება; დაირღვა სსკ-ის 347-ე მუხლის 1-ლი და მე-6 ნაწილების მოთხოვნები პირის ამოცნობასთან დაკავშირებით, ასევე, სსკ-ის 481-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 538-ე მუხლის მოთხოვნები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი ლ. ა-ური ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას, ა. კ-მის მიმართ სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას და სხდომის დარბაზიდან განთავისუფლებას იმის გათვალისწინებით, რომ სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა უკვე მოხდილი აქვს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

დაზარალებულმა მ. კ-მემ დამაჯერებლად ამხილა მსჯავრდებული და მიუთითა, რომ ა. კ-მე უყურებდა, შემდეგ მარჯვენა ხელით შეაწყვიტა ყელზე დაკიდებული ოქროს ძეწკვი, რა დროსაც მისი სახე კარგად დაამახსოვრდა. მ. კ-მემ კატეგორიულად განაცხადა, რომ მსჯავრდებულის ამოცნობაში არ ცდებოდა.

საქმის წინასწარი გამოძიების ეტაპზე, პირის ამოცნობისას დაზარალებულმა მიუთითა ა. კ-მეზე და კატეგორიულად განაცხადა, რომ სწორედ მან გამარცხა.

მოწმე ა. ბ-მემ სასამართლოს განუმარტა, რომ დაზარალებული მისი რძალია და მომხდარის დღეს თან ახლდა, ოდნავ წინ მიდიოდა. მოესმა მ. კ-მის ყვირილი და მიხვდა, რომ თავის რძალს ძეწკვი წაართვეს. დაინახა, რომ ერთი მიმართულებით გაიქცა ორი პირი და მათ დაედევნა.

პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია, რადგან საქმეში არსებული მასალების ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით უტყუარადაა დადასტურებული და სააპელაციო პალატამაც სწორად მიიჩნია დადგენილად, რომ ა. კ-მემ ჩაიდინა მარცვა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ამასთან, ა. კ-მეს საპროცესო კანონის მოთხოვნათა დარღვევით დაეკისრა დაზარალებულის სასარგებლოდ თანხის გადახდა, რადგან არც დაზარალებული და არც მსჯავრდებული, შესაბამისად, სამოქალაქო მოსარჩელედ და მოპასუხედ ცნობილი არ ყოფილან.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 35-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, თუ გამომძიებელი ან პროკურორი მიიჩნევს, რომ წარდგენილ სარჩელს აქვს საკმარისი საფუძველი, გამოაქვს გადაწყვეტილება პირის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ, რის შემდეგაც, ამავე კოდექსის 36-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამოქალაქო მოპასუხედ ცნობს ბრალდებულს. ამდენად, პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა მსჯავრდებულს ისე დააკისრეს დაზარალებულის

სასარგებლოდ თანხის გადახდა, რომ საქმეზე არ დაწყებულა სამოქალაქო სამართალწარმოება, რაც დაუშვებელია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი მსჯავრდებულისათვის დაზარალებულის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში უნდა გაუქმდეს.

იმის გამო, რომ საქმეზე სამოქალაქო სამართალწარმოება არ დაწყებულა, პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, სსსკ-ის 561-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საქმე სამოქალაქო სარჩელის ნაწილში ხელახლა განსახილველად გადასცეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული გარემოება არ უკარგავს უფლებას დაზარალებულს, წარადგინოს სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან დასაბუთებული, კანონიერი და სამართლიანია.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ ა. კ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ა-ურის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ივნისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდეს ა. კ-ძისათვის დაზარალებულ მ. კ-ძის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **სამოქალაქო სამართალწარმოება**

### **განჩინება**

#8<sup>I</sup>

19 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),**

**ი. ტყეშელაშვილი,**

**დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე გ. გ-ძის, საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის იურიდიული დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს პროკურორ ი. გ-ძისა და გ. ჟ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. გ-ძის კერძო საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 6 დეკემბრის განჩინებაზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 2 თებერვლის განაჩენით გ. ჟ-შვილი გამართლდა საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის «ზ» და «თ» ქვეპუნქტებით, მე-19, 109-ე მუხლის «ა» და «თ» ქვეპუნქტებით, 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 333-ე მუხლის პირველი ნაწილითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2005 წლის 20 აპრილის განჩინებით გამამართლებელი განაჩენი გ. ჟ-შვილის მიმართ დარჩა უცვლელად.

2005 წლის 20 ოქტომბერს გ. ჟ-შვილმა განცხადებით მიმართა მცხეთის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა სისხლის სამართალწარმოების ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურება და ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 12 ივლისის დადგენილებით გ. ჟ-შვილი რეაბილიტირებულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 2 თებერვლის გამამართლებელი განაჩენის საფუძველზე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა გ. ჟ-შვილის სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით 2000 ლარის ანაზღაურება და იურიდიული კომპანია «ადვოკატ-მეოხის» ადვოკატების მიერ გ. ჟ-შვილისათვის გაწეული იურიდიული მომსახურების ხარჯის -2000 ლარის ანაზღაურება.

პუბლიკაცია გ. ჟ-შვილის რეაბილიტაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ გამოცემაში

გ. ჟ-შვილის მოთხოვნა თანამდებობაზე აღდგენის, მიუღებელი ხელფასის, მიუღებელი შემოსავლისა და ანაცდენი სარგებლის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 6 დეკემბრის განჩინებით ცვლილება შევიდა მცხეთის რაიონული სასამართლოს განაჩენში, კერძოდ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა იურიდიული კომპანია «ადვოკატ-მეოხის» ადვოკატების მიერ გ. ჟ-შვილისათვის გაწეული იურიდიული მომსახურების ხარჯის ანაზღაურება 1400 ლარის ოდენობით, ასევე, მორალური ზიანის -2000 ლარის და განაცდენი ხელფასის -3252 ლარის ანაზღაურება. გ. ჟ-შვილს უარი ეთქვა წინანდელ სამუშაოზე ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენაზე, მიუღებელი შემოსავლისა და ანაცდენი სარგებლის ანაზღაურებაზე მტკიცებულებების წარმოუდგენლობის გამო.

საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს პროკურორი ი. გ-ძე კერძო საკასაციო საჩივრით მოითხოვს განჩინების გაუქმებასა და განმცხადებლისათვის მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმას.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე გ. გ-ძე კერძო საკასაციო საჩივრით მოითხოვს განჩინების გაუქმებას, ასევე, რომ განმცხადებელს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ საქართველოს სსსკ-ის 225-ე მუხლით დადგენილია რეაბილიტირებულისათვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების ფორმები. მართალია, ამავე კოდექსის 165-ე მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს მორალური ზიანის ანაზღაურებას, აგრეთვე, ფულადი კომპენსაციით, მაგრამ, კასატორის მოსაზრებით, ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მორალური ზიანის ანაზღაურება სხვაგვარად შეუძლებელია, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს.

რეაბილიტირებული პირის -გ. ჟ-შვილის ინტერესების დამცველი, ადვოკატი თ. გ-ძე კერძო საკასაციო საჩივრით მოითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 6 დეკემბრის განჩინების შეცვლას სამუშაოზე აღდგენის ნაწილში და აღნიშნულთან დაკავშირებით ახალი გადაწყვეტილების მიღებას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საკასაციო საჩივრების მოტივთა საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კერძო საკასაციო საჩივრების მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალებით, რეაბილიტირებული პირი -გ. ჟ-შვილი, რომელიც იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, დათხოვნილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებიდან დისციპლინური წესით დასჯის გამო.

პალატას მიაჩნია, რომ ვინაიდან გ. ჟ-შვილი დაკავებული თანამდებობიდან არ გათავისუფლებულა მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებიდან დათხოვნის ბრძანება წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ამიტომ სამუშაოზე აღდგენის, ტოლფას თანამდებობაზე დანიშვნის, მიუღებელი შემოსავლის, ანაცდენი სარგებლისა და განაცდური ხელფასის ანაზღაურების საკითხები განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ განჩინებაში არსებული მითითება რეაბილიტირებულ გ. ჟ-შვილისათვის განაცდენი ხელფასის -3252 ლარის ანაზღაურების, ასევე, წინანდელ თანამდებობაზე ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის, მიუღებელი შემოსავლისა და ანაცდენი სარგებლის ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ უნდა გაუქმდეს.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ ფინანსთა სამინისტროს კერძო საკასაციო საჩივრის მოთხოვნა მორალური ზიანის კომპენსაციის ნაწილში განჩინების გაუქმების თაობაზე იმ მოტივით, რომ საქართველოს სსსკ-ის 225-ე მუხლით დადგენილია რეაბილიტირებულისათვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების ფორმები, ხოლო ამავე კოდექსის 165-ე მუხლის მესამე ნაწილით ფულადი კომპენსაცია შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მორალური ზიანის ანაზღაურება სხვაგვარად შეუძლებელია, არის უკანონო და დაუსაბუთებელი.

საქართველოს სსსკ-ის 165-ე მუხლის მესამე ნაწილისა და 225-ე მუხლის თანახმად, პირის უკანონო ან დაუსაბუთებელი დაკავების ან დაპატიმრების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, როგორც ფულადი კომპენსაციით, ასევე, პრესაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებით, რეაბილიტაციისა თუ სათანადო საპროცესო მოქმედების უკანონოდ ან დაუსაბუთებლად ცნობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების ან ბოდიშის მოხდის გზით.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ გ. ჟ-შვილმა მორალური ზიანი განიცადა დაუსაბუთებელი დაპატიმრების შედეგად. პალატა თვლის, რომ მის სასარგებლოდ ფინანსთა სამინისტროსათვის დაკისრებული თანხის ოდენობა არ სცილდება გონივრულ

ზღვარს და, ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 6 დეკემბრის განჩინება მორალური ზიანის კომპენსაციის ნაწილში არის კანონიერი, რის გამოც უნდა დარჩეს უცვლელად.

ასევე უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 6 დეკემბრის განჩინება გ. ჟ-შვილისათვის, მის მიერ იურიდიული კომპანია «ადვოკატ-მეოხის» ადვოკატების სასარგებლოდ გაწეული ხარჯის -1400 ლარის ანაზღაურების ნაწილში.

ამასთან, პალატა თვლის, რომ არასწორია მცხეთის რაიონული სასამართლოს დადგენილებაში არსებული მითითება, რომ გ. ჟ-შვილი რეაბილიტირებულ უნდა იქნეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2005 წლის 2 თებერვლის გამამართლებელი განაჩენის საფუძველზე.

საქართველოს სსსკ-ის 219-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად: «პირის რეაბილიტაციის საფუძველია გამამართლებელი განაჩენი, აგრეთვე, მოსამართლის ან პროკურორის დადგენილება (განჩინება) სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ ამ კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ», «ი», «კ» და «მ» ქვეპუნქტებში და იმავე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «გ» ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძველებით, აგრეთვე სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების თაობაზე უკანონო სასამართლო განჩინების (დადგენილების) გაუქმების შესახებ».

პალატა თვლის, რომ გ. ჟ-შვილის რეაბილიტაციის საფუძველია სასამართლოს მიერ გამოტანილი ზემოაღნიშნული გამამართლებელი განაჩენი და ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ პირის მიმართ ასეთი მარეაბილიტირებელი საპროცესო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ იგივე პირი ხელახლა, დამატებით, სასამართლოს ახალი გადაწყვეტილებით რეაბილიტირებულად ცნობას აღარ საჭიროებს, რის გამოც აღნიშნული მითითება განჩინებიდან უნდა ამოირიცხოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 568-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე გ. გ-მის, საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის იურიდიული დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს პროკურორ ი. გ-მისა და გ. ჟ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. გ-მის კერძო საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 6 დეკემბრის განჩინება განაცდენი ხელფასის -3252 ლარის ანაზღაურების ნაწილში.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 6 დეკემბრის განჩინება წინანდელ თანამდებობაზე ან ტოლფას თანამდებობებზე აღდგენის თაობაზე, მიუღებელი შემოსავლისა და ანაცდენი სარგებლის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში.

განჩინებიდან ამოირიცხოს მითითება გ. ჟ-შვილის რეაბილიტირებულად ცნობის თაობაზე.

სხვა ნაწილში განჩინება დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **სამოქალაქო სამართალწარმოება**

#### **განჩინება**

#20-აპ

2 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. ტ-მის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ოქტომბრის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 1 ივნისის განაჩენით კ. ტ-მეს ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ»,



„გ» ქვეპუნქტები და 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ» ქვეპუნქტი, როგორც ზედმეტად წარდგენილი; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ» ქვეპუნქტით, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა» და „ე» ქვეპუნქტებით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2003 წლის 8 აგვისტოს კ. ტ-მე გაასამართლა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიუსაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც ნაწილობრივ დაემატა თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 21 მარტის განაჩენით დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2004 წლის 26 აპრილს მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ კ. ტ-მე სასჯელის მოხდისაგან ვადამდე პირობით გაათავისუფლა. მიუხედავად აღნიშნულისა, მან განაგრძო დანაშაულებრივი საქმიანობა და კვლავ ჩაიდინა დანაშაული, კერძოდ:

2007 წლის 27 იანვარს კ. ტ-მემ განიზრახა, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა რომელიმე მოქალაქის კუთვნილ მოძრავ ნივთს. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იგი დაუკავშირდა დაუდგენელ ორ პირს და მათთან ერთად იმავე დღეს გაემართა ორთაქალის ავტოსადგომზე, სადაც დაახლოებით 9.<sup>40</sup> საათზე მიკროავტობუს „ფორდ-ტრანზიტის» მფლობელ თ. დ-შვილს შეუთანხმდნენ, რომ 50 ლარის საფასურად წავიდოდნენ თბილისში, ფონიჭალა-3-ში მდებარე სასაფლაოზე საფლავის ქვის წასაღებად, იქვე მდებარე კორპუსიდან წაიყვანდნენ 10 მგზავრს, რის შემდეგაც წავიდოდნენ საგარეჯოში, ხოლო ფულს გადაუხდიდნენ ადგილზე ჩასვლის შემდეგ.

მოლაპარაკების შემდეგ კ. ტ-მე და მისი თანამზრახველები თ. დ-შვილმა წაიყვანა ფონიჭალა-3-ის სასაფლაოს მიმართულებით. როდესაც დანიშნულების ადგილზე მივიდნენ, უკან მჯდომმა კ. ტ-მემ მას ზურგის არეში მიადო ცეცხლსასროლი იარაღის მსგავსი საგანი, რის შემდეგაც მიკროავტობუსში მსხდარი პირები სიცოცხლისათვის საშიში ძალადობით დაემუქრნენ თ. დ-შვილს, მოსთხოვეს, არ ეყვირა და მათთვის გადაეცა მიკროავტობუსი, წინააღმდეგ შემთხვევაში - დაემუქრნენ სიცოცხლის მოსპობით, რაც დაზარალებულმა რეალურად აღიქვა, მიიჩნია, რომ მისი სიცოცხლე იყო საფრთხეში და შემინებული უსიტყვოდ დაემორჩილა ბოროტმოქმედთა მოთხოვნას. აღნიშნულმა პირებმა დანაშაულის დაფარვისა და მისი ჩადენის გაადვილების მიზნით თ. დ-შვილს, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, აუხვიეს თვალები, არ მისცეს თავისუფალი გადაადგილების საშუალება და მისივე კუთვნილი მიკროავტობუსით წაიყვანეს გაურკვეველი მიმართულებით, გაიარეს დაახლოებით 100 მეტრი, რის შემდეგაც იგი გადასვეს დაუდგენელ ავტომანქანაში, ხოლო მისი კუთვნილი, 15 ათას ლარად ღირებული ავტომანქანა „ფორდ-ტრანზიტი» მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით წაიყვანეს გაურკვეველი მიმართულებით.

კ. ტ-მემ და მისმა თანამზრახველებმა თავიანთ მიერ განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმის დაფარვის მიზნით თ. დ-შვილს აღუკვეთეს თავისუფლება. მისი არაერთი თხოვნის მიუხედავად, დაეზებინათ თავი და სახლში გაეშვათ, დანაშაულებრივ კავშირში მყოფმა პირებმა მას მიადეს იარაღი თავის არეში, მოუწოდეს სიმშვიდისაკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრნენ სიცოცხლის მოსპობით. თვალეზებულები თ. დ-შვილი დაუდგენელი მსუბუქი ავტომანქანით ატარეს დაახლოებით 5-10 წუთის განმავლობაში, რის შემდეგაც გააჩერეს მანქანა, დამნაშავეთაგან ორი გადავიდა მანქანიდან, ხოლო ერთ-ერთი შეიარაღებული პირი დარჩა თ. დ-შვილთან.

თ. დ-შვილისათვის თავისუფლების აღკვეთიდან დაახლოებით 4 საათის გასვლის შემდეგ მანქანიდან გადასული ორი პირი დაბრუნდა და ყველა ერთად ზემოაღნიშნული ავტომანქანით გაემართა გაურკვეველი მიმართულებით. დაახლოებით 10 წუთის სიარულის შემდეგ კ. ტ-მემ და მისმა თანამზრახველებმა თ. დ-შვილი ჩამოსვეს ავტომანქანიდან და კვლავ დაემუქრნენ, რომ 5 წუთის განმავლობაში თვალებიდან არ მოეხსნა სახვევი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას გაუსწორდებოდნენ. მუქარის განხორციელების რეალური შიშის გამო თ. დ-შვილი დაემორჩილა მათ მოთხოვნას, ხოლო კ. ტ-მე და მისი თანამზრახველები მიიმაღლნენ.

აღნიშნული ქმედებისათვის კ. ტ-მეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ» ქვეპუნქტით მიესაჯა 7 წლით, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა» და „ე» ქვეპუნქტებით - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა; საბოლოოდ მას განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 14 წლის ვადით, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 14 თებერვლიდან. მასვე დაზარალებულ თ. დ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება - 8500 აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხის გადახდა, გადახდის დროისათვის მოქმედი კურსით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ნ. მ-მემ და მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. ლ-მემ.

პროკურორმა ნ. მ-მემ სააპელაციო საჩივრით ითხოვა სასჯელის ლმობიერების მოტივით განაჩენის გაუქმება და კ. ტ-მისათვის საბოლოო სასჯელის ზომად 18 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა, ხოლო ადვოკატმა დ. ლ-მემ - მსჯავრდებულ კ. ტ-მის გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 1 ივნისის განაჩენი კ. ტ-მის მიმართ დარჩა უცვლელად.

კასატორი -მსჯავრდებული კ. ტ-მე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სასამართლოს უნდა შეეფასებინა ურთიერთშეთანხმებული, ეჭვის გამომრიცხავი მტკიცებულებები; მოსამართლეები დაეყრდნენ მხოლოდ დაზარალებულ თ. დ-შვილის ჩვენებას და მხედველობაში არ მიიღეს მსჯავრდებულის ალიბის დამადასტურებელი მტკიცებულებები; შემთხვევის დღეს იგი არ იყო თბილისში, ნინოზის დღესასწაულს აღნიშნავდა ქარელის რაიონის სოფელ არადეთში, რაც დაადასტურეს მოწმეებმა -კ. ხ-მემ, ს. ჯ-შვილმა, კ. ტ-მემ და გ. ჯ-შვილმა; საქმეშია სამი ურთიერთგამომრიცხავი ცნობა თ. დ-შვილის ავტომანქანის რეკვიზიტების შესახებ, გაცემული საქართველოს შსს-ს მიერ; დაცვა შეეცადა, დაესაბუთებინა, ხომ არ გამომდინარეობდა დაზარალებულის მიერ მსჯავრდებულის ცრუ დასმენა მისი პირადი ინტერესებიდან, რაც დაკავშირებული უნდა ყოფილიყო საეჭვო წარმომავლობის მიკროავტობუსთან; დაზარალებულმა შემთხვევის დღეს ვერ შეძლო კ. ტ-მის გარეგნობის გახსენება, რაც მოგვიანებით, 14 თებერვალს, ანთროპო-ანალიტიკური სიზუსტით აღწერა; აღნიშნულს ემატება წინასწარ გამოძიებაში გამოძიებლის მიერ დაშვებული არსებითი დარღვევები შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და ჩვენების ადგილზე შემოწმების ოქმებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოებული იყო დაზარალებულის უშუალო მონაწილეობის გარეშე და მათში აღნიშნული ე.წ. ფოტოილუსტრაცია არ ერთვის საქმეს; წინასწარმა გამოძიებამ ვერ მოიპოვა კ. ტ-მის დანაშაულის ჩადენის დროს შემთხვევის ადგილზე ყოფნის დამადასტურებელი მტკიცებულება, რასაც ასევე იგნორირება გაუკეთა სასამართლომ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული კ. ტ-მე ითხოვს მის მიმართ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების გამამტყუნებელ განაჩენთა გაუქმებას იმ მოტივით, რომ უდანაშაულოა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

უსაფუძვლოა კასატორის მითითება გატაცებული ავტომანქანის საეჭვო წარმომავლობის შესახებ. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მიკროავტობუსი რეგისტრირებულია კ. მ-მის სახელზე. ამ უკანასკნელმა სასამართლოს განუმარტა, რომ ავტომანქანა ეკუთვნოდა თ. დ-შვილს, იგი შეიძინა დაზარალებულის მიერ გაგზავნილი ფულით და მასვე გადასცა მინდობილობით.

დაზარალებულმა თ. დ-შვილმა კატეგორიულად განაცხადა, რომ ერთ-ერთი თავდამსხმელი იყო კ. ტ-მე. ბოროტმოქმედებმა თვალები აუხვიეს წებოვანი ლენტით, შემდეგ გადაიყვანეს მსუბუქ ავტომანქანაში. მოგვიანებით მანქანიდან თვალეზახეული ჩამოსვეს ნაგავსაყრელთან. თ. დ-შვილმა დაახლოებით 30 მეტრში ქალი დაინახა. წინასწარი გამოძიებისას ფოტოსურათით ამოიგნო კ. ტ-მე.

მოწმე ლ. ლ-შვილის ჩვენებით დადგენილია, რომ დაზარალებულმა იგი ნახა შემთხვევის ადგილზე, ნაგავსაყრელთან მას შემდეგ, რაც გაათავისუფლეს თავდამსხმელებმა. ლ. ლ-შვილის ჩვენება დაზარალებულის ჩვენების ობიექტურობაზე მეტყველებს.

პალატა აღნიშნავს, რომ საქმის გარემოებები გამოკვლეულია ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, უტყუარადაა დადასტურებული და ეჭვს არ იწვევს, რომ კ. ტ-მემ ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები, რაც სწორადაა დაკვალიფიცირებული და მსჯავრდებულის მიმართ საქმის შეწყვეტის საფუძველი არ არსებობს. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არსებითად არ დარღვეულა.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით კ. ტ-მეს მიუსაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, როდესაც ამ ქმედებისათვის სასჯელის მინიმალურ ზომად დადგენილია 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. ეს განაჩენი გასაჩივრა სახელმწიფო ბრალმდებელმა და მოითხოვა მსჯავრდებულისათვის სასჯელის დამძიმება, მაგრამ არა აღნიშნული მოტივით. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი სასჯელის ნაწილში კანონიერია.

ვინაიდან საქმე განიხილება მსჯავრდებულის საკასაციო საჩივრის საფუძველზე, სსკ-ის 566-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პალატა არ არის უფლებამოსილი, გააუქმოს გასაჩივრებული განაჩენი და საქმე დააბრუნოს ახალი სასამართლო განხილვისათვის მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესების მოტივით.

ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს მსჯავრდებულისათვის დაზარალებულის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში. თ. დ-შვილი სამოქალაქო მოსარჩელედ ცნეს საქმის წინასწარი გამოძიებისას, მაგრამ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 36-ე მუხლის მოთხოვნათა მიუხედავად, კ. ტ-მე სამოქალაქო მოპასუხედ არ უცვნიათ. შესაბამისად, მსჯავრდებულს ისე დაეკისრა დაზარალებულის სასარგებლოდ თანხის გადახდა, რომ საქმეზე არ დაწყებულა სამოქალაქო სამართალწარმოება, რაც დაუშვებელია. ამის გამო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, სსკ-ის 561-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საქმე სამოქალაქო სარჩელის ნაწილში ხელახლა განსახილველად გადასცეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული გარემოება არ უკარგავს უფლებას თ. დ-შვილს, წარადგინოს სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ კ. ტ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ოქტომბრის განაჩენი გაუქმდეს კ. ტ-ძისათვის თ. დ-შვილის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში.

გასაჩივრებელი განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამოქალაქო სამართალწარმოება**

**განჩინება**

#4-აპ

8 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. კ-ძისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ვ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ნოემბრის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 19 სექტემბრის განაჩენით კ. კ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებითა და 273-ე მუხლით იმაში, რომ სავაჭრო უკანონო შეღწევით ჩაიდინა ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ასევე, ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარება, ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შემდეგ, რაც კონკრეტულად გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 22 აპრილს, დაახლოებით 20 საათიდან 21 საათამდე დროის მონაკვეთში, სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით კ. კ-ძემ კარის ბოქლომის გატეხვის გზით შეაღწია ქ. ბათუმში მდებარე, ნ. ა-ელის სავაჭრო ჯიხურში, სადაც დაეუფლა ფულს და სხვადასხვა ნივთებს და მიიმალა, რითიც დაზარალებულს მიაყენა 323 ლარის ოდენობის ზიანი.

გარდა ამისა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 9 ნოემბრის დადგენილებით კ. კ-ძე დაჯარიმდა ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის. ამის მიუხედავად, მან კვლავ უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, რაც დადგინდა 2007 წლის 23 აპრილს ჩატარებული ნარკოლოგიური შემოწმებისას.

აღნიშნული ქმედებისათვის კ. კ-ძეს საბოლოოდ განესაზღვრა 4 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 23 აპრილიდან. დაკმაყოფილდა სამოქალაქო სარჩელი და კ. კ-ძეს დაზარალებულის სასარგებლოდ დაეკისრა 350 ლარის გადახდა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულის ადვოკატმა და სახელმწიფო ბრალმძებელმა.

ადვოკატმა მოითხოვა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლება სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო 273-ე მუხლით 6 თვით თავისუფლების აღკვეთისა და 1000 ლარის ოდენობით ჯარიმის დანიშვნა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 16 ნოემბრის განაჩენით საჩივრები არ დაკმაყოფილდა. ამასთან, კ. კ-ძეს საბოლოოდ განესაზღვრა 4 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 2500 ლარის ოდენობით. პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორები -კ. კ-მე და მისი ადვოკატი მ. ვ-მე საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ დაზარალებული ნ. ა-ელი არ ფლობს ქართულ ენას და მისი მონაწილეობით, თარჯიმნის გარეშე საქმის წინასწარი გამოძიებისას ჩატარდა მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებებისა. გასაჩივრებული განაჩენი ემყარება მხოლოდ დაზარალებულის მიერ 20-ლარიანი კუპიურის ამოცნობას, რაც დაუშვებელია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები მოითხოვენ კ. კ-მის მიმართ მიმართ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში საქმის შეწყვეტას, ხოლო 273-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის 6 თვით თავისუფლების აღკვეთისა და 1000 ლარის ოდენობით ჯარიმის დანიშნას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების მოტივს, რომ გასაჩივრებული განაჩენი ემყარება ერთადერთ მტკიცებულებას -დაზარალებულის მიერ 20-ლარიანი კუპიურის ამოცნობას, კერძოდ:

დაზარალებულმა ნ. ა-ელმა სასამართლოს განუმარტა, რომ ჯიხურიდან გატაცებულ თანხას ერთი კვირის მანძილზე აგროვებდა და ზუსტად ახსოვს კუპიურების მდგომარეობა. საქმის წინასწარი გამოძიებისას ამოიგნო თავისი 20-ლარიანი კუპიურა, რომელსაც კუთხე ჰქონდა მოხეული. მანვე მიუთითა, რომ შემთხვევის დღეს კ. კ-მე მისგან სესხად ითხოვდა 20 ლარს, რაზეც უარი მიიღო და დაზარალებულს დაემუქრა. ნ. ა-ელის განმარტებით, მან თითქმის არ იცის ქართულად წერა-კითხვა. საქმის წინასწარი გამოძიებისას დაკითხვისა და საგნის ამოსაცნობად წარდგენის დროს არ ჰყავდა თარჯიმანი. დაზარალებულის თანხმობით, სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნდა წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენება, რომლის ობიექტურობა ნ. ა-ელმა მთლიანად დაადასტურა. ამ ჩვენებაში დაზარალებული მიუთითებს, რომ გატაცებული თანხიდან 20-ლარიან კუპიურას მარჯვენა მხარეს მოხეული ჰქონდა კუთხე. ხუთი 5-ლარიანი კუპიურიდან 2 იყო ახალი, ხოლო ორს გადაკეცვის ადგილზე, შუაში ჰქონდა ამონახევი. 2-ლარიანი კუპიურიებიდან 2 იყო ახალი.

საქმის წინასწარი გამოძიებისას დაზარალებულის დაკითხვიდან რამდენიმე საათში ჩატარებული პირადი ჩხრეკისას კ. კ-მისაგან ამოიღეს 20-ლარიანი კუპიურა, რომელსაც მარჯვენა კუთხე მოხეული აქვს. ამოღებული 5 და 2-ლარიანი კუპიურიებიდან 2-2 არის შედარებით ახალი. ერთ-ერთ 5-ლარიან კუპიურას გადაკეცვის ადგილზე, შუაში აქვს მცირე ზომის ნახვრეტი.

წინასწარი გამოძიებისას დაზარალებულის დაკითხვის ოქმით ირკვევა, რომ ნ. ა-ელი ეროვნებით ქართველია და მისი დედაც ქართულია. ამ უკანასკნელს გადაეცა უფლება-მოვალეობათა ნუსხა და დაკითხვის ოქმის სისწორე დაადასტურა ქართულ ენაზე მინაწერით და ხელმოწერებით. დაზარალებულის მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებისას არ წამოჭრილა თარჯიმნის მოწვევის აუცილებლობა. აღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო სხდომაზე ნ. ა-ელს ექვეყემ არ დაუყენებია და მთლიანად დაადასტურა მისი მონაწილეობით საქმის წინასწარი გამოძიების დროს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების ობიექტურობა, საფუძვლიანია სასამართლოს დადგენილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობები ამ საგამოძიებო მოქმედებათა ოქმების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ.

ამდენად, საქმეში არსებული მასალების ობიექტური ანალიზით სააპელაციო პალატამ სწორად მიიჩნია დადგენილად, რომ კ. კ-მემ ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები და გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებული და სამართლიანია, ხოლო მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული.

ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს მსჯავრდებულისათვის დაზარალებულის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში. ნ. ა-ელი სამოქალაქო მოსარჩელედ ცნეს საქმის წინასწარი გამოძიებისას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 36-ე მუხლის მოთხოვნათა მიუხედავად, კ. კ-მე სამოქალაქო მოპასუხედ არ უცვნიათ, რაზეც სააპელაციო პალატამ ყურადღება არ გაამახვილა. შესაბამისად, მსჯავრდებულს ისე დაეკისრა დაზარალებულის სასარგებლოდ თანხის გადახდა, რომ საქმეზე ფაქტობრივად არ დაწყებულა სამოქალაქო სამართალწარმოება. ამის გამო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, სსკ-ის 561-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საქმე სამოქალაქო სარჩელის ნაწილში ხელახლა განსახილველად გადასცეს სამოქალაქო სამართალწარმოების წეით. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული გარემოება არ უკარგავს უფლებას ნ. ა-ელს, წარადგინოს სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

გარდა სამოქალაქო სარჩელის საკითხის გადაწყვეტისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არსებითად არ დარღვეულა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულ კ. კ-ძისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ვ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ნოემბრის განაჩენი გაუქმდეს მსჯავრდებულ კ. კ-ძისათვის დაზარალებულ ნ. ა-ელის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სამოქალაქო სამართალწარმოება

### განჩინება

#1565-აპ 25 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),

ზ. მეიშვილი,

ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა დაზარალებულ ე. ჯ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ რ. ხ-შისა და მსჯავრდებულ ნ. კ-ძის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ივლისის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 28 მარტის განაჩენით ნ. კ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ», „გ» ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ა», „გ» ქვეპუნქტებით, 372-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით იმაში, რომ ჩაიდინა თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, არაერთგზის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ორგანიზებული ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით; ასევე - მოწმის მოსყიდვისა და იძულების მცდელობა ცრუ ჩვენების მიცემისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

ნ. კ-ძემ 1997 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში თავის ძმასთან, რ. ჩ-ძესთან ერთად, სხვისი ქონების მოტყუებით, ერთობლივად დაუფლების მიზნით, ჩამოაყალიბა მყარი ორგანიზებული ჯგუფი, რის შემდეგაც 1997 წლის 6 ნოემბრიდან 1998 წლის 14 სექტემბრამდე დროის მონაკვეთში რ. ჩ-ძესთან ერთად დაეუფლა:

- 1997 წლის 6 ოქტომბრის #544 ხელშეკრულებით -6 000 აშშ დოლარს;
- 1997 წლის 20 დეკემბრის #673 ხელშეკრულებით -2 250 აშშ დოლარს;
- 1997 წლის 26 დეკემბრის #678 ხელშეკრულებით -21 000 აშშ დოლარს;
- 1997 წლის 27 დეკემბრის #680 ხელშეკრულებით -2 000 აშშ დოლარს;
- 1998 წლის 18 იანვრის #739 ხელშეკრულებით -2 900 აშშ დოლარს;
- 1998 წლის 7 თებერვლის #759 ხელშეკრულებით -5 000 აშშ დოლარს;
- 1998 წლის 9 თებერვლის #763 ხელშეკრულებით -6 000 აშშ დოლარს;
- 1998 წლის 9 თებერვლის #773 ხელშეკრულებით -2 000 აშშ დოლარს;
- 1998 წლის 20 თებერვლის #777 ხელშეკრულებით -2 000 აშშ დოლარს;
- 1998 წლის 13 მარტის #814 ხელშეკრულებით -650 აშშ დოლარს;
- 1998 წლის 14 მარტის #747 ხელშეკრულებით -75 000 აშშ დოლარს;
- 1998 წლის 13 აპრილის #843 ხელშეკრულებით -6 000 აშშ დოლარს;
- 1998 წლის 28 ივნისის უნომრო ხელშეკრულებით -1 500 აშშ დოლარს;
- 1998 წლის 14 სექტემბრის უნომრო ხელშეკრულებით -1 000 აშშ დოლარს.

სულ იგი დაეუფლა 133 000 აშშ დოლარს, რომელიც ეკუთვნოდა ე. ჯ-ძესა და სპს „მ-ძე და კომპანიასთან» არსებულ #3088 ლომბარდის მენაბრეებს.

ასევე, ნ. კ-ძე 1998 წლის 24 ივნისს მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რ. ჩ-ძესთან ერთად, დაეუფლა ე. ჯ-ძის კუთვნილ 33 910 აშშ დოლარის ღირებულების, 24 დასახელების ოქროს ნივთებს და ამ უკანასკნელის მფლობელობაში არსებულ, სპს „მ-ძე და კომპანიასთან» არსებულ #3088 ლომბარდის მენაბრეთა 25 258 აშშ დოლარის ღირებულების, 85 დასახელების ოქროს ნივთებს.

იგი ასევე მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, არაერთგზის დაეუფლა ჯ. გ-იანის 2 500 აშშ დოლარს, რითიც დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი.

მანვე 2004 წლის 25 იანვარს ქ. ბათუმში, გამსახურდიას ქუჩაზე, მოწმე ლ. დ-მეს მოსყიდვის მიზნით, ცრუ ჩვენების მიცემისათვის შესთავაზა 500 აშშ დოლარი.

მანვე 2005 წლის 12 ივნისს ქ. ბათუმში, ბარათშვილის ქუჩაზე, მუქართ, რომ ფიზიკურად გაუსწორდებოდა, ჩაიდინა მოწმე ლ. დ-მის იძულება ცრუ ჩვენების მიცემისათვის.

აღნიშნული ქმედებისათვის ნ. კ-მეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ», „გ» ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ა» და „გ» ქვეპუნქტებით მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 372-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ჯარიმა -2 000 ლარი, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით ჯარიმა -2 000 ლარი; საბოლოოდ ნ. კ-მეს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით და ჯარიმა 4 000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის დრო -6 თვე და 17 დღე, ხოლო სასჯელის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან. ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სამოქალაქო სარჩელი და ნ. კ-მეს დაზარალებულ ჯ. გ-იანის სასარგებლოდ დაეკისრა 2500 დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა გადახდის დროისათვის არსებული კურსით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გ. მ-მემ, დაზარალებულმა ჯ. გ-იანმა და მისმა წარმომადგენელმა რ. პ-ოვმა, დაზარალებულმა ლ. დ-მემ, დაზარალებულმა ე. ჯ-მემ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა რ. ხ-შმა და მსჯავრდებულმა ნ. კ-მემ.

პროკურორმა გ. მ-მემ სააპელაციო საჩივრით ითხოვა მსჯავრდებულ ნ. კ-მისათვის სასჯელის დამძიმება და 9 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა, ასევე, მსჯავრდებულისათვის დაზარალებულ ე. ჯ-მის სასარგებლოდ 126 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრება.

დაზარალებულმა ჯ. გ-იანმა და მისმა წარმომადგენელმა რ. პ-ოვმა სააპელაციო საჩივრით ითხოვეს მსჯავრდებულისათვის სასჯელის დამძიმება და დაზარალებულ ჯ. გ-იანის სასარგებლოდ 7 000 აშშ დოლარის დაკისრება.

დაზარალებულმა ლ. დ-მემ სააპელაციო საჩივრით ითხოვა მსჯავრდებულ ნ. კ-მისათვის საქართველოს სსკ-ის 372-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით შეფარდებული სასჯელის დამძიმება და ამ ნაწილში მისთვის 3 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა.

დაზარალებულმა ე. ჯ-მემ და მისმა ადვოკატმა რ. ხ-შმა სააპელაციო საჩივრებით ითხოვეს ნ. კ-მისათვის სასჯელის საბოლოო ზომად 14 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა; ე. ჯ-მის სარჩელის დაკმაყოფილება და ნ. კ-მესთან ერთად ნ. ჩ-მისათვის სოლიდარულად 126 000 აშშ დოლარის დაკისრება; მოწმე ქ. უ-მის სს პასუხისგებაში მიცემა საქართველოს სსკ-ის 371<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად; განაჩენში მითითებული „დაზარალებული ე. ჯ-მის» შეცვლა „დაზარალებული სპს „მ-მე და კომპანიის» ლომბარდ #3088 დირექტორ ე. ჯ-მით»; ასევე ითხოვეს, არ მოხსნილიყო ყადაღა ი. ჩ-მის სახლსა და მიწის ნაკვეთზე.

მსჯავრდებულმა ნ. კ-მემ სააპელაციო საჩივრით ითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 28 მარტის განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ივლისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით: ნ. კ-მეს განაჩენიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ» ქვეპუნქტით შერაცხული მსჯავრი; ნ. კ-მის ქმედება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ» ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტზე, ხოლო 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა» ქვეპუნქტიდან -180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა» ქვეპუნქტზე; ნ. კ-მეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ» ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 372-ე მუხლის 1-ლი ნაწილით -ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით, 372-ე მუხლის მე-2 ნაწილით -ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით; საბოლოოდ მას განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით და ჯარიმა 4 000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას სასჯელის მოხდაში ჩათვალა დაკავების დრო -2003 წლის 31 მაისიდან 2003 წლის 15 დეკემბრამდე, სულ -6 თვე და 17 დღე და სასჯელის ვადა აეთვალა 2007 წლის 2 აპრილიდან; განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი -დაზარალებულ ე. ჯ-მის ინტერესების დამცველი, ადვოკატი რ. ხ-ში საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი ნ. კ-მის მიმართ უკანონოა შემდეგ გარემოებათა გამო:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ნ. კ-მეს არასწორად ამოურიცხა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ» ქვეპუნქტი და არასწორად დააკვალიფიცირა მსჯავრდებულის ქმედება, ასევე არასწორად გამოიყენა სასჯელის ზომა და სახე; ნ. კ-მის ქმედებამ დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი; ე. ჯ-მე დაზარალებულად ცნობილია, როგორც ფიზიკური პირი, მაგრამ იგი ასევე უნდა ყოფილიყო დაზარალებულად ცნობილი, როგორც იურიდიული პირის -სპს „მ-მე და კომპანიის» დირექტორი; სასამართლოს არ უნდა დაეტოვებინა სამოქალაქო მოსარჩელის სარჩელი განუხილველად, ამიტომ განაჩენი ამ ნაწილშიც უნდა გაუქმდეს და საქმე დაბრუნდეს სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

კასატორის აზრით, განაჩენი ნ. კ-ძის მიმართ უსამართლოა, რადგან მან წლების მანძილზე არ აანაზღაურა დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანი, არ შეურიგდა დაზარალებულს, არ აღიარა დანაშაული, პირიქით, იგი ცდილობდა მოწმეთა მოსყიდვასა და იძულებას, დაზარალებულს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა და ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანება, რის გამოც აღძრულია კერძო ბრალდების საქმე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი რ. ხ-ში ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და საქმის დაბრუნებას იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების მიზნით.

მსჯავრდებული ნ. კ-მე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა, რადგან არ არის გამოტანილი საქართველოს კონსტიტუციის, სისხლის სამართლის საპროცესო და მატერიალური კანონების მოთხოვნათა დაცვით; განაჩენი დაუსაბუთებელია, ვინაიდან მისი დასკვნები არ ემყარება უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას, ხოლო განაჩენის დასაბუთებული დასკვნები სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება; განაჩენი უსამართლოა იმდენად, რამდენადაც სასჯელი შეეფარდა უდანაშაულო ადამიანს.

მსჯავრდებული ასევე აღნიშნავს, რომ მოცემული სისხლის სამართლის საქმე აღიძრა 2000 წლის 4 დეკემბერს; სს საქმის აღძვრის საფუძველი გახდა ის, რომ 2000 წლის 23 მაისს ე. ჯ-მემ სპს „მ-მე და კომპანიის» დირექტორის სახელით სარჩელი შეიტანა სასამართლოში და სარჩელის დასაბუთებლად მან სასამართლოს წარუდგინა ყალბი ხელშეკრულებები, მათ შორის - ხელშეკრულება დაზარალებულად ცნობილ ჯ. გ-იანთან 1000 აშშ დოლარზე; სასამართლომ ოქროს სამკაულების ნაწილში სარჩელი განუხილველად დატოვა და მასალები შესასწავლად გადაეგზავნა აჭარის პროკურატურას; ამ მასალების საფუძველზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიება მიმდინარეობდა 2001 წლის 2 ივლისამდე, შემდეგ კი შეწყდა დანაშაულის არარსებობის გამო; გამოძიებამ საქმე ნ. კ-ძის მიმართ შეწყვიტა მარეაბილიტირებელი საფუძვლით; შეწყვეტის დადგენილება გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოში; დამატებითი გამოძიება მიმდინარეობდა ტენდენციურად, საპროცესო კანონის იგნორირებით, ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის დარღვევით; მოცემულ საქმეზე არასწორად არის სისხლის სამართლის კანონი გამოყენებული; სადისკუსიო შეიძლება აღმოჩნდეს ის მოსაზრება, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საკუთრება არ შეიძლება განვიხილოთ 1960 წლის რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის გაგებით არსებულ საზოგადოებრივ საკუთრებად; კანონმდებელი საუბრობდა საკუთრების იმგვარ ფორმაზე, როდესაც არც ერთ წევრს ინდივიდუალური წილი არ ერგებოდა, თავისი შეხედულებისამებრ ვერაფერი ვერ ფლობდა, განკარგავდა ან და სხვისებდა; ამგვარი საზოგადოებრივი საკუთრება არ შედგებოდა მესაკუთრეთა ინდივიდუალური, წილობრივი შენატანებისაგან იმ უზრალო მიზეზით, რომ 1960 წლის რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსი კერძო საკუთრების ტერმინს არც კი იყენებდა, კანონი იცნობდა მხოლოდ პირად საკუთრებას; დადგენილია, რომ სპს „მ-მე და კომპანიის» სათანადოდ რეგისტრირებული სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტი - ლომბარდი #3088 არასოდეს ჰქონია; საქმეზე დაზარალებულად ცნობილი ე. ჯ-მე უკანონო სამეწარმეო საქმიანობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას გადაურჩა მხოლოდ ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

კასატორის განმარტებით, საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსი თაღლითობისათვის (180-ე მუხლის მე-3 ნაწილი) აწესებდა 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ხოლო 2000 წლის 31 მაისამდე მოქმედი - 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას; საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და სსკ-ის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს სასჯელს ან არ აუქმებს ქმედების პასუხისმგებლობას, უკუქცევითი ძალა არა აქვს; ეს ნორმა ნ. კ-ძის მიმართ იგნორირებულია.

არასწორადაა გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი ჯ. გ-იანის ეპიზოდშიც; საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილი აწესებდა 2-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ხოლო 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 153-ე მუხლის მე-2 ნაწილი - 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას; სასამართლო ვალდებული იყო, ორივე შემთხვევაში სწორად გამოეყენებინა კანონი, კანონის არასწორი გამოყენება კი განაჩენის გაუქმების უპირობო საფუძველია (აბსოლუტური კასაცია); მოცემულ საქმეში ასევე არასწორი განმარტება მიეცა სისხლის სამართლის საპროცესო და მატერიალურ კანონებს, რაც გამოიხატება თაღლითობის ცნების არასწორ აღქმაში, პროცესის მონაწილეთა გამომრიცხავ გარემოებათა უზუსტო გაგებაში და ტერიტორიული ქვემდებარეობის დარღვევის სამართლებრივი შედეგების გაუთვითცნობიერებაში; მსჯავრდებულმა სხვადასხვა დროს ე. ჯ-ძისაგან სათანადო საპროცენტო სარგებლის განსაზღვრით რამდენჯერმე ისესხა ფული; თანხისა და საპროცენტო სარგებლის დაბრუნების გამო წამოჭრილი პრობლემური საკითხების მოსაწესრიგებლად ნ. კ-მემ 1998 წლიდან 2000 წლამდე პერიოდში ვალის დაფარვის მიზნით ე. ჯ-ძეს გადაუხადა ვალი უძრავი და მოძრავი ფასეულობების გადაცემის გზით, სულ დაახლოებით 92 300 აშშ დოლარი ნაღდი ფულის, ასევე, უძრავი და მოძრავი ქონების სახით; ე. ჯ-მემ გაასხვისა, ანუ გადააგირავა ლომბარდის მსესხებელთა ოქროს სამკაულები სხვა ლომბარდში, რისი უფლებაც მას არც სამოქალაქო და არც სისხლის სამართლის კანონმდებლობით არ ჰქონდა; ამ ფაქტის გამო რა ხერხით გადაურჩა სისხლისსამართლებრივ დევნას ე. ჯ-მე, გაურკვეველია; საქმის მასალებით დგინდება, რომ ნ. კ-ძეს ე. ჯ-ძის საკუთრების მართლსაწინააღმდეგოდ და უსასყიდლოდ

დაუფლების განზრახვა არასოდეს ჰქონია; სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულებისათვის მსჯავრდებულმა მას სხვა ფასეულობებთან ერთად თავისი საცხოვრებელი ბინაც კი გადასცა.

ამრიგად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სწორი გააზრებით ნ. კ-ძის ქმედებაში არ მოიპოვება თაღლითობის ნიშნები, არსებულ სესხს იგი აბრუნებდა როგორც ძირითადი თანხის, ისე, საპროცენტო სარგებლის სახითაც; ოქროს სამკაულების გადასარჩენად ის სისტემატურად იხდიდა შესაბამის პროცენტებს; ე. ჯ-მე ცხოვრობს და საკუთრების უფლებით განაგებს ნ. კ-ძის ბინას; ე. ჯ-მე 1997 წლიდან ეწევა დანაშაულებრივ საქმიანობას, თაღლითობას, სახელმწიფო გადასახადებისგან თავის არიდებას, ყალბი დოკუმენტების დამზადებასა და ცრუ მეწარმეობას; გამომძიებელმა ს. გ-მემ მას შეუწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა ფორმა „ჩაოს“ #3088 ლომბარდის საქმიანობით სხვისი ქონების თაღლითობით დაუფლებისათვის; იგი ამჟამადც მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში თაღლითობისათვის.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ სასარჩელო განცხადებაში დაფიქსირებულია, რომ ე. ჯ-მე ნ. კ-ძისაგან მოითხოვს 92 დასახელების ოქროს სამკაულს, ღირებულს დაახლოებით 35 000 აშშ დოლარად; გამოძიების დაწყების შემდეგ ე. ჯ-მეს აღარაფერი გადაუცია ნ. კ-ძისათვის, მეტიც, მას დაუბრუნდა, სულ მცირე, 17 დასახელების ოქროს სამკაული; იმის ნაცვლად, რომ სამკაულების რაოდენობა შემცირებულიყო 75-მდე, პირიქით, გაიზარდა 109-მდე; სასამართლო გამოძიება მოცემულ საქმეზე მიმდინარეობდა პროცესის მონაწილეთა გამომრიცხავი გარემოებებით; პროკურორი გ. მ-მე თავის მოსაზრებებს გამოთქვამდა ჯერ კიდევ სასამართლო გამოძიების მიმდინარეობისას, თუმცა დაცვის მხარის შუამდგომლობა მისი აცილების შესახებ სასამართლომ არ დააკმაყოფილა; პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმეს იხილავდა მოსამართლე, რომელიც დაზარალებულის ადვოკატ რ. ხ-შთან ერთად იმყოფებოდა ახლო მეგობრულ ურთიერთობაში და წარსულში -კომერციულ ერთეულში პარტნიორულ ურთიერთობაში; მოსამართლე რ. კ-მე მხილებულ იქნა ერთ-ერთ ქორწილში დაზარალებულ ე. ჯ-ძესთან პრივატულ საზოგადოებაში, ამიტომ დაცვამ საქართველოს სსსკ-ის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დააყენა მოსამართლის აცილების საკითხი, თუმცა მან აცილება არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ დაზარალებულთან პრივატული ურთიერთობა ჰქონდა დროის მცირე მონაკვეთში და ისიც -სამსახურებრივი მოვალეობებისაგან თავისუფალ დროს, ხოლო ადვოკატ რ. ხ-შთან ახლო მეგობრული ურთიერთობა მას ხელს არ უშლის საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მიღებაში; სააპელაციო სასამართლომ გამოხატა არაობიექტურობა, როდესაც თვითნებურად მიანიჭა პროცესში მოწმედ ჩაბმულ რ. კ-მეს დაზარალებულ ე. ჯ-მის წარმომადგენლის უფლება.

კასატორის განმარტებით, ნ. კ-ძის ბრალდების საქმეზე 2005 წლის 14 აპრილიდან წინასწარი გამოძიება მიმდინარეობდა ტერიტორიული ქვემდებარეობის დარღვევით; საქართველოს სსსკ-ის 111-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მტკიცებულება დაუშვებლად მიიჩნევა, თუ იგი მიღებულია იმ თანამდებობის პირის ან ორგანოს მიერ, რომელიც უფლებამოსილი არ არის, შეკრიბოს მტკიცებულებანი ამ საქმეზე; ვინაიდან არ არსებობს საქართველოს გენერალური პროკურორის ანდა აჭარის ა\რ-ის პროკურორის წერილობითი მითითება, ხელვაჩაურის შს რაიგანყოფილების გამომძიებელი არ იყო უფლებამოსილი, ეწარმოებინა გამოძიება და შეეკრიბა მტკიცებულებები; ამიტომ ნ. კ-ძის სისხლის სამართლის საქმიდან ამოღებულ უნდა იქნეს ხელვაჩაურის შს რაიგანყოფილების გამომძიებლის მიერ მოპოვებული ყველა საბუთი და დოკუმენტი; დაზარალებულ ე. ჯ-მის ჩვენებით, მას თანხა მოსთხოვა ე. ჯ-მემ და სწორედ მას შეუტანა ბინაში 1000 აშშ დოლარი; რადგან ეს თანხა მაგიდიდან აიღო ნ. კ-მემ, ამიტომ ის თაღლითია; „ეს სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს“; რაც შეეხება ლ. დ-ძის ეპიზოდს, იგი ნ. კ-ძისათვის საზიანო რაიმე ინფორმაციას გამომძიებას თუ სასამართლოს არ აწვდის და ამ მარტივი მიზეზის გამო მსჯავრდებულს ლ. დ-ძისათვის არც 500 აშშ დოლარი შეუთავაზებია და არც ფიზიკური გასწორებით დამუქრებია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული ნ. კ-მე ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 6 ივლისის განაჩენის გაუქმებას და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ ნ. კ-ძის საჩივრის მოტივს იმის შესახებ, რომ ე. ჯ-მემ გამოიყენა ყალბი ხელშეკრულებები, რომლებზე მითითებთაც ითხოვდა 95 150 აშშ დოლარის გადახდას.

საკასაციო სასამართლოში თავად ნ. კ-მემ მიუთითა, რომ მას და ე. ჯ-მეს ნამდვილად ჰქონდათ გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებიც საქმეშია და მან მართლაც მიიღო ამ ხელშეკრულებებში მითითებული თანხები, თუმცა ფულის დიდი ნაწილი, მათ შორის -პროცენტიც დაუბრუნა ე. ჯ-მეს. მსჯავრდებულმა ასევე მიუთითა, რომ მისი ოჯახის წევრებს ჰქონდათ მსხვილი ბიზნესი, რაც იცოდა ე. ჯ-მემ და ცდილობდა, როგორმე დაუფლებოდა ნ. კ-ძის ქონებას. ამისათვის ე. ჯ-მემ ყველა ღონე იხმარა და დაითანხმა ნ. კ-მე, რათა მისგან შეღავათიანი პირობებით აეღო სესხი.



დაზარალებულ ე. ჯ-ის ჩვენებებით დადგენილია, რომ ნ. კ-მე და მისი თანამზრახველი არწმუნებდნენ, რომ ჰქონდათ მსხვილი ბიზნესი და იყვნენ წარმატებული მეწარმეები, რის დასამტკიცებლადაც აჩვენებდნენ თითქოსდა მათ ბიზნესობიექტებს. ამასთან, ნ. კ-მე ტვირთბრუნვის მოცულობის გაზრდისათვის სთხოვდა თანხას. ე. ჯ-ის განცხადებით, იგი შეცდომაში შეიყვანა ნ. კ-მემ, რომელსაც გადასცა თავისი და ლომბარდის მეანაბრეთა ფული და ძვირფასეულობა -133 000 აშშ დოლარი და 59.168 აშშ დოლარის ღირებულების ოქროს ნივთები. როგორც შემდეგ დადგინდა, ნ. კ-მესა და მის თანამზრახველს არანაირი ბიზნესი არ ჰქონდათ, მათ შორის -არც ქვეყნის ფარგლებს გარეთ. გარდა ამისა, ე. ჯ-მემ შეიტყო, რომ ნ. კ-მე ლომბარდის მეანაბრეთა ოქროს ნივთებს ჰყიდდა დაბალ ფასად.

დაზარალებულ ლ. დ-ის ჩვენებებით დადგენილია, რომ ნ. კ-მე ე.წ. «ოქროს ბირჟაზე» ჰყიდდა ოქროს ნივთებს. მეორე დღეს ე. ჯ-მისაგან შეიტყო, რომ ეს ნივთები ეკუთვნოდა დაზარალებულს. ნ. კ-მე მოსყიდვითა და მუქარით აიძულებდა ლ. დ-მეს, მიეცა ცრუ ჩვენება.

მსჯავრდებული თავის საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ ვალის დაფარვის მიზნით ე. ჯ-მესა და მის მევალებებს გადასცა უძრავი და მოძრავი ნივთები, მათ შორის -ბინები და გემი.

დაზარალებულმა ე. ჯ-მემ მიუთითა, რომ თავისი აქტიური მოქმედებით დაიბრუნა ფულისა და ძვირფასეულობის ნაწილი ნივთების სახით, მაგრამ ნ. კ-მეს დასაბრუნებელი აქვს 126 000 აშშ დოლარი.

თავად ნ. კ-მე პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებში აცხადებს, რომ ე. ჯ-მემ ბინა და გემი «წაიღო მისით... წართვა ბინა, გაუყიდა და ჯართში ჩააბარა გემი», რისი უფლებაც არ ჰქონდა და ამიტომ თავადაა თაღლითი.

ის გარემოება, რომ ე. ჯ-მემ «ავად თუ კარგად», როგორც ამას უწოდებს ნ. კ-მე თავის საჩივარში, მიიღო გარკვეული ნივთები, არ გამოირიცხავს სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობას და მოცემულ შემთხვევაში ამ გარემოებას ქმედების აღნიშნული მუხლით დაკვალიფიცირებისათვის მნიშვნელობა არ აქვს.

უსაფუძვლოა ნ. კ-მის მითითება იმის შესახებ, რომ არასწორადაა გამოყენებული მატერიალური კანონი, რაც, სსკ-ის 562-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, განაჩენის გაუქმების უპირობო საფუძველია. იგი ასევე მიუთითებს, რომ სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილი სასჯელად ითვალისწინებს 2-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ხოლო 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი სსკ-ის 153-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას 5 წლამდე.

პალატა აღნიშნავს, რომ მატერიალური კანონის არასწორი გამოყენება არ წარმოადგენს განაჩენის გაუქმების უპირობო საფუძველს. ამგვარი საფუძვლები მითითებულია სსკ-ის 563-ე მუხლის მე-2 ნაწილში. ამასთან, ადრე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 153-ე მუხლი ამოღებულ იქნა 1997 წლის 17 ოქტომბრის ცვლილებით და თაღლითობას ითვალისწინებდა ამავე კოდექსის 93-ე მუხლი, რომელზეც მართებულად მიუთითებს სააპელაციო პალატა თავის განაჩენში.

ამასთან, ნ. კ-მეს საპროცესო კანონის მოთხოვნათა დარღვევით დაეკისრა ჯ. გ-იანის სასარგებლოდ თანხის გადახდა, რადგან ნ. კ-მე სამოქალაქო მოპასუხედ ცნობილი არ ყოფილა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 35-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, თუ გამომძიებელი, პროკურორი ან სასამართლო მიიჩნევს, რომ წარდგენილ სარჩელს აქვს საკმარისი საფუძველი, გამოაქვს გადაწყვეტილება პირის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ, რის შემდეგაც, ამავე კოდექსის 36-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამოქალაქო მოპასუხედ ცნობს ბრალდებულს. ამდენად, პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა მსჯავრდებულს ისე დააკისრეს დაზარალებულის სასარგებლოდ თანხის გადახდა, რომ საქმეზე ფაქტობრივად არ დაწყებულა სამოქალაქო სამართალწარმოება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს დაზარალებულის ადვოკატ რ. ხ-შის მოთხოვნას სამოქალაქო სარჩელის დაუკმაყოფილებლობის მოტივით გასაჩივრებული განაჩენის გაუქმების შესახებ. უსაფუძვლოა ასევე მითითება იმის შესახებ, რომ სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, განუხილველად დაეტოვებინა სამოქალაქო სარჩელი. ამგვარი უფლება სასამართლოს ჰქონდა სსკ-ის 505-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად და პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა სარჩელის განუხილველად დატოვების მოტივი. ამ საკითხზე ამომწურავად და სწორად იმსჯელა სააპელაციო პალატამ.

იმის გამო, რომ საქმეზე სამოქალაქო სამართალწარმოება ფაქტობრივად არ დაწყებულა, პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, სსკ-ის 561-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საქმე სამოქალაქო სარჩელის ნაწილში ხელახლა განსახილველად გადასცეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული გარემოება არ უკარგავს უფლებას დაზარალებულს, წარადგინოს სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

ამასთან, საკასაციო პალატა იზიარებს დაზარალებულის ადვოკატის საჩივრის მოტივს იმის შესახებ, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად ამორიცხა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტი (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით).

აღნიშნულთან დაკავშირებით პალატა განმარტავს, რომ დიდი ოდენობით ნივთის დაუფლება ყოველთვის არ მოიცავს მნიშვნელოვან ზიანს. მოცემულ შემთხვევაში ნ. კ-მის ქმედება იმის გამო დაკვალიფიცირდა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითაც (თაღლითობა არაერთგზის),

რომ ნ. კ-მე მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა ჯ. გ-იანის 2500 აშშ დოლარსაც, რითაც მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი. რაც შეეხება ე. ჯ-ძის თაღლითურად დაუფლებულ ნივთებს, საბრალდებო დასკვნიდან გამომდინარე, ამ ეპიზოდში ადგილი ჰქონდა ერთიან მიზანსა და საერთო განზრახვას.

რამდენადაც სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დიდი ოდენობით თაღლითობასთან ერთობლიობაში ნ. კ-მეს ზედმეტად აქვს წარდგენილი სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტი, მას მსჯავრდებული არ გაუმართლებია მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევით ჩადენილი თაღლითობის ბრალდების ეპიზოდში.

აღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი სსკ-ის 180-ე მუხლის ყოველი მომდევნო ნაწილი მოიცავს წინას და პირის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს და სასჯელი დაინიშნოს მხოლოდ ამ მუხლის ყველაზე მძიმე ნაწილით, სააპელაციო პალატას საქმე არ განუხილავს ისეთი სამართლებრივი დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

პალატა ვერ გაიზიარებს დაზარალებულის ადვოკატის საჩივრის მოტივს იმის შესახებ, რომ მსჯავრდებულს დაენიშნა მეტისმეტად მსუბუქი სასჯელი. პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა სათანადოდ გამოიკვლიეს და შეაფასეს ნ. კ-ძის მახასიათებელი მტკიცებულებები, გაითვალისწინეს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეც და მსჯავრდებულს დაუნიშნეს სამართლიანი სასჯელი, რომელიც პასუხობს სსკ-ის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილ მიზნებსაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეში არსებული, საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებული და გამოკვლეული მტკიცებულებების ანალიზისა და ურთიერთმეჯერების შედეგად სააპელაციო პალატამ დაადგინა დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არსებითად არ დარღვეულა (რამაც შეზღუდა პროცესის მონაწილეთა უფლებები, ხელი შეუშალა საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვას, გავლენა მოახდინა კანონიერი, საფუძვლიანი და სამართლიანი განაჩენის დადგენაზე).

ამდენად, გარდა მსჯავრდებულისათვის ჯ. გ-იანის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილისა, გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

დაზარალებულ ე. ჯ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ რ. ხ-შისა და მსჯავრდებულ ნ. კ-ძის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ივლისის განაჩენი გაუქმდეს ნ. კ-ძისათვის დაზარალებულ ჯ. გ-იანის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **სამოქალაქო სამართალწარმოება**

#### **განჩინება**

#1144-აპ

30 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. ქ-ძის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 20 ივნისის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 19 აპრილის განაჩენით რ. ქ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ», „გ», „ზ», „თ» ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ»,

„გ» ქვეპუნქტებით, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 127-ე მუხლით, სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, საბოლოოდ განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, მკაცრი რეჟიმის სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით; მასვე დაეკისრა დაზარალებულების მ. დ-ძის სასარგებლოდ 5 535 ლარის, ე. ნ-ოვას სასარგებლოდ -260 ლარის გადახდა; ლ. და მ. ც-ძეების მიმართ სამოქალაქო სარჩელის მოთხოვნის ნაწილში შეწყდა წარმოება მათ მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო.

სასამართლომ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2004 წლის 13 თებერვალს, დაახლოებით 10 საათზე, დაბა ... ტერიტორიაზე რ. ქ-ძემ სხვა ორ პირთან ერთად, დაუდგენელი ნომრის „კალაშნიკოვის» სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით, ზ. ც-ძის კუთვნილი ავტომანქანის, რომელსაც მართავდა ლ. ც-ძე, დაუფლების მიზნით თავისუფლება აღუკვეთა ლ. ც-ძეს და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით აიძულა, გაეჩერებინა მანქანა დაბა ... ტერიტორიაზე, ჩაის პლანტაციებს შორის გამავალ გზაზე, რის შემდეგ ლ. ც-ძის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით დაეუფლა მის კუთვნილ, 150 ლარად ღირებულ, „სიმენს-45» მოდელის მობილურ ტელეფონსა და ფულს -4 ლარს. 19 საათამდე, ცეცხლსასროლი იარაღის მუქარის ქვეშ, იძულებით, მისი ნების საწინააღმდეგოდ ამყოფა დაზარალებული ზემოაღნიშნული ავტომანქანის სალონში, ხოლო 19 საათის შემდეგ იმავე ტერიტორიაზე, სხვა პირთან ერთად, შეუკრა ხელ-ფეხი და მიაბა ხეზე, რამაც გულით დაავადებული ლ. ც-ძე, რომელსაც არ ჰქონდა შესაძლებლობა, თავის დასაცავად მიეღო ზომები, ჩააყენა სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობაში. ამის შემდეგ თანამზრახველებთან ერთად მისი საკუთრა ლ. ც-ძის კუთვნილი ავტომანქანა და გადაიყვანა ოზურგეთის რაიონის დაბა ლაითურში.

რ. ქ-ძემ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა „კალაშნიკოვის» სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი დაუდგენელი რაოდენობის საბრძოლო ვაზნებთან ერთად, რომლებსაც მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა.

2004 წლის 19 მარტს, დაახლოებით 19 საათზე, დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი „კალაშნიკოვის» სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულმა რ. ქ-ძემ, დაუდგენელ ორ პირთან ერთად, სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, ღია კარით უკანონოდ შეაღწია მ. დ-ძის ბინაში, მდებარე ქ. ბათუმში, სადაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით თავს დაესხა ბინაში მყოფ მ. დ-ძესა და მის სტუმარს -ე. ნ-ოვას. დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, ზოროტმოქმედებმა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ძალადობის მუქარით მ. დ-ძესა და ე. ნ-ოვას შეუკრეს ხელ-ფეხი, ჩაკეტეს სააბაზანოში და აღუკვეთეს თავისუფლება, რის შემდეგ მისაკუთრეს მათი კუთვნილი ნივთები, რითიც მ. დ-ძეს სულ მიაყენეს 5 535 ლარის, ხოლო ე. ნ-ოვას -260 ლარის ოდენობის ზიანი.

რ. ქ-ძემ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა 6,2 გრამი ნარკოტიკული საშუალება, გამშრალი „მარიხუანა», რომელსაც უკანონოდ ინახავდა შარვლის უკანა, მარცხენა ჯიბეში და რომელიც ამოიღეს 2004 წლის 8 აგვისტოს რ. ქ-ძის პირადი ჩხრევის დროს პოლიციელებმა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა, რომელმაც ითხოვა განაჩენის გაუქმება და გამართლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 20 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ამასთან, განაჩენიდან ამოირიცხა მითითება სასჯელის მოხდის რეჟიმსა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე; განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი -მსჯავრდებული რ. ქ-ძე თავის საჩივრებში აღნიშნავს, რომ უდანაშაულოა, საქმე გამოძიებულია ცალმხრივად და ტენდენციურად, ხოლო დანიშნული სასჯელი არ შეესაბამება მსჯავრდებულის ხასიათსა და პიროვნებას და მეტისმეტად მკაცრია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და საქმის შეწყვეტას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალებით უტყუარადაა დადასტურებული და ეჭვს არ იწვევს, რომ რ. ქ-ძემ ჩაიდინა სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ», „გ», „ზ», „თ» ქვეპუნქტებით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ», „გ» ქვეპუნქტებით, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 127-ე მუხლით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებული ქმედებები, კერძოდ:

დაზარალებულმა მ. დ-ძემ სასამართლო სხდომაზე დამაჯერებლად ამხილა რ. ქ-ძე და კატეგორიულად განაცხადა, რომ ერთ-ერთი ზოროტმოქმედი იყო რ. ქ-ძე. თავდამსხმელებმა მ. დ-ძეს და ბინაში მყოფ ე. ნ-ოვას შეუკრეს ხელები და ჩაკეტეს სააბაზანოში.

მ. დ-ძემ საქმის წინასწარი გამოძიების ეტაპზე, დამსწრეთა მონაწილეობი ამოიციო რ. ქ-ძე და კატეგორიულად განმარტა, რომ სწორედ იგი იყო ერთ-ერთი თავდამსხმელი.

ყაჩაღურ თავდასხმაში რ. ქ-ძე ამხილა დაზარალებულმა ე. ნ-ოვამაც.

დაზარალებულ ლ. ც-ძის ჩვენებით ირკვევა, რომ ყაჩაღურად თავს დაესხა სამი პირი, მათ შორის -რ. ქ-ძე. წებოვანი ლენტით აუკრეს პირი და მიაბეს ხეზე. როდესაც თავი გაითავისუფლა, ღამე იყო და გზა ვერ გაიგნო. აწუხებს გულის ავადმყოფობა და მომხდარის გამო შოკში ჩავარდა, დაჰკარგა გონი და დილამდე უგონოდ იყო.

დაზარალებულმა საქმის წინასწარი გამოძიებისას დამსწრეთა მონაწილეობით ამოიგნო რ. ქ-ძე.

დადგენილია, რომ დამსწრეთა მონაწილეობით ჩატარებული პირადი ჩხრევისას რ. ქ-ძეს აღმოაჩნდა 6,2 გრამი ნარკოტიკული საშუალება «მარიხუანა».

ამასთან, მოცემულ შემთხვევაში ვერ იქნა ამოღებული ავტომატური იარაღი, რომელზეც მიუთითებენ დანაშაულის თვითმხილველები, შესაბამისად, არ გარკვეულა მისი ვარგისიანობის საკითხი და არც ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების კვალი იკვეთება. ამდენად, გასაჩივრებული განაჩენი რ. ქ-ძის სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით მსჯავრდების ნაწილში დაუსაბუთებელია, რადგან არ არსებობს არც ერთი უტყუარი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მსჯავრდებულის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვასა და ტარებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უნდა გაუქმდეს რ. ქ-ძის სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით მსჯავრდების ნაწილში და ბრალდების ამ ეპიზოდში მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

გარდა ამისა, მსჯავრდებულს საპროცესო კანონის მოთხოვნათა დარღვევით დაეკისრა დაზარალებულების სასარგებლოდ თანხის გადახდა, რადგან რ. ქ-ძე სამოქალაქო მოპასუხედ ცნობილი არ ყოფილა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 35-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, თუ გამომძიებელი, პროკურორი ან სასამართლო მიიჩნევს, რომ წარდგენილ სარჩელს აქვს საკმარისი საფუძველი, გამოაქვს გადაწყვეტილება პირის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ, რის შემდეგაც, ამავე კოდექსის 36-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამოქალაქო მოპასუხედ ცნობს ბრალდებულს. ამდენად, პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა მსჯავრდებულს ისე დააკისრეს დაზარალებულების სასარგებლოდ თანხის გადახდა, რომ საქმეზე ფაქტობრივად არ დაწყებულია სამოქალაქო სამართალწარმოება.

იმის გამო, რომ საქმეზე სამოქალაქო სამართალწარმოება ფაქტობრივად არ დაწყებულა, პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, სსკ-ის 561-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საქმე სამოქალაქო სარჩელების ნაწილში ხელახლა განსახილველად გადასცეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული გარემოება არ უკარგავს უფლებას დაზარალებულებს, წარადგინონ სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

ვინაიდან ადრე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების შესაბამისად, ნაწილობრივ შეიკრიბა მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელები, რამაც შთანთქა ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელები, რ. ქ-ძისათვის დანიშნული საბოლოო სასჯელი უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან სამართლიანია, შეესაბამება მის პიროვნებასა და ჩადენილი ქმედებების სიმძიმეს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია და უნდა დარჩეს უცვლელად.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 568-ე მუხლით და

## და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ რ. ქ-ძის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 20 ივნისის განაჩენიდან ამოირიგნოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ნაწილში რ. ქ-ძის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდეს მსჯავრდებულ რ. ქ-ძისათვის დაზარალებულების -მ. დ-ძისა და ე. ნ-ოვას სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის, მსჯავრდებულისათვის საბოლოო სასჯელის დანიშვნის ნაწილში, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სამოქალაქო სამართალწარმოება

### განჩინება

#569-აპ

1 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**  
**ლ. მურუსიძე,**  
**დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. ძ-იას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 თებერვლის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 11 დეკემბრის განაჩენით:

დამტკიცდა 2007 წლის 11 დეკემბრის წერილობით გაფორმებული საპროცესო შეთანხმება პროკურორ დ. თ-უასა და რ. ჭ-იას შორის, კერძოდ -სასჯელზე.

რ. ჭ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 25-ე, 182-ე მუხლის მეორე ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, 341-ე მუხლით -1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 50-ე მუხლის გამოყენებით მას განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალი პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით;

დამტკიცდა 2007 წლის 11 დეკემბრის წერილობით გაფორმებული საპროცესო შეთანხმება პროკურორ დ. თ-უასა და ლ. ხ-ავას შორის, კერძოდ -სასჯელზე.

ლ. ხ-ავა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 25-ე, 182-ე მუხლის მეორე ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით -7 წლით თავისუფლების აღკვეთა, 341-ე მუხლით -1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 50-ე მუხლის გამოყენებით მას განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალი პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით.

ნ. ძ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 362-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის თანახმად, გაუნახვერდა და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. ნ. ძ-იას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 7 დეკემბრიდან.

ნ. ძ-იას დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა -4000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მასვე აეკრძალა თანამდებობის დაკავებისა და საქმიანობის უფლება 2 წლის ვადით.

სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა. სამოქალაქო მოპასუხე ნ. ძ-იას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 51492 ლარის გადახდა.

განაჩენის მიხედვით, ნ. ძ-იას მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ნ. ძ-იამ 2005 წლის 22 აგვისტოს დააფუძნა შპს „ვეტერინარი“, რომელიც ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ გაატარა სამეწარმეო რეესტრში და რომლის იურიდიულ მისამართად მიეთითა ქალაქი ზუგდიდი, ... ქუჩის #5, ხოლო დირექტორად -ნ. ძ-ია. 2006 წლის 19 აპრილს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების -სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის მიერ გამოცხადებული ტენდერის შედეგებით, ზუგდიდის რაიონში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ვეტერინარი“. ამავე სამინისტროსა და შპს «ვეტერინარს» შორის 2006 წლის 19 მაისს დაიდო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც 2006 წლის 20 და 21 მაისს შპს „ვეტერინარსა« და 21 ვეტფერშალს შორის გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები. ვეტფერშალს დაევალით, სოფლების მიხედვით, ჩატარებინათ ჯილეხის, ცოფისა და თურქულის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია და შეედგინათ შესაბამისი აქტები აცრილი პირუტყვის რაოდენობის მითითებითა და მათი მეპატრონეების ხელმოწერით. ამავე ხელშეკრულებით განისაზღვრა თითო იმუნიზაციის ღირებულება.

შპს „ვეტერინარის« დირექტორმა ნ. ძ-იამ, მართლსაწინააღმდეგო მითვისების მიზნით, 2006 წლის მაისის, ივნისის, ივლისის, ოქტომბრისა და ნოემბრის სხვადასხვა რიცხვებში შეადგინა რა ზუგდიდის რაიონის სხვადასხვა სოფელში აცრილ ცხოველთა რაოდენობისა და ვეტფერშალის მიხედვით, ცხოველთა ვაქცინაციის ამსახველი ყალბი აქტები, ზედმეტად დააფიქსირა აცრილ ცხოველთა

რაოდენობისა და ვეტფერშლების მიხედვით, ცხოველთა ვაქცინაციის ამსახველი ყალბი აქტები, ზედმეტად დააფიქსირა, აგრეთვე, აცრილ ცხოველთა რაოდენობაც, რომლის შესაბამისი თანხა უჩვენა ვეტფერშლების სახელფასო უწყისში, რის შემდეგაც ვეტფერშლებზე ხელფასი გასცა მათ მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მოცულობის მიხედვით, ხოლო ზედმეტად გაწერილი ხელფასის თანხა თვითონ მიითვისა. მთლიანად სახელფასო უწყისებში ვეტფერშლებზე გაცემულად ნაჩვენებ ხელფასში ნ. დ-ის მიერ ზედმეტად გაწერილმა და მითვისებულმა თანხის ოდენობამ შეადგინა 7 424,39 ლარი.

აღნიშნული ყალბი აქტები, თანდართულ სიებთან ერთად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების -სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის რაიონული სამმართველოს უფროსის -რ. ჭ-ისა და ზუგდიდის რაიონის სახელმწიფო ვეტერინარული ინსპექციის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის -ლ. ხ-ავას მიერ ხელმოწერისა და სათანადოდ დამოწმების შემდეგ, ნ. დ-იამ წარადგინა ამავე სამინისტროს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურში და ამ გზით, ერთიანი განზრახვით გამოიყენა რა აღნიშნული ყალბი დოკუმენტები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები ჩაითვალა შესრულებულად. ასევე წარადგინა შიდა მიღება-ჩაბარების აქტი, რის საფუძველზეც პერიოდულად, სულ შპს „ვეტერინარს» ჩაერიცხა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა -44815,44 ლარი, ანუ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოზე 15574,8 ლარით მეტი. მთლიანად ნ. დ-იამ მიითვისა ცხოველთა ვაქცინაციის თანხა -15574,8 ლარი და სხვადასხვა სახეობის -605605 დოზა ვაქცინა, ღირებულებით -35919,2 ლარი. სახელმწიფოსათვის მიყენებულმა ზიანმა სულ შეადგინა 51492 ლარი.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 თებერვლის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ნ. დ-ია საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებასა და სამოქალაქო სარჩელის ნაწილში ცვლილების შეტანას იმ მოტივით, რომ სამოქალაქო სარჩელით გათვალისწინებული თანხის დაკისრება უნდა მომხდარიყო სოლიდარულად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებებით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებითა და დანართებით, ამოღების შესახებ შუამდგომლობით, ბრძანებითა და ამოღების ოქმით, ჩატარებული აკრების აქტებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით ნ. დ-ის მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია, რასაც სადავოდ არც საკასაციო საჩივარი ხდის.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სასამართლომ გაითვალისწინა მსჯავრდებულ ნ. დ-ის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები და დაუნიშნა მისი ქმედებისა და პიროვნების შესაბამისი სამართლიანი სასჯელი.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის მასალების მიხედვით, მსჯავრდებულ ნ. დ-ის საქმის სამართალწარმოებისას, წინასწარ გამოძიებაში სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობილია სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორის მოადგილე ნ. მ-შვილი, ხოლო სამოქალაქო მოპასუხეებად -ნ. დ-ია, ლ. ხ-ავა, რ. ჭ-ია.

სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორის მოადგილე ნ. მ-შვილი სასარჩელო განცხადებით ითხოვდა, რომ ნ. დ-ის ლ. ხ-ავასთან ერთად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით სოლიდარულად დაკისრებოდა 18 865,86 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ხოლო რ. ჭ-ისთან ერთად -32 628,14 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

I-ლი ინსტანციის სასამართლომ განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და მსჯავრდებულებს -ლ. ხ-ავასა და რ. ჭ-ის შორის. განაჩენში მიეთითა, რომ ლ. ხ-ავამ და რ. ჭ-იამ აანაზღაურეს სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანი. საქმეში წარმოდგენილი ქვითრებით ფ. კ-იამ «პროკრედიტ ბანკის» ქუთაისის ფილიალის ზუგდიდის განყოფილებაში 2007 წლის 1 დეკემბერს გადაიხდა 20000 ლარი, ხოლო დალი არონიამ 2007 წლის 30 ნოემბერს -20000 ლარი რ. ჭ-ის სასარგებლოდ მხოლოდ მსჯავრდებულ ნ. დ-ის კი ამავე განაჩენით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 51492 ლარის გადახდა, რაც არ არის დასაბუთებული.

I-ლი ინსტანციის სასამართლომ მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი სამოქალაქო სარჩელის ნაწილშიც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ნ. დ-იამ და მისმა ინტერესების დამცელმა ადვოკატმა. განაჩენი თანხის დაკისრების ნაწილში ასევე ყოველგვარი დასაბუთების გარეშე სააპელაციო სასამართლომ დატოვა უცვლელად.

პალატას მიაჩნია, რომ, მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 თებერვლის განაჩენი მსჯავრდებულ ნ. დ-ისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეცეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მეოთხე ნაწილით, 568-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 თებერვლის განაჩენი მსჯავრდებულ ნ. ძ-იასათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეცეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს.

სხვა ნაწილში განაჩენი დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**4. ბრალდებულის უფლებები**

**დაზარალებულთან შერიგების ფაქტის დადგენა**

**განჩინება**

#296-აპ

20 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- ზ. მეიშვილი,**
- ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. შ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 27 დეკემბრის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 ნოემბრის განაჩენით გ. შ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 124-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, რომელიც დაკავშირებულია ჯანმრთელობის ხანგრძლივ მოშლასთან; ასევე, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით; ასევე, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება, რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 21 ივლისს, დაახლოებით 18 საათზე, გ. შ-შვილი, მისი ნაცნობი -ნ. ხ-იანი და სიმამრი -გ. მ-შვილი, ამ უკანასკნელის ავტომანქანით მივიდნენ ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. #50-თან, სადაც შეხვდნენ გ. თ-შვილსა და გ. ს-შვილს, რის შემდეგაც ერთად გადაინაცვლეს „სამთო ინსტიტუტის« ტერიტორიაზე არსებულ ფეხბურთის სტადიონზე, სადაც დაიწყეს გარკვევა გ. ს-შვილს, გ. თ-შვილსა და გ. მ-შვილს შორის არსებული უთანხმოების შესახებ. რამდენიმე წუთში საუბარი გადაიზარდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაში, რა დროსაც გ. შ-შვილმა შარვლის ქამრიდან ამოიღო მასზე შენახვის უფლებით რეგისტრირებული, კუთვნილი „M-213« სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც იგი უკანონოდ ატარებდა და დამიზნებით, მარცხენა ტერფის არეში ესროლა გ. ს-შვილს, რითიც მიაყენა ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლით. გასროლისთანავე ჩხუბში მონაწილე გ. მ-შვილი შეეცადა გ. შ-შვილისათვის იარაღის წართმევას, რა დროსაც გ. შ-შვილის გაუფრთხილებელი მოძრაობის გამო ცეცხლსასროლი იარაღიდან გავარდა მეორე ტყვია, რომელიც მოხვდა გ. თ-შვილს. მან მიიღო მუცლის ღრუში შემავალი ჭრილობა შინაგანი ორგანოების დაზიანებით, რომელიც მიეკუთვნება სიცოცხლისათვის საბიფათო დაზიანება მძიმე ხარისხს. გ. შ-შვილი აღნიშნულის შემდეგ შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

აღნიშნული ქმედებისათვის მსჯავრდებულს საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიესაჯა 1 წლითა და 3 თვით, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით -3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა 2500 ლარის ოდენობით, ხოლო 124-ე მუხლის

მე-2 ნაწილით -ჯარიმა 2500 ლარის ოდენობით; საბოლოოდ გ. შ-შვილს განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5 ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. ბ-მემ. მან ითხოვა გ. შ-შვილის მიმართ სს საქმის შეწყვეტა საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 124-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში სსკ-ის 69-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით კი -სასჯელის მინიმუმის განსაზღვრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლის სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 27 დეკემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 ნოემბრის განაჩენი შეიცვალა: „ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გ. შ-შვილი გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან; განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად და საბოლოოდ გ. შ-შვილს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 9 თვის ვადით და ჯარიმა 5 ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

კასატორი -ადვოკატი მ. ბ-მე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ გ. შ-შვილისათვის დანიშნული სასჯელი ძალიან მკაცრია, რადგან იგი აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს; თანამშრომლობდა წინასწარ გამოძიებასთან; პირველადაა სამართალში; კმაყოფაზე ჰყავს მიმედ ავადმყოფი მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი; შეურიგდა დაზარალებულებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი მ. ბ-მე ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, გ. შ-შვილისათვის სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელის შემსუბუქებასა და ჯარიმის თანხის შემცირებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატის განაჩენით გ. შ-შვილი, გარდა სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილისა, ცნობილია დამნაშავედ სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 124-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენაში.

საქმეშია განცხადების ასლი, რომელიც აპელანტმა დაურთო თავის საჩივარს. ამ განცხადებაში დაზარალებულები მიუთითებენ, რომ შეურიგდნენ გ. შ-შვილს. გასაჩივრებულ განაჩენში აღნიშნულია, რომ დაზარალებულები განცხადებით ითხოვენ მსჯავრდებულის მიმართ მხოლოდ ჰუმანური სასჯელის დანიშვნას. სწორედ ამ მოტივით სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოთხოვნა დაზარალებულებთან შერიგების გამო მსჯავრდებულის მიმართ სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 124-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებებში საქმის შეწყვეტის შესახებ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 69-ე მუხლის შესაბამისად, არსებითი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ დაზარალებულთან შერიგების ფაქტის დადგენას და თუკი ამგვარი დადგინდა, პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს, სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «თ» ქვეპუნქტის შესაბამისად.

ამის მიუხედავად, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება, რადგან მოცემულ შემთხვევაში უტყუარად არ დგინდება, რომ განცხადების ავტორები სწორედ დაზარალებულები არიან. ეს უკანასკნელები სასამართლოში არ დაკითხულან და განცხადების ასლიც არ არის სათანადოდ დამოწმებული.

ამდენად, უტყუარად არ დადგინდა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოება, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც უნდა გაარკვიოს, საქმეში არსებული განცხადების ავტორები ნამდვილად დაზარალებულები არიან თუ არა და, შესაბამისად, შეურიგდნენ თუ არა ისინი მსჯავრდებულს. მხოლოდ ამის შემდეგ საქმის ხელახლა განხილველმა სასამართლომ უნდა მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა არ მსჯელობს კასატორის მოტივებზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 570-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 568-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 27 დეკემბრის განაჩენი გ. შ-შვილის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



## ბრალდებულის უფლება მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში

### განჩინება

#655-აპ

23 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),  
ზ. მეიშვილი,  
ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. წ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 თებერვლის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 ივლისის განაჩენით თ. წ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (2006 წლის 18 ნოემბერს ჩადენილი ქმედებისათვის), სსკ-ის 273-ე მუხლით (2007 წლის 19 მარტს ჩადენილი ქმედებისათვის) იმაში, რომ ჩაიდინა პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 28 სექტემბერს თ. წ-ძე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დააჯარიმა 500 ლარით ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებისათვის. მიუხედავად ამისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა ანალოგიური ქმედება, კერძოდ, 2006 წლის 18 ნოემბერს თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, საგზაო წესების დარღვევისათვის გააჩერეს ავტომანქანა „ბმზ“, რომელსაც მართავდა მოქ. თ. წ-ძე, რომელიც, სავარაუდოდ, იმყოფებოდა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ. იგი დააკავეს ადმინისტრაციული წესით და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა გადაიყვანეს შსს საქეპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც გამოკვლევის #339 დასკვნით დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი.

2007 წლის 19 მარტს თ. წ-ძემ კვლავ ჩაიდინა პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ. კერძოდ, 2007 წლის 19 მარტს თ. წ-ძე ადმინისტრაციული წესით დააკავეს გლდან-ნაძალადევის შს სამმართველოს მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა, რომელსაც შს სამინისტროს საქეპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში ჩაუტარდა გამოკვლევა, სადაც #2019 დასკვნით დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი.

აღნიშნული ქმედებისათვის თ. წ-ძეს დანაშაულთა ერთობლიობით მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -2 წელი, 5 თვე, 29 დღე და საბოლოოდ განესაზღვრა 3 წლით, M5 თვითა და 29 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო დაკავების დღიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა თ. წ-ძემ და ითხოვა სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 თებერვლის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 15 დეკემბრიდან.

კასატორი -მსჯავრდებული თ. წ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სრულად ცნობს თავს დამნაშავედ და ინანიებს ჩადენილს; არის ოჯახის მარჩენალი და ითხოვს, საქმის ფაქტობრივი გარემოებების სწორად დადგენას და სასამართლოს ქმედებების სამართლებრივ შეფასებას, რადგან სააპელაციო სასამართლომ განაჩენი გამოიტანა მის დაუსწრებლად.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც ირკვევა, პირველი ინსტანციის სასამართლომ განაჩენი განსასჯელის დაუსწრებლად გამოიტანა, ხოლო სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 529-ე მუხლის მე-6 ნაწილი არ გულისხმობს ზეპირი მოსმენის გარეშე იმ განსასჯელის სააპელაციო საჩივრის განხილვას, რომლის დაუსწრებლადც გამოიტანა განაჩენი.

სსკ-ის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეში დამცველის მონაწილეობა არ ართმევს დასაცავ პირს მის კუთვნილ უფლებებს.

სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპის – შეჯიბრებითობის საფუძველზე მხარეებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღონ მათ გამოკვლევაში, განაცხადონ შუამდგომლობა და აცილება, გამოთქვან საკუთარი აზრი სისხლის სამართლის საქმის ნებისმიერ საკითხზე.

აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია სსკ-ის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილშიც, რომლის მიხედვით ბრალდებულს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საქმის სასამართლო განხილვაში და ისარგებლოს მხარის ყველა უფლებით. აღნიშნული ნორმით გარანტირებულია განსასჯელის ან მსჯავრდებულის უფლება, მონაწილეობა მიიღოს პირველი ან სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, სსკ-ის 533-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, თუკი პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოტანილია განსასჯელის დაუსწრებლად, სააპელაციო სასამართლო მტკიცებულებებს იკვლევს სრული მოცულობით, მხარეთა მონაწილეობით, მიუხედავად იმისა, ეს მტკიცებულებები გამოკვლეული იყო თუ არა პირველი ინსტანციის სასამართლოში. ცხადია, კანონის აღნიშნული მოთხოვნა გულისხმობს საქმის ზეპირი მოსმენით განხილვას.

მოცემულ შემთხვევაში თ. წ-ძის დაუსწრებლად ორივე ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვამ ისიც გამოიწვია, რომ სასამართლოში არ დაკითხულა თ. წ-ძე და არ გარკვეულა მისი პოზიცია, რაც დაუშვებელია. ეს უკანასკნელი საკასაციო საჩივრით ითხოვს საქმის ფაქტობრივი გარემოებების სწორად დადგენას, ხოლო მისი დამცველი პირველი ინსტანციის სასამართლოში ითხოვდა სასჯელის შემსუბუქებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მსჯავრდებულის დასწრება სავალდებულო იყო და არსებობს სსკ-ის 563-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ი» ქვეპუნქტით გათვალისწინებული, განაჩენის გაუქმების უპირობო საფუძველი.

საქმის ახალი სასამართლო განხილვისას თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხვა შემადგენლობამ უნდა გაითვალისწინოს განჩინებაში აღნიშნული გარემოებები და მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 570-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 568-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 თებერვლის განაჩენი თ. წ-ძის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **ბრალდებულის უფლება, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში**

#### **განჩინება**

#651-აპ

24 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ფ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ შ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მარტის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 იანვრის განაჩენით დ. ფ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 388-ე მუხლის მე-4 ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა გაწვეული სამხედრო მოსამსახურის მიერ სამსახურში საპატიო მიზეზის გარეშე

დროულად გამოუცხადებლობა, ჩადენილი ერთ თვეზე მეტი ვადის ხანგრძლივობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 24 მაისს დ. ფ-მე წყალტუბოს რაიონის სამხედრო განყოფილებამ გაიწვია საქართველოს შეიარაღებულ ძალებში საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სამსახურის გასავლელად. გამწვევი კომისიის გადაწყვეტილებით იგი ცნეს ვარგისად სამხედრო სამსახურისათვის. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს #04116 სამხედრო ნაწილის მეთაურის 2005 წლის 25 მაისის #145 ბრძანებით დ. ფ-მე ჩაირიცხა იმავე სამხედრო ნაწილში და მიენიჭა სამხედრო წოდება „რიგითი“.

2006 წლის 15 მარტს დ. ფ-მემ თვითნებურად დატოვა სამხედრო ნაწილის ტერიტორია და აღარ დაბრუნებულა ერთ თვეზე მეტი ვადის ხანგრძლივობით.

აღნიშნული ქმედებისათვის დ. ფ-მეს მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დ. ფ-მეს დაწინაურებული სასჯელი გაუნახვერდა და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა შ. ბ-შვილმა. მან მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და დ. ფ-მის გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მარტის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად. დ. ფ-მეს სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 20 იანვრიდან.

კასატორი -ადვოკატი შ. ბ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი დ. ფ-მის მიმართ უკანონო და დაუსაბუთებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არ არის აღნიშნული, რომ დ. ფ-მეს სამხედრო სამსახურის დროს მოსტყდა ფეხი და ერთი თვის განმავლობაში იწვა თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში, თუმცა მდგომარეობა გაურთულდა -განუ-ვითარდა ინფექცია; გარდა ამისა, იმ პერიოდში მას გარდაეცვალა ახალგაზრდა, 24 წლის ბიძაშვილი, რამაც იგი ჩააგდო სტრესულ მდგომარეობაში; დ. ფ-მე დაუსწრებლად მისცეს პასუხისმგებლობა ბრალ-დებულის სახით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მის დაუსწრებლად გამოიტანა განაჩენი, ხოლო სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე და უცვლელად დატოვა საქალაქო სასამართლოს განაჩენი, რითიც შეიზღუდა მსჯავრდებულის უფლებები; მას ამ საქმეზე ჩვენება არ მიუცია, მეტიც, მას არ ჩაჰპარებია საბრალდებო დასკვნისა და განაჩენის ასლები; გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა დ. ფ-მის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, კერძოდ ის, რომ პირველად და სამართალში, ხასიათდება დადებითად, კმაყოფაზე ჰყავს ორი თვის ორსული მეუღლე და მისი წარსული არაფრითაა შეზღავდებული.

ამრიგად, კასატორის აზრით, თანახმად საქართველოს სსსკ-ის 563-ე მუხლისა, დ. ფ-მეს შეუზღუდეს უფლება, დასწრებოდა თავისი ბრალდების საქმის განხილვას, მიეცა ჩვენება და დაეფიქსირებინა საბოლოო სიტყვა, ასევე არ მიეცა საქმის მასალების გაცნობის უფლება; სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო, საქმეზე ჩაეტარებინა ობიექტური და სრულყოფილი გამოძიება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატი შ. ბ-შვილი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 14 მარტის განაჩენის გაუქმებას და საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის დაბრუნებას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოტივს, რომ სააპელაციო სასამართლოს საქმეში არსებული მასალები უნდა გამოეკვლია სრული მოცულობით, მხარეთა მონაწილეობით, კერძოდ:

პალატა განმარტავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 529-ე მუხლის მე-6 ნაწილი არ გულისხმობს ზეპირი მოსმენის გარეშე იმ განსასჯელის სააპელაციო საჩივრის განხილვას, რომლის დაუსწრებლადც გამოტანილია განაჩენი. მართალია, პირველი ინსტანციის სასამართლოში განსასჯელის ინტერესებს იცავდა ადვოკატი, მაგრამ სსსკ-ის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ეს გარემოება არ ართმევს დასაცავ პირს მის კუთვნილ უფლებებს.

სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპის -შეჯიბრებითობის საფუძველზე მხარეებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღონ მათ გა-მოკვლევაში, განაცხადონ შუამდგომლობა და აცილება, გამოთქვან საკუთარი აზრი სისხლის სამართლის საქმის ნებისმიერ საკითხზე.

აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია სსსკ-ის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილშიც, რომლის მიხედვით ბრალდებულს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საქმის სასამართლო განხილვაში და ისარგებლოს მხარის ყველა უფლებით. აღნიშნული ნორმით გარანტირებულია განსასჯელის ან მსჯავრდებულის უფლება, მონაწილეობა მიიღოს პირველი ან სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილ-ვისას. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, სსსკ-ის 533-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, თუკი პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოტანილია განსასჯელის დაუსწრებლად, სააპელაციო სასამართლო მტკიცებულებებს იკვლევს სრული მოცულობით, მხარეთა მონაწილეობით, მიუხედავად

იმისა, ეს მტკიცებულებები გამოკვლეული იყო თუ არა პირველი ინსტანციის სასამართლოში. ცხადია, კანონის აღნიშნული მოთხოვნა გულისხმობს საქმის ზეპირი მოსმენით განხილვას.

მოცემულ შემთხვევაში დ. ფ-მის დაუსწრებლად ორივე ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვამ ისიც გამოიწვია, რომ სასამართლოში არ დაკითხულა დ. ფ-მე და არ გარკვეულა მისი პოზიცია, რაც დაუშვებელია, მით უფრო, რომ აპელანტი ითხოვდა გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მსჯავრდებულის დასწრება სავალდებულო იყო და არსებობს სსსკ-ის 563-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ი» ქვეპუნქტით გათვალისწინებული, განაჩენის გაუქმების უპირობო საფუძველი.

საქმის ახალი სასამართლო განხილვისას თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხვა შემადგენლობამ უნდა გაითვალისწინოს განჩინებაში აღნიშნული გარემოებები და მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 570-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 568-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ დ. ფ-მის ინტერესების დამცველის, ადვოკატ შ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მარტის განაჩენი დ. ფ-მის მიმართ გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **5. დაცვის უფლება**

### **განჩინება**

#1948-აპ

4 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა დაზარალებულის უფლებამონაცვლის -გ. ბ-მის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 აგვისტოს განაჩენზე მსჯავრდებულ ნ. გ-მის მიმართ.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. გ-მე ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 6 ივნისის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით. მასვე იმავე განაჩენით ჩამოერთვა ავტომანქანის მართვის უფლება 3 წლის ვადით. ამასთან, ნ. გ-მეს დაზარალებულის უფლებამონაცვლის -გ. ბ-მის სასარგებლოდ დაეკისრა 12 000 ლარის გადახდა.

განაჩენის მიხედვით, ნ. გ-მეს მსჯავრი დაედო ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესების დარღვევისათვის, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

ნ. გ-მე 2003 წლის 3 თებერვალს, დაახლოებით 16.30 საათზე, მართავდა რა თავისი ბიძაშვილის -რ. გ-მის «ბმვ-520» მარკის ავტომობილს, 100 კმ\სთ სიჩქარით მოძრაობდა ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზაზე დაბა ხელვაჩაურიდან დაბა ქედის მიმართულებით. მან ვერ უზრუნველყო უსაფრთხო მოძრაობა, დაარღვია «საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ» საქართველოს კანონის 29,1 მუხლის მოთხოვნები და გზის სამომრავო ნაწილის მარჯვენა მხარეს დაეჯახა ტროტუარზე ქვეითად მოსიარულე მცირეწლოვან რ. ბ-მეს, რომელიც ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიღებული ჯანმრთელობის დაზიანებით შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა მ. მ-მემ და დაზარალებულის უფლებამონაცვლემ -გ. ბ-მემ.

აპელანტი, სახელმწიფო ბრალმდებელი, ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორი მ. მ-მე თავისი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას ლმობიერების მოტივით და მსჯავრდებულ ნ. გ-ძის მიმართ სასჯელის გამკაცრებას, კერძოდ, მისთვის დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმის შეფარდებას. აპელანტი, დაზარალებულის უფლებამონაცვლე გ. ბ-მე თავისი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 6 ივნისის განაჩენში, სასჯელის ნაწილში, ცვლილების შეტანას მსჯავრდებულის საუარესოდ, კერძოდ, ნ. გ-ძისათვის შეფარდებული სასჯელის გამკაცრებასა და მისთვის 7 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას იმ მოტივით, რომ სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას არ გაითვალისწინა ნ. გ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და საზოგადოებრივად საშიში ხასიათი.

მსჯავრდებული ნ. გ-მე თავისი შესაგებლით ითხოვდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 6 ივნისის განაჩენის უცვლელად დატოვებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 აგვისტოს განაჩენით ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ მ. მ-ძისა და დაზარალებულის უფლებამონაცვლის -გ. ბ-ძის საჩივრები არ დაკმაყოფილდა და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 6 ივნისის განაჩენი ნ. გ-ძის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე დაზარალებულის უფლებამონაცვლე გ. ბ-მემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორი თავისი საჩივრით ითხოვს სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულ ნ. გ-ძის ბრალდების საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნებას იმ მოტივით, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში საქმის განხილვისას უხეშად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 531-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი მოთხოვნა, რის გამოც ვერც მან და ვერც მისმა ადვოკატმა ვერ შეძლეს პროცესში მონაწილეობა და მისი, როგორც დაზარალებულის უფლებამონაცვლის, კანონიერი ინტერესების დაცვა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ნ. გ-ძის მიმართ და შეამოწმა დაზარალებულის უფლებამონაცვლე გ. ბ-ძის საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების შესწავლით ირკვევა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში ნ. გ-ძის ბრალდების საქმის განხილვა დანიშნული იყო 2007 წლის 13 აგვისტოსათვის, რის თაობაზეც მხარეებს გაეგზავნათ შეტყობინება. იმავე თარიღით დაზარალებულის უფლებამონაცვლე გ. ბ-ძის დამცველმა განცხადებით მიმართა საქმის განხილველ სასამართლოს, რომლითაც აცხადებდა, რომ ინფორმაცია სასამართლო სხდომის შესახებ მიიღო პროცესის დღეს, ხოლო მის მარწმუნებელს შეტყობინება არ ჩაჰზარებია, რის გამოც მას არ შეეძლო პროცესში მონაწილეობა და მისი მარწმუნებლის ინტერესების დაცვა. განმცხადებელი, აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ითხოვდა საქმის განხილვის გადადებას სხვა დროისათვის. სასამართლომ სხდომა არ გადადო და იგი ჩაატარა დაზარალებულის უფლებამონაცვლისა და მისი დამცველის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ ის იყო ერთ-ერთი აპელანტი. სასამართლოს ასეთი მოქმედებით უხეშად დაირღვა საქართველოს სსსკ-ის 531-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი მოთხოვნა, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი ვერ ჩაითვლება კანონიერად. ეს იმას ნიშნავს, რომ სახეზეა საქართველოს სსსკ-ის 562-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტითა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოება, რაც მოცემულ შემთხვევაში განაჩენის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 აგვისტოს განაჩენი უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მსჯავრდებულ ნ. გ-ძის მიმართ უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საქმის ხელახლა განხილვისას უზრუნველყოფილ უნდა იქნეს პროცესში მხარეთა მონაწილეობა საპროცესო კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, ასეთ პირობებში საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული, ობიექტური გამოკვლევა და ამ გზით მიღებულ უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენის დადგენა.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

დაზარალებულის უფლებამონაცვლე გ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 აგვისტოს განაჩენი ნ. გ-ძის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი განხილვისათვის გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დაცვის უფლება**

**განჩინება**

#2191-აბ

22 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ხ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. რ-იას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ოქტომბრის განაჩენზე მ. ხ-შვილისა და ვ. ბ-შვილის მიმართ.

**აღწერილობითი ნაწილი:**

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 22 აგვისტოს განაჩენით: მ. ხ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ბინაში უკანონო შეღწევით.

ამავე განაჩენით ვ. ბ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, არაერთგზის, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ბინაში უკანონო შეღწევით.

მ. ხ-შვილისა და ვ. ბ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ვ. ბ-შვილს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2000 წლის 27 სექტემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 91-ე მუხლის მე-3 ნაწილით (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) მიესაჯა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მიუხედავად ამისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და სასჯელის მოხდის შემდეგ კვლავ ჩაიდინა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, კერძოდ:

მ. ხ-შვილმა სხვისი ნივთის ფარულად მისაკუთრების მიზნით გადაწყვიტა, გაეჭურდა ქ. რუსთავში, ... ჩიხის მე-6ა კორპუსში მცხ. ჯ. ა-ევას საცხოვრებელი ბინა, რის გამოც იგი დანაშაულებრივად დაუკავშირდა ვ. ბ-შვილს და შესთავაზა აღნიშნული ბინის გაქურდება, რაზეც ეს უკანასკნელი დასთანხმდა.

მოლაპარაკებისამებრ, 2007 წლის მაისის დასაწყისში (ზუსტი რიცხვი დაუდგენელია) მ. ხ-შვილი და ვ. ბ-შვილი ჯგუფურად მივიდნენ ჯ. ა-ევას საცხოვრებელ ბინასთან, მ. ხ-შვილმა ბრტყელტუჩას გამოყენებით გააღო კარი, რის შემდეგაც მათ შეაღწიეს ბინაში, სადაც ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლნენ სხვადასხვა დასახელების ნივთებს, რითიც დაზარალებულს საერთო ჯამში მიაციენეს 1450 ლარის ოდენობის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

აღნიშნული ქმედებისათვის მ. ხ-შვილს განესაზღვრა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ვ. ბ-შვილს -5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2007 წლის 9 მაისიდან; მათვე დაზარალებულ ჯ. ა-ევას სასარგებლოდ დაეკისრათ 1280 ლარის ანაზღაურება.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულების ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - რ. მ-შვილმა და მ. რ-იამ.

ადვოკატმა რ. მ-შილმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა განაჩენში ცვლილების შეტანა და ვ. ბ-შილის ქმედების დაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით, ხოლო ადვოკატმა მ. რ-იამ მსჯავრდებულ მ. ხ-შილის მიმართ განაჩენის გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ოქტომბრის განაჩენით ადვოკატ მ. რ-იას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო ადვოკატ რ. მ-შილის საჩივარი დაკმაყოფილდა: ვ. ბ-შილის ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა», „ბ», „გ» ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 375-ე მუხლზე და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა; განაჩენი გაუქმდა სამოქალაქო სარჩელის ნაწილში და სარჩელი დარჩა განუხილველი.

კასატორი -მსჯავრდებულ მ. ხ-შილის ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. რ-ია საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა და უნდა გაუქმდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

წინასწარი გამოძიების დროს დაირღვა მ. ხ-შილის დაცვის უფლება, რადგან მას არ ჰყავდა ადვოკატი, ხოლო ვ. ბ-შილს ადვოკატი ჰყავდა და მათ ინტერესებს შორის იყო წინააღმდეგობა; საქართველოს სსსკ-ის 81-ე მუხლის მიხედვით კი ასეთ შემთხვევაში პროცესის მწარმოებელ ორგანოს იძულების წესით უნდა დაენიშნა დამცველი, რაც არ მომხდარა; სსსკ-ის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დაცვის უფლების დარღვევის შემდეგ გამოტანილი საპროცესო აქტი, მათ შორის - საბრალდებო დასკვნა -არის კანონის დარღვევით შედგენილი და უნდა გაუქმდეს; ასევე გასაუქმებელია განაჩენიც; მ. ხ-შილის დაცვის უფლება რომ დარღვეულია, დასტურდება თვით სააპელაციო სასამართლოს განაჩენით, რადგან სააპელაციო სასამართლომ მ. ხ-შილის სამოქალაქო მოპასუხედ ცნობის დადგენილება გააუქმა იმ საფუძველზე, რომ დარღვეული იყო მისი დაცვის უფლება; სსსკ-ის 563-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ» ქვეპუნქტის იმპერატიული მოთხოვნის მიხედვით, განაჩენი გასაუქმებელია ყველა შემთხვევაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი მ. რ-ია ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და მ. ხ-შილის განთავისუფლებას უკანონო პატიმრობიდან.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი დადგენილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით, როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოებში საქმის განხილვისას დაცვის უფლება არ დარღვეულა. ის გარემოება, რომ საქმის წინასწარი გამოძიებისას ერთ-ერთ ბრალდებულს არ ჰყავდა დამცველი, არ წარმოადგენს საქმეში არსებული ყველა საპროცესო აქტის, მათ შორის -საბრალდებო დასკვნის გაუქმების საფუძველს, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში საბრალდებო დასკვნა შედგენილია სსსკ-ის 409-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად და მასში მითითებული მტკიცებულებები მოპოვებულია საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით. როგორც ირკვევა, ადვოკატი საქმის წინასწარი გამოძიებისას ვ. ბ-შილის ინტერესებს იცავდა 2007 წლის 17 მაისიდან, რა დროსაც ვ. ბ-შილი და მ. ხ-შილი უკვე მიცემულნი იყვნენ პასუხისგებაში ბრალდებულის სახით და საქმეზე ჩატარებული იყო ის საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებსაც დაეყრდნო საბრალდებო დასკვნა და პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოები.

ამასთან საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსსკ-ის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილი, რომელსაც უთითებს კასატორი, გულისხმობს უკანონო და არა ყველა საპროცესო აქტის გაუქმებას.

გარდა ამისა, სასამართლო სხდომაზე დაიკითხა დაზარალებული და მოწმეები, თავად მ. ხ-შილმა სასამართლოში განმარტა, რომ სხვა პირთან ერთად შეაღწია ბინაში და მოიპარა იქ არსებული ნივთები.

საქართველოს სსსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით და აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი ვ. ბ-შილის მსჯავრდების ნაწილშიც.

ამასთან, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულ ვ. ბ-შილს უნდა გაუნახევრდეს საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლი დაღნიშნული სასჯელი -3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულ მ. ხ-შილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. რ-იას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ოქტომბრის განაჩენი შეიძვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: ვ. ბ-შვილს სსკ-ის 375-ე მუხლით და-ნიშნული სასჯელი -3 წლით თავისუფლების აღკვეთა გაუნახვერდეს და საბოლოოდ განესაზღვროს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## დაცვის უფლება

### განჩინება

#1938-აპ

8 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),  
დ. სულაქველიძე,  
ლ. მურუსიძე**

უპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ს-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატების - მ. ბ-ანისა და ა. ბ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 სექტემბრის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 23 მაისის განაჩენით გ. ს-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ« ქვეპუნქტით, 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა« ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა« და „დ« ქვეპუნქტებით, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა« ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტით, 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა თავისუფლების უკანონო აღკვეთა სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით; მანვე ჩაიდინა ძარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის; მანვე ჩაიდინა სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტის გატაცება; ასევე -ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, არაერთგზის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

გ. ს-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

გ. ს-ძემ მეუღლესთან -ჯ. კ-შვილთან ერთად განიზრახა საერთო მეგობრის -მ. ჯ-შვილის კუთვნილი ქონების აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. გ. ს-ძისათვის ცნობილი იყო, რომ 2006 წლის 15 სექტემბერს მ. ჯ-შვილი და ჯ. კ-შვილი უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. ეს უკანასკნელი თავისი კუთვნილი ავტომანქანა „ტოიოტა რავ-4-ით« მივიდა კოსტავას ქუჩაზე მდებარე კაფე „პარიზთან«, სადაც შეხვდა მ. ჯ-შვილს, რათა შეთანხმებისამებრ წასულიყვნენ რომელიმე კაფეში. მ. ჯ-შვილი ჩაჯდა ავტომანქანის წინა, მარჯვენა სავარძელში და გაემგზავრნენ პეკინის გამზირის მიმართულებით. კაფე „ნიკალას« მიმდებარე ტერიტორიაზე მოძრაობისას ჯ. კ-შვილს მობილურ ტელეფონზე დაუკავშირდა გ. ს-ძე და უთხრა, რომ მისულიყო ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე მაღაზია „ნიკთან«, სადაც თვითონ ელოდებოდა. სატელეფონო საუბრის შემდეგ ჯ. კ-შვილმა მიაკითხა აღნიშნულ ადგილზე გ. ს-ძეს, რომელიც ჩაჯდა მანქანის უკანა სავარძელში და ჯ. კ-შვილმა განაგრძო ავტომანქანით მოძრაობა. ვაჟა-ფშაველას გამზირზე, ბენზინგასამართ სადგურ „კანარგოსთან« მიახლოებისას მან გააჩერა მანქანა იმ მოტივით, რომ მას და გ. ს-ძეს სჭირდებოდათ ბანკომატთან მისვლა, ისინი გადმოვიდნენ ავტომანქანიდან და მივიდნენ იქვე მდებარე „პროკრედიტბანკის« ბანკომატთან. როდესაც დაბრუნდნენ, მ. ჯ-შვილმა, რომელსაც გ. ს-ძესთან წარსულში მომხდარი კონფლიქტის გამო აღარ სურდა მათთან ერთად მგზავრობის გაგრძელება და გადმოსული იყო ა/მანქანიდან, უთხრა ჯ. კ-შვილს, რომ წასულიყვნენ მის გარეშე, რადგან თვითონ სურდა სახლში წასვლა. ჯ. კ-შვილმა შესთავაზა, რომ წასულიყო მასთან ერთად, რადგან გ. ს-ძე უნდა დარჩენილიყო „დელისთან«, შემდეგ კი, შეთანხმებისამებრ, განაგრძობდნენ გზას და წავიდოდნენ რომელიმე კაფეში. მ. ჯ-შვილმა დაუჯერა მას და კვლავ ჩაჯდა ა/მანქანაში, ამჯერად -უკანა სავარძელზე. საჭესთან დაჯდომისას გ. ს-ძემ ავტომატური საკეტებით ჩაკეტა ავტომანქანის ოთხივე კარი და განაგრძო მოძრაობა ვაჟა-ფშაველას გამზირზე. მიუხედავად ჯ. კ-შვილის თქმისა, რომ გ. ს-ძე უნდა დარჩენილიყო „დელისთან«, მან არ გააჩერა ავტომანქანა აღნიშნულ ტერიტორიაზე და განაგრძო გზა ვაკე-საბურთალოს გზაზე ჭავჭავაძის გამზირის მიმართულებით. გზაში მ. ჯ-შვილმა ითხოვა, რომ გ. ს-ძეს გაეჩერებინა მანქანა, რადგან სურდა სახლში წასვლა, მაგრამ მან განაგრძო გზა. მ. ჯ-შვილი



უკვე კატეგორიულად მოითხოვდა, რომ გაეჩერებინათ მანქანა, გ. ს-მე კი, მიუხედავად მისი მოთხოვნისა, აგრძელებდა მოძრაობას ჭავჭავაძის გამზირზე და არ აძლევდა მ. ჯ-შვილს მანქანიდან გადასვლის საშუალებას, რითაც უკანონოდ აღუკვეთა თავისუფლება შემდგომში ძარცვის გაადვილების მიზნით. მ. ჯ-შვილის კითხვაზე, რა უნდოდათ მისგან, გ. ს-მე პასუხობდა, რომ არსად გაუშვებდა და მალე გააგებინებდა, რაც უნდოდა. მელიქიშვილის ქუჩაზე, სასტუმრო „საქართველოს« მიმდებარე ტერიტორიაზე, მ. ჯ-შვილმა ჩანთიდან ამოიღო მობილური ტელეფონი, რათა დაერეკა რომელიმე ახლობელთან, რისი საშუალებაც არ მისცა გ. ს-მემ და მობილური ტელეფონი დანახვისთანავე წაართვა. გ. ს-მემ გაიარა კოსტავას ქუჩა, გადაკვეთა ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის ხიდი და ა/მანქანა მიიყვანა ვანის ქ. #4-ში მდებარე ავტოსადგომზე, სადაც გ. ს-მემ მანქანაში მყოფ მ. ჯ-შვილს მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა სახისა და თავის არეში არაერთგზის ხელის დარტყმით და ოქრო მოსთხოვა, რომელიც მ. ჯ-შვილს საბუთებით ჰქონდა ჩაბარებული ლომბარდში და რომლის დაკარგვაშიც მასვე ადანაშაულებდა. გ. ს-მე და ჯ. კ-შვილი, მოიყვანეს რა სისრულეში დანაშაულებრივი განზრახვა, ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით აშკარად დაეუფლნენ მ. ჯ-შვილის კუთვნილ „სამსუნვის« ფირმის ვერცხლისფერ მობილურ ტელეფონს და „მოტოროლა V-3« ფირმის მობილურ ტელეფონს, ორივეს ღირებულს 900 ლარად, ასევე -ოქროსფერ სამაჯურს, 2 ოქროს ბეჭედს, „ტრეზორის« ფირმის სუნამოს, ყავისფერი ტყავის ქამარს, ცისფერ კეპს, „გუჩის« ფირმის სათვალეს. დაზარალებულის საფულის დათვალეობისას აღმოაჩინეს და ასევე გაიტაცეს მ. ჯ-შვილის სახელზე გაცემული პლასტიკური ბარათი #4779131300035221, პლასტიკური ბარათი #9229249375333, პლასტიკური ბარათი ფოტოგამოსახულებით, ჯანმრთელობის დაზღვევის პლასტიკური ბარათი, „მესტრო« ბარათი #2693539 და „პროკრედიტბანკის« პლასტიკური ბარათი #4174361110482815, რითაც დაზარალებულ მ. ჯ-შვილს სულ მიაყენეს 1 800 ლარის ოდენობის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

იმავე დღეს გ. ს-მემ მობილურ ტელეფონში „მოტოროლა V-3«, რომელიც გასტაცა მ. ჯ-შვილს, აღმოაჩინა მისივე კუთვნილი ვიზა პლასტიკური ბარათის პინ-კოდი, რის შესახებაც არც მან და არც ჯ. კ-შვილმა მ. ჯ-შვილისაგან პირადი ნივთების აშკარად გატაცების დროს არაფერი იცოდნენ. ვინაიდან გატაცებული პლასტიკური ბარათისა და პინ-კოდის გამოყენებით შესაძლებელი იყო ფულადი თანხის დაუფლება, გ. ს-მემ არაერთგზის განიზრახა მ. ჯ-შვილის საბანკო ანგარიშიდან ფულადი თანხის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 1 საათზე იგი მივიდა ქ. თბილისში, წერეთლის გამზირის #74, #6-ე კორპუსთან მდებარე „პროკრედიტბანკის« ფილიალის ბანკომატთან და ზემოაღნიშნული პლასტიკური ბარათისა და პინ-კოდის გამოყენებით მ. ჯ-შვილის ანგარიშიდან გამოიტანა თანხა -1 900 ამერიკული დოლარი, რითიც დაზარალებულ მ. ჯ-შვილს მიაყენა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

აღნიშნული ქმედებისათვის გ. ს-მეს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ« ქვეპუნქტით მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა« ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა« და „დ« ქვეპუნქტებით -5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა« ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტით -4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით -6 თვით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გ. ს-მეს საბოლოოდ განესაზღვრა 13 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2006 წლის 13 დეკემბრიდან. მასვე დაზარალებულ მ. ჯ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 14 610 ლარის გადახდა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ გ. ს-მის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა -მ. ბ-ანმა, ა. ბ-მემ და ნ. ბ-შვილმა. მათ ითხოვეს განაჩენისა და სასამართლო გამოძიების შეკვეცის შესახებ განჩინების გაუქმება, სასამართლო გამოძიების ჩატარება და გ. ს-მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 სექტემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატები -მ. ბ-ანი და ა. ბ-მე საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილ და სასამართლო სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით გამოკვლეულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან; საქმე განხილულია მნიშვნელოვანი სამართლებრივი დარღვევებით, რასაც არსებითად შეეძლო, ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა კანონი; წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარდა სისხლის სამართალწარმოების გამომრიცხავი საფუძვლებით; განაჩენები ემყარება კანონით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს, რის გამოც განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე შეწყდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, წინასწარი გამოძიების დაწყების საფუძველი გახდა საბურთალოს შს სამმართველოს პ/მორიგის შეტყობინება იმის შესახებ, რომ მ. ჯ-შვილი კოსტავას ქუჩაზე ნაცნობმა მოტყუებით ჩაისვა მანქანაში, შემდეგ მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, მას ე.წ. „მიხაილოვის« საავადმყოფოში აღმოუჩინეს დახმარება და შინ გაუშვეს; ე.ი. პოლიციაში შეტყობინება შევიდა ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტზე; 2006 წლის 16 სექტემბერს პოლიციას განცხადებით მიმართა თავად მ. ჯ-შვილმა ჯ. კ-შვილისა და გ. ს-მის მიერ მისი მოტყუებით წაყვანის, მისთვის შეურაცხყოფის

მიყენებისა და ძალის გამოყენებით პირადი ნივთების გატაცების თაობაზე; მიუხედავად ცრუ ჩვენებისა და ცრუ დასმენისათვის გაფრთხილებისა, ის მაინც ცრუობს და აცხადებს, რომ მას ან ჯ. კ-შვილს გ. ს-მესთან რაიმე ინტიმური ურთიერთობა არ ჰქონიათ, თუმცა 3 თვეა იცის, რომ აღნიშნული პირები კანონიერ ქორწინებაში იმყოფებიან; გ. ს-მის ფიზიკური მონაცემებიდან გამომდინარე, ახალგაზრდა ქალი 1 საათის განმავლობაში ცემის შემდეგ მხოლოდ სხეულის მსუბუქი დაზიანებით ვერ გადარჩებოდა; დაზარალებულის ჩვენებები განსხვავდება ერთმანეთისაგან; მისი მრავალგზის დაკითხვები უფრო წინააღმდეგობრივს ხდიდა ბრალდების მტკიცებულებებს; ჯ. კ-შვილის პასუხისგებაში მიცემით გამოიძებამ აიძულა გ. ს-მე, ელიარებინა დანაშაული, რომელიც მას არ ჩაუდენია; იგი დააკავეს 2006 წლის 13 დეკემბერს, ხოლო დაიკითხა მხოლოდ 2007 წლის 24 იანვარს.

კასატორთა განმარტებით, სასამართლო გამოძიება სრული მოცულობით არ ჩატარებულა; არ გამოკვლეულა მტკიცებულებები მხარეთა მონაწილეობით; სასამართლოში დაცვის მხარე არსებითად შეიზღუდა კონსტიტუციურ და საპროცესო უფლებებში, შეჯიბრებითობის პრინციპის თანახმად, სრულად განეხორციელებინა ბრალდებულის ინტერესების დაცვა; განსასჯელი იმ შემთხვევაში დასთანხმდა შეკვეცილი სასამართლო გამოძიების ჩატარებაზე, თუ მასთან გაფორმდებოდა საპროცესო შეთანხმება, მაგრამ, ვინაიდან მასზე უარი ეთქვა, გ. ს-მემ თავი არ ცნო დამნაშავედ და მოითხოვა სასამართლო გამოძიების სრული მოცულობით ჩატარება; განაჩენის დადგენისას მოსამართლემ დაარღვია საქართველოს სსსკ-ის 1-ლი, მე-7, მე-11, მე-15, მე-18, მე-20, 110-ე, 111-ე, 131-ე, 132-ე, 230-ე-233-ე, 496-ე მუხლების მოთხოვნები; სასამართლომ არ დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მისი ჩამდენი პირი; არ უზრუნველყო კანონის სწორად გამოყენება; არ გამოასწორა წინასწარ გამოძიებაში დაშვებული შეცდომები; მოსამართლემ არ დაიცვა საქართველოს კონსტიტუცია; არ უზრუნველყო გ. ს-მე სრულყოფილი დაცვის უფლებით, რითიც დაირღვა პროცესის მონაწილეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი; არ მისცა დაცვის მხარეს საშუალება, ყოველმხრივ, ობიექტურად და სრულად გამოეკვლია საქმის გარემოებები; ეჭვი არ გადაწყდა განსასჯელის სასარგებლოდ; დაირღვა განაჩენის კანონიერების პრინციპი.

ადვოკატთა აზრით, დაზარალებული იაფფასიანი პროვოკაციებით ცდილობს, დაუმძიმოს ბრალდება გ. ს-მეს, რომელიც თავს არ ცნობს დამნაშავედ; უნდა მოხდეს დაზარალებულის დაკითხვა, მტკიცებულებათა სრული და ყოველმხრივი გამოკვლევა, მათი ობიექტურად შეფასება და სამართლიანი განაჩენის დადგენა; სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სსსკ-ის 533-ე-538-ე მუხლების მოთხოვნები, რადგან საერთოდ არ შეაფასა სააპელაციო საჩივარში მოყვანილი ფაქტები, ასევე, ის, რომ მტკიცებულებად გამოყენებულია დაუშვებელი მტკიცებულებები; ყურადღება არ მიაქცია იმ ურთიერთგამომრიცხავ ჩვენებებს, რომლებიც გახდა გ. ს-მის მსჯავრდების საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატები -მ. ბ-ანი და ა. ბ-მე ითხოვენ, დაუშვებელ მტკიცებულებად იქნეს ცნობილი ჯ. კ-შვილის, ნ. ს-მისა და გ. ს-მის დაკითხვის ოქმები; გაუქმდეს გ. ს-მის მიმართ დადგენილი განაჩენები და შეწყდეს საქმე; ასევე -გაუქმდეს მოსამართლე ე. გ-მის მიერ გამოტანილი განჩინება სასამართლო გამოძიების შეკვეცის შესახებ, როგორც უკანონო.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გ. ს-მის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა უტყუარადაა დადასტურებული საქმეში არსებული მტკიცებულებებით, რომლებზეც ამომწურავად იმსჯელა სააპელაციო პალატამ და სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, ხოლო მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული.

კასატორები მითითებენ, რომ არ მიეცათ გონივრული ვადა შუამდგომლობების მოსამზადებლად, ხოლო სასამართლო გამოძიება არ ჩატარდა და დაცვის მხარეს არ მიეცა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღო მტკიცებულებათა გამოკვლევაში.

პალატა აღნიშნავს, რომ კასატორების აღნიშნული მოტივები უსაფუძვლოა, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოში, სადაც გ. ს-მის ინტერესების იცავდა ადვოკატი ა. ბ-მე, სასამართლო გამოძიება, კანონის მოთხოვნათა დაცვით, შეიკვეცა, რადგან განსასჯელმა წარდგენილ ბრალდებაში თავი მთლიანად ცნო დამნაშავედ. იგი დაიკითხა და სხდომაზე გამოკვლეულ იქნა მტკიცებულებები, რასაც ეყრდნობა გასაჩივრებული განაჩენი. ადვოკატი მ. ბ-ანი გ. ს-მის ინტერესებს იცავდა 2007 წლის 20 მაისიდან და ამ დროისათვის საქმეზე სასამართლო გამოძიება დამთავრებული იყო. ამის მიუხედავად, ადვოკატს მიეცა საკმარისი დრო დაცვის უფლების სათანადოდ განსახორციელებლად.

ამასთან, სააპელაციო პალატის განაჩენი უნდა შეიცვალოს «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, კერძოდ, მსჯავრდებულს უნდა გაუნახევრდეს სსსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლით და

## და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ გ. ს-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატების -მ. ბ-ანისა და ა. ბ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 სექტემბრის განაჩენი შეიცვალოს: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულ გ. ს-ძეს გაუნახევრდეს სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელი -6 თვით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 3 თვით თავისუფლების აღკვეთა;

გასაჩივრებელი განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და საბოლოოდ გ. ს-ძეს განესაზღვროს 13 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## დაცვის უფლება

### განჩინება

#1886-აპ

6 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ც-ვასა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. პ-ვას საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 10 აგვისტოს განაჩენზე.

### აღწერილობითი ნაწილი:

ხობის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 7 ივნისის განაჩენით დ. ც-ვა გამართლდა საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, საცავში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; მანვე ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 29 ნოემბერს დ. ც-ვა დაუდგენელ პირებთან ერთად ხობის რაიონის სოფელ . . . , მ. ლ-ვას საფთიაქო პუნქტში -საცავში უკანონო შეღწევით ფარულად დაეუფლა აფთიაქში არსებულ მედიკამენტებსა და სხვადასხვა მატერიალურ ფასეულობას, რითიც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა დაზარალებულს.

დ. ც-ვამ ასევე უკანონოდ შეიძინა და შეინახა 8,1 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“, რომელიც 2006 წლის 3 დეკემბერს ხობის რაიონის სოფელ . . . მდებარე თავის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკისას ამოიღეს; ჩხრეკისას დამხმარე ნაგებობიდან ამოიღეს მუყაოს ყუთი წარწერით: „ხობი, მ. ლ-ვა“, რომელშიც მოთავსებული იყო წამლები და სხვადასხვა ნივთი.

აღნიშნული ქმედებისათვის დ. ც-ვას საბოლოოდ განესაზღვრა 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2006 წლის 3 დეკემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა დ. პ-ვამ. მათ ითხოვეს განაჩენის გაუქმება და დ. ც-ვას გამართლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 10 აგვისტოს განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ხობის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 7 ივნისის განაჩენი დ. ც-ვას მიმართ დარჩა უცვლელად.

კასატორები -მსჯავრდებული დ. ც-ვა და მისი ადვოკატი დ. პ-ვა საკასაციო საჩივრებში აღნიშნავენ, რომ განაჩენი უკანონოა და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დ. ც-ვა უდანაშაულოა, მას არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია; „მარიხუანა“ და მუყაოს ყუთი წარწერით მას ჩაუდეს; სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის თარიღი აპელანტებისათვის არ

უცნობებიათ და საჩივარი მათ გარეშე განიხილეს, რითიც დაირღვა საპროცესო კანონმდებლობა; ასევე დაირღვა მსჯავრდებულის დაცვის უფლება; დაცვის მხარეს არ მიეცა სხდომის ოქმის გაცნობის საშუალება; არ მოხდა თითის ანაბეჭდების შედარება დ. ც-ვას თითის ანაბეჭდებთან; არ ჩატარდა შემთხვევის ადგილზე ამოღებული სისხლის კვალის ექსპერტიზა.

გარდა აღნიშნულისა, კასატორთა განმარტებით, შემთხვევის დღეს დ. ც-ვა იმყოფებოდა თავისი ნათესავის -თ. ც-ვას ოჯახში დაბადების დღეზე; სახლში დაბრუნების შემდეგ დედასთან ერთად გადავიდა მეზობელთან ტელევიზორის საყურებლად, რის შემდეგაც სახლიდან არ გასულა; უცნობია, საიდან მოხვდა დ. ც-ვას სახლის დამხმარე ნაგებობაში მუყაოს ყუთი, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში შესვლა და რაიმე ნივთის შენახვა; ამოღებული ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“ არ იყო იმ ოდენობისა და მოცულობისა, რაც წარმოადგინეს სასამართლოზე და ეს დაადასტურეს ჩხრეკის დამსწრეებმაც; სასამართლოს არ უმსჯელია მტკიცებულებათა ფალსიფიკაციაზე; მოწმე ც. ს-ვას ჩვენებით, ავთიაქში დარჩენილი იყო ერთი მუყაოს ყუთი, რომელსაც იყენებდა ნივთების ჩასალაგებლად, ხოლო დაზარალებულის განმარტებით, მან პოლიციელებს მიუტანა ცელოფნის პარკი ნივთების ჩასაწყობად, რადგან არც ერთი ყუთი აღარ იყო დარჩენილი; სასამართლომ საქმე განიხილა ცალმხრივად, არ აღმოფხვრა წინააღმდეგობა მტკიცებულებებს შორის; საქმეს არ ერთვის დანაშაულის ჩადენის იარაღი - ძალაყინი; სასამართლომ ეჭვი არ განმარტა მსჯავრდებულის სასარგებლოდ; მოწმეების ჩვენებები არ შეფასდა სრულად და ობიექტურად; ნივთმტკიცებები მოპოვებულია კანონით დადგენილი წესის დარღვევით და დაუშვებლად უნდა იყოს ცნობილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული დ. ც-ვა და ადვოკატი დ. პ-ვა ითხოვენ გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის ხელახლა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენზე სააპელაციო საჩივარი შეიტანეს მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა დ. პ-ვამ. ეს უკანასკნელი ხელს აწერს საჩივარს, ხოლო მისი დაცვის ქვეშ მყოფი მიუთითებს, რომ მას ეთანხმება. ამდენად ცხადია, რომ სააპელაციო საჩივრის ავტორი იყო ადვოკატი დ. პ-ვა და სსსკ-ის 531-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ამ შემთხვევაში საქმის მოსმენა ერთხელ უნდა გადადებულიყო.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას დ. ც-ვამ განაცხადა, რომ ადვოკატს არ საჭიროებდა, რის გამოც საქმე განიხილეს დამცველის მონაწილეობის გარეშე.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ დ. ც-ვას აქვს ფსიქიკური ნაკლი. სსსკ-ის 81-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის შესაბამისად, განსასჯელი (მსჯავრდებული) ექვემდებარება იძულებით დაცვას, თუ მას აქვს ფსიქიკური ნაკლი, რომელიც ამნელებს დაცვის უფლების განხორციელებას.

პალატა განმარტავს, რომ კანონის აღნიშნული მოთხოვნიდან გამომდინარე, ფსიქიკური ნაკლის მქონე პირის მიმართ პროცესის მწარმოებელმა ორგანომ დამცველის მოწვევაზე უარის შემთხვევაში უნდა იმსჯელოს, ხომ არ ამნელებს ადვოკატის გარეშე პროცესის წარმოება დაცვის უფლების განხორციელებას და ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია და, შესაბამისად, არ არის გარკვეული, ექვემდებარებოდა თუ არა დ. ც-ვა იძულებით დაცვას და დაირღვა თუ არა სსსკ-ის 563-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ვ» ქვეპუნქტის მოთხოვნა.

პალატა აღნიშნავს, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულით შეიზღუდა პროცესის მონაწილეთა უფლებები, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონის 563-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის არსებითი დარღვევაა და რის გამოც საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს საჩივრებში მითითებულ სხვა მოტივებზე.

ამდენად, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს განჩინებაში მითითებული გარემოებები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, 570-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და

## **და ა ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულ დ. ც-ვას ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. პ-ვას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 10 აგვისტოს განაჩენი დ. ც-ვას მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 6. უკანონო ან დაუსაბუთებელი დაპატიმრების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება

### განჩინება

#20<sup>1</sup>

18 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორ შ. ვ-ძისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე გ. გ-ძის კერძო საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 თებერვლის განჩინებაზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

საბრალდებო დასკვნის შესაბამისად, ლ. კ-ძეს ბრალი ედებოდა იმაში, რომ ჩაიდინა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისება და გაფლანგვა, რაც იმყოფებოდა მიმთვისებლისა და გამფლანგველის მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. მანვე ჩაიდინა ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება და გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ლ. კ-ძის ქმედება წინასწარმა გამოძიებამ დააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» და «დ» ქვეპუნქტებით, 362-ე მუხლის პირველი ნაწილით, მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით და საქმე განსახილველად გადაეცა ბაღდათის რაიონულ სასამართლოს.

ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 7 დეკემბრის განაჩენით ლ. კ-ძე წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა.

ქუთაისის საქალაქო პროკურორის თანაშემწე ვ. კ-შვილმა და დაზარალებულებმა განაჩენი გაასაჩივრეს ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატაში. მათ მოითხოვეს გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და ლ. კ-ძის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა.

სააპელაციო პალატის 2005 წლის 9 აგვისტოს განაჩენით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და რაიონული სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი ლ. კ-ძის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო პალატის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს პროკურორმა ვ. კ-შვილმა და დაზარალებულებმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 26 აპრილის განჩინებით ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 9 აგვისტოს გამამართლებელი განაჩენი ლ. კ-ძის მიმართ დარჩა უცვლელად.

2006 წლის 17 აგვისტოს ლ. კ-ძემ განცხადებით მიმართა ბაღდათის რაიონულ სასამართლოს რეაბილიტაციასთან დაკავშირებით მან მოითხოვა სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანოების უკანონო მოქმედებით მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის თანხის -56644 ლარის ანაზღაურება (1644 ლარი შეადგენს მიუღებელ ხელფასს, 5000 ლარი -სასამართლო წარმოებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ხოლო 50000 -ლარი მორალური ზიანის კომპენსაციას).

ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 17 ნოემბრის დადგენილებით ლ. კ-ძეს უარი ეთქვა მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

აღნიშნული დადგენილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. კ-ძემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 თებერვლის განჩინებით ცვლილება შევიდა ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 17 ნოემბრის დადგენილებაში, კერძოდ: ლ. კ-ძე ცნობილ იქნა რეაბილიტირებულად. ფინანსთა სამინისტროს ლ. კ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის -1000 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადახდა.

დადგინდა რეაბილიტაციის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ გამოცემაში, აგრეთვე, აღნიშნული ეცნობა «ბაღდათის სამედიცინო ცენტრის» შრომის კოლექტივსა და ბაღდათის რაიონის გამგეობას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების თაობაზე ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა შ. ვ-ძემ და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე გ. გ-ძემ კერძო საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორი შ. ვ-ძე კერძო საკასაციო საჩივრით ითხოვს ლ. კ-ძის რეაბილიტაციისა და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ უკანონო და დაუსაბუთებელი განჩინების გაუქმებას და საქმის დაბრუნებას ხელახალი განხილვისათვის.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე გ. გ-მე კერძო საკასაციო საჩივრით ითხოვს, რომ არ აუნაზღაურდეს ლ. კ-ძის მიმართ დაკისრებული მორალური ზიანის ფულადი კომპენსაცია ან შემცირდეს კომპენსაციის თანხა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა ლ. კ-ძის რეაბილიტაციის თაობაზე სასამართლო წარმოების მასალები, შეამოწმა კერძო საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და თვლის, რომ კერძო საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსსკ-ის 165-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, პირისათვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება ფულადი კომპენსაციით ხდება იმ შემთხვევაში, თუ პირს მორალური ზიანი მიადგა უკანონო და დაუსაბუთებელი დაპატიმრების შედეგად. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ლ. კ-მეს საპატიმრო აღკვეთის ღონისძიება შეფარდებული არ ჰქონია. ასევე არ მომხდარა მისი დაკავება. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ არასწორია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ლ. კ-ძისათვის მორალური ზიანის ფულადი კომპენსაციით ანაზღაურების შესახებ, რის გამოც განჩინება ამ ნაწილში უნდა გაუქმდეს.

პალატა თვლის, რომ ასევე არასწორია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 5 თებერვლის განჩინებაში არსებული მითითება ლ. კ-ძის რეაბილიტირებულად ცნობის შესახებ.

საქართველოს სსსკ-ის 219-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად: «პირის რეაბილიტაციის საფუძველია გამამართლებელი განაჩენი, აგრეთვე მოსამართლის ან პროკურორის დადგენილება (განჩინება) სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ ამ კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ», «ი», «კ» და «მ» ქვეპუნქტებში და იმავე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «გ» ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით, აგრეთვე სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების თაობაზე უკანონო სასამართლო განჩინების (დადგენილების) გაუქმების შესახებ».

საქმის მასალების მიხედვით, ბაღდათის რაიონულმა სასამართლომ ლ. კ-ძის მიმართ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, რაც უცვლელად დატოვეს ზემდგომმა სასამართლოებმა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ლ. კ-ძის რეაბილიტაციის საფუძველია სასამართლოების მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ პირის მიმართ ასეთი მარეაბილიტირებელი საპროცესო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ იგივე პირი ხელახლა, დამატებით, სასამართლოს ახალი გადაწყვეტილებით რეაბილიტირებულად ცნობას აღარ საჭიროებს, რის გამოც აღნიშნული მითითება განჩინებიდან უნდა ამოირიცხოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ა« ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორ შ. ვ-ძისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე გ. გ-ძის კერძო საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 თებერვლის განჩინება ლ. კ-ძის მორალური ზიანის ფულადი კომპენსაციით -1000 ლარით ანაზღაურების ნაწილში გაუქმდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 თებერვლის განჩინებიდან ამოირიცხოს მითითება ლ. კ-ძის რეაბილიტირებულად ცნობის თაობაზე.

განჩინება სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **უკანონო ან დაუსაბუთებელი დაპატიმრების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება**

#### **განჩინება**

#1<sup>1</sup>

1 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

ზ. მეთევილი,

მ. ცისკამე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ლ. ქ-ძის კერძო საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ნოემბრის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

2002 წლის 3 ივლისს საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამომიებო ნაწილში ლ. ქ-ძის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე #7402872, საქართველოს სსკ-ის 148-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

საქმის აღძვრას საფუძვლად დაედო აჭარის ა/რ ყოფილი მეთაურის -ა. ა-ძის ნდობით აღჭურვილი პირის, ადვოკატ რ. ხ-იას საჩივრის საფუძველზე ჩატარებული წინასაგამომიებო შემოწმების მასალები.

საჩივრის თანახმად, ლ. ქ-ძე აჭარის ა/რ მეთაურს -ა. ა-ძეს ცილს სწამებდა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა ჩადენაში, კერძოდ, ის ა. ა-ძეს ბრალს სდებდა 495049 აშშ დოლარის ღირებულების პურის ფქვილის, 385300 აშშ დოლარის ღირებულების 34 ავტომანქანის, 96600 აშშ დოლარის გამოძალვაში.

რ. ხ-იას საჩივარში აღნიშნული იყო ასევე ლ. ქ-ძის მიერ გაკეთებულ ცილისმწამებლურ განცხადებებზე, რომლებითაც მან ბრალი დასდო ა. ა-ძეს აგრეთვე სხვა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა ჩადენაში.

აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე 2002 წლის 8 ივლისს შემდგომი გამოძიების ჩასატარებლად საქართველოს გენერალური პროკურატურიდან გადაიგზავნა აჭარის ა/რ პროკურატურაში, სადაც 2002 წლის 16 აგვისტოს ლ. ქ-ძე მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 148-ე მუხლის საფუძველზე.

2002 წლის 27 აგვისტოს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ბრძანებით აღკვეთის ღონისძიებად მას შეეფარდა დაპატიმრება და გამოცხადდა მისი ძებნა.

2004 წლის 3 მაისს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გააუქმა აჭარის ა/რ პროკურატურაში გამოტანილი დადგენილება ლ. ქ-ძის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, ასევე გაუქმდა მის მიმართ გამოცხადებული ძებნის დადგენილება.

ზემოხსენებული დადგენილებების გაუქმებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ ისინი გამოტანილი იყო კანონის უხეში დარღვევით, კერძოდ, ლ. ქ-ძე 1995-1999 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი. „საქართველოს პარლამენტის წევრის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, პარლამენტის ყოფილი წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა შეუძლია საქართველოს გენერალურ პროკურორს. პარლამენტის ყოფილი წევრი ამ უფლებით სარგებლობს ახლად არჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ვადით.

2004 წლის 8 მაისს გამომიებლის შუამდგომლობის საფუძველზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა ლ. ქ-ძისათვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება -დაპატიმრება.

2005 წლის 8 ოქტომბერს აჭარის ა/რ პროკურატურაში გამოტანილ იქნა დადგენილება, რომლითაც შეწყდა წინასწარი გამოძიება ლ. ქ-ძის მიმართ აღძრულ #7402872 სისხლის სამართლის საქმეზე იმ საფუძველით, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებით გაუქმდა სსკ-ის 148-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების (ცილისწამება) დასჯადობა, რაც, საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პირის მიმართ საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველია.

2006 წლის 25 ივლისს ბათუმის საქალაქო სასამართლოს ლ. ქ-ძემ მიმართა განცხადებით, რომლითაც იგი ითხოვდა სამართალწარმოების ორგანოების უკანონო მოქმედებით მისთვის მიყენებული ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურებას, კერძოდ, ქონებრივი ზიანის ნაწილში იგი ითხოვდა 54 000 ევროს, 250 000 აშშ დოლარსა და 37 720 ლარს, ხოლო მორალური ზიანის ნაწილში -10 000 000 აშშ დოლარს.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ ლ. ქ-ძის განცხადება განიხილა 2006 წლის 30 ნოემბერს და თავისი დადგენილებით უარი უთხრა მას ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურებაზე, ვინაიდან სასამართლომ მიიჩნია, რომ ლ. ქ-ძის მოთხოვნა იყო უსაფუძვლო, ამასთან, მან ზიანის ანაზღაურებაზე სასამართლოს მიმართა საპროცესო კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, ე.ი. მოთხოვნა ხანდაზმული იყო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს დადგენილება ლ. ქ-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. კერძო სააპელაციო საჩივრით იგი ითხოვდა აღნიშნული დადგენილების გაუქმებას, ასევე, მისთვის მიყენებული ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურებას მის მიერ მითითებული ოდენობით.

საჩივარი განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, რომელმაც, არ გაიზიარა რა აპელანტის მოსაზრებები, 2007 წლის 27 თებერვლის განჩინებით უცვლელად დატოვა ლ. ქ-ძის მიმართ ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი დადგენილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 სექტემბრის განჩინებით გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 27 თებერვლის განჩინება რეაბილიტირებულ ლ. ქ-ძის მიმართ, ხოლო მისი კერძო სააპელაციო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ნოემბრის განჩინებით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 30 ნოემბრის დადგენილებიდან ამოირიცხა მითითება ხანდაზმულობის მოტივით საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. დანარჩენ ნაწილში დადგენილება დარჩა უცვლელად.

ლ. ქ-მე კერძო საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ნოემბრის განჩინების გაუქმებასა და ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას (სახელფასო დავალიანების ანაზღაურებისა და საპარლამენტო უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ ტოლფასი სამსახურის უზრუნველყოფის მოთხოვნის გარდა). კასატორის აზრით, განჩინება გამოტანილია მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევებით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი კერძო საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კერძო საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მოთხოვნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ნოემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე უკანონო და დაუსაბუთებელია.

უსაფუძვლოა კასატორის მოთხოვნა მორალური ზიანის სახით 1000000 აშშ დოლარის მოთხოვნის შესახებ, რადგან, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, რეაბილიტირებული პირის სასარგებლოდ მორალური ზიანის ფულადი კომპენსაციით ანაზღაურება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც პირი უკანონოდ იყო დაკავებული ან დაპატიმრებული, რასაც ლ. ქ-მის მიმართ ადგილი არ ჰქონია.

ასევე, საქართველოს სსსკ-ის 165-ე მუხლის თანახმად, ქონებრივი ზიანი პირს სრული მოცულობით აუნაზღაურდება, თუ დადგინდა, რომ მისი დაკავება ან დაპატიმრება უკანონო ან დაუსაბუთებელი იყო.

საქმის მასალებიდან გამომდინარე, ლ. ქ-მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სსკ-ის 148-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებზე აღიძრა 2002 წლის 3 ივლისს. 2002 წლის 27 აგვისტოს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ბრძანებით ლ. ქ-მეს აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდა დაპატიმრება და დამოცხადდა მისი ძებნა. 2004 წლის 3 მაისს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გააუქმა აჭარის ა/რ პროკურატურაში გამოტანილი დადგენილება ლ. ქ-მის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, ასევე გაუქმდა მის მიმართ გამოცხადებული ძებნის დადგენილება. 2004 წლის 28 მაისს გამომძიებლის შუამდგომლობის საფუძველზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა ლ. ქ-მისათვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება - დაპატიმრება. ლ. ქ-მე გერმანიაში გამგზავრა 2000 წლის დასაწყისში, ე.ი. საქმე აღიძრა მისი გერმანიაში გამგზავრებიდან თითქმის 2 წლისა და 6 თვის შემდეგ. ასეთ ვითარებაში ობიექტურად ყოვლად შეუძლებელია 2000 წელს გერმანიაში გამგზავრების მიზეზი ყოფილიყო 2002 წლის ივლისში აღძრული საქმე, რაც ლ. ქ-მის მიერ 2000 წლის დასაწყისში ქვეყნის დატოვების მიზეზი ვერ გახდებოდა. ამდენად, გერმანიაში ცხოვრებისათვის დახარჯული თანხა შეუძლებელია დაეკისროს სახელმწიფოს, მისი ორგანოების მიერ 2002 წლის 3 ივლისიდან 2005 წლის 8 ოქტომბრამდე დაშვებული უკანონო მოქმედებების გამო. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქმის მასალების მიხედვით, ჩამოთვლილი ზიანის ხარჯთაღრიცხვის ან სხვაგვარი დოკუმენტური დასაბუთება ლ. ქ-მეს არ წარმოუდგენია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ნოემბრის განჩინება არის კანონიერი, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა« ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



## 7. შუამდგომლობის განცხადების წესი

### განჩინება

#258-აპ

12 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- ზ. მეიშვილი,
- ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების -ნ. ხ-ძისა და ხ. ტ-იანის და მათი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. შ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 დეკემბრის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 2 ოქტომბრის განაჩენით:

1. ნ. ხ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით, მე-4 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ იყო რა ორჯერ ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის, ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით, დიდი ოდენობით ნივთის მისაკუთრების მიზნით ჩაიდინა ქურდობა; ასევე -პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით, ჩადენილი ძალადობითა და ძალადობის მუქარით;

2. ხ. ტ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით იმაში, რომ ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება.

ნ. ხ-ძისა და ხ. ტ-იანის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის დეკემბრის შუა რიცხვებიდან 2007 წლის 20 იანვრამდე დროის შუალედში ნ. ხ-ძემ დაუდგენელ პირთან ერთად განიზრახა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ის მივიდა გარდაბნის რაიონის სოფელ ... მდებარე, ზ. თ-შვილის სააგარაკე ბინასთან, ისარგებლა იმ გარემოებით, რომ იმ დროს აგარაკზე პატრონი არ იმყოფებოდა, ხის კიბის საშუალებით ავიდა მეორე სართულის ფანჯარასთან, ამოგლიჯა რკინის გისოსის ერთი მხარე, ფანჯრის მინის ჩამტვრევით შეაღწია ბინაში და გაიტაცა სხვადასხვა დასახელების ნივთები, რითიც დაზარალებულს სულ მიაყენა 14 554 ლარის მატერიალური ზიანი.

ხ. ტ-იანმა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა „მაკაროვისა“ და „პესემის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღები 65 საბრძოლო ვაზნასა და მაცურთან ერთად, რომლებსაც მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ ბინაში, გარდაბნის რაიონის სოფელ ... . 2007 წლის 26 იანვარს ხ. ტ-იანი ნ. ხ-ძესთან ერთად მოძრაობდა ა. გ-იას ტაქსით თბილისში, თემქის დასახლების მიმართულებით, რა დროსაც მას თან ჰქონდა ზემოაღნიშნული იარაღები საბრძოლო ვაზნებთან ერთად. გურამიშვილის გამზირზე ისინი გააჩერეს პოლიციის თანამშრომლებმა. ნ. ხ-ძემ პოლიციელებს -მ. ბ-უასა და ი. ბ-შვილს გაუწია აქტიური წინააღმდეგობა და შეეცადა გაქცევას. მისი მოქმედებები მიმართული იყო პოლიციის თანამშრომლების საქმიანობის შეწყვეტისა და შეცვლისაკენ, ჩადენილი ძალადობითა და ძალადობის მუქარით. ნ. ხ-ძემ მ. ბ-უას ჩამოახია პოლიციის ფორმის ქურთუკის გარეთა, მარჯვენა ჯიბე. მიუხედავად გაწეული წინააღმდეგობისა, იგი დააკავეს. პოლიციელებმა ავტომანქანის ჩხრეკისას ამოიღეს ყუთში მოთავსებული „მაკაროვისა“ და „პესემის“ პისტოლეტები 65 საბრძოლო ვაზნასა და მაცურთან ერთად, რის გამოც ადგილზევე დააკავეს ხ. ტ-იანიც.

აღნიშნული ქმედებისათვის ნ. ხ-ძეს საბოლოოდ მიესაჯა 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ხ. ტ-იანს -7 წლით თავისუფლების აღკვეთა; დამატებითი სასჯელის სახით ნ. ხ-ძეს განესაზღვრა ჯარიმა 5500 ლარის ოდენობით, ხ. ტ-იანს კი -5000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ნ. ხ-ძეს დაზარალებულ ზ. თ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 12804 ლარის გადახდა. მსჯავრდებულებს სასჯელის მოხდა დაეწყოთ 2007 წლის 26 იანვრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულების ადვოკატმა ნ. შ-ძემ. მან ითხოვა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 2 ოქტომბრის განაჩენის გაუქმება, ხ. ტ-იანისა და ნ. ხ-ძის გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 დეკემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი -მსჯავრდებულების ინტერესების დამცველი, ადვოკატი ნ. შ-მე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა, ვინაიდან სასამართლომ არსებითად დაარღვია სათანადო სამართ-  
ლებრივი პროცედურები, კერძოდ:

სასამართლომ არ გაიზიარა ადვოკატის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა მოწმეების -რ. ლ-ძის, ა. მ-ძის, გ. მ-ლის, გ. ქ-შვილის, ნ. ბ-ოვის, ასევე, ი. ბ-შვილის, მ. ბ-უასა და ა. გ-იას დაკითხვის შესახებ იმ მოტივით, რომ აღნიშნული შუამდგომლობა დაცვის მხარეს უნდა დაეყენებინა სასამართლო პროცესის დაწყებამდე 5 დღით ადრე; დაცვის მხარეს არანაირი ვალდებულება არა აქვს, სააპელაციო სასამართლოში იხელმძღვანელოს სსსკ-ის 468-ე მუხლით, როდესაც მოწმეთა დაკითხვას ითხოვს სააპელაციო საჩივრით. აღნიშნულით დაირღვა სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნა; მოსამართლემ დამცველის უფლების შეზღუდვით დაარღვია ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის „დ« ქვეპუნქტი.

გარდა აღნიშნულისა, ადვოკატი ნ. შ-მე განმარტავს, რომ ნ. ხ-ძემ ზ. თ-შვილის აგარაკიდან წაღებული ნივთების ნაწილი რ. ლ-ძეს, ა. მ-ძესა და გ. მ-ლთან ერთად იპოვა ა. მ-ძის სახლში, რომელიც მან შეიძინა საბერძნეთში გადასახლებული ბერძენი მოქალაქისაგან; ეს ნივთები მეგობრებმა მას გადასცეს იმიტომ, რომ ნ. ხ-ძე განიცდის მძიმე მატერიალურ გაჭირვებას; სააპელაციო სასამართლოში აღნიშნული მოწმეების დაკითხვისას გაირკვეოდა სიმართლე; თვით დაზარალებულიც გამოთქვამდა ეჭვს, რომ აგარაკი შეიძლებოდა, გაეჭურდათ მის მიერ დაქირავებულ მუშებს; სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მოსამართლემ დაცვის მხარეს არ მისცა მტკიცებულებების დაზუსტების საშუალება, რითიც დაარღვია ადვოკატის საპროცესო უფლებები.

რაც შეეხება პოლიციელებისათვის წინააღმდეგობის გაწევას, რეალურად ასეთი არ მომხდარა; დაცვამ სააპელაციო სასამართლოში ითხოვა ყურადღების გამახვილება იმ ფაქტზე, რომ თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მიმდინარეობდა გამოძიება პოლიციელების -მ. ბ-უასა და ი. ბ-შვილის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე (ნ. ხ-ძის დაკავებისას უკანონო ქმედების განხორციელება); მოწმეები -ნ. ბ-ოვი, ა. გ-ია, გ. ქ-შვილი იარაღთან დაკავშირებით ფლობდნენ უტყუარ ინფორმაციას, მაგრამ ეს პირები სააპელაციო სასამართლოში არ დაკითხეს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატი ნ. შ-მე ითხოვს განაჩენის გაუქმებას და მსჯავრდებულთა მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას ან საქმის დაბრუნებას სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის მოტივთა საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

წინასწარი და სასამართლო გამოძიებით სრულყოფილად დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სისხლის სამართლის საპროცესო კანონი არსებითად არ დარღვეულა, მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული, შეკრებილი მტკიცებულებები სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა და დაადგინა დასაბუთებული განაჩენი, რომლის გაუქმების ან შეცვლის საფუძველი არ არსებობს, კერძოდ:

დაზარალებულ ზ. თ-შვილის ჩვენებებით დადგენილია, რომ მისი სააგარაკე სახლი გაქურდეს 2006 წლის 15 დეკემბრიდან 2007 წლის იანვრის შუა რიცხვებამდე დროის მონაკვეთში, რის შედეგად მიადგა 14554 ლარის ოდენობის მატერიალური ზიანი. მოპარული ნივთების ნაწილი ამოღებულ იქნა და ითხოვს 12804 ლარის ოდენობის ზიანის ანაზღაურებას. დაზარალებულის აზრით, მისი სახლი გაქურდეს ნ. ხ-ძემ და ხ. ტ-იანმა, რადგან მოპარული ნივთების ნაწილი, გარდა სანადირო თოფისა, ამ უკანასკნელის ბინაში აღმოჩნდა.

მოწმე თ. ნ-შვილმა განმარტა, რომ ნ. ხ-ძისაგან შეიძინა სანადირო თოფი. ამ უკანასკნელმა უთხრა, რომ თოფი, რომელიც მოპარული აღმოჩნდა, ბაბუამისის იყო და საბუთებსაც მიუტანდა.

თავად ნ. ხ-ძემ სასამართლოს განუმარტა, რომ მისმა ნაცნობმა წალკაში სახლი იყიდა, სადაც 2006 წლის 10 დეკემბერს რ. ლ-ძემ იპოვა და მას გადასცა პოლიციელთა მიერ მოგვიანებით ამოღებული ნივთები, მათ შორის -სანადირო თოფი. თოფი თ. ნ-შვილს მიჰყიდა, მაგრამ არ უთქვამს, რომ ბაბუამისს ეკუთვნოდა.

ჩხრეკისა და საგნის ამოსაცნობად წარდგენის ოქმებით დადგენილია, რომ თ. ნ-შვილისა და ხ. ტ-იანის საცხოვრებელი ბინებიდან ამოღებული ნივთები, მათ შორის -სანადირო თოფი, ეკუთვნის ზ. თ-შვილს.

საგულისხმოა, რომ დაზარალებულის ჩვენებით იგი სააგარაკე სახლში არ მისულა 2006 წლის დეკემბრის შუა რიცხვებიდან, დაახლოებით 15 დეკემბრიდან, მაშინ, როცა ნ. ხ-ძის განმარტებით ნივთები იპოვეს იმავე წლის 10 დეკემბერს.

დაზარალებულების -მ. ბ-უასა და ი. ბ-შვილის ჩვენებებით ირკვევა, რომ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გააჩერეს ავტომანქანა, რომელშიც სამი პირი იჯდა. უკანა სავარძელზე მყოფი, რომელიც ნ. ხ-ძე აღმოჩნდა, ცდილობდა გაქცევას, რა დროსაც მ. ბ-უას ჩამოაგლიჯა ქურთუკის წინა ჯიბე. დააკავეს ორი პირი და როგორც შეიტყო, ავტომანქანაში აღმოჩნდა ცეცხლსასროლი იარაღები.

მომხდარის დღესვე მ. ბ-უასაგან ამოიღეს ქურთუკი წარწერით «კრიმინალური პოლიცია». ქურთუკის წინა მარჯვენა ჯიბე ჩამოხეულა, ასევე გარღვეულია მარჯვენა სამკლავური.

დადგენილია, რომ ავტომანქანა «ოპელ-ომეგას» ჩხრევისას, წინა მარჯვენა სავარძლის ქვეშ (სადაც იჯდა ხ. ტ-იანი) აღმოჩნდა ყუთში მოთავსებული „მაკაროვისა» და „პესემის» მარკის პისტოლეტები 65 საბრძოლო ვაზნით, რომლებიც ვარგისია დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად.

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოტივს, რომ სააპელაციო სასამართლომ უკანონოდ უთხრა უარი აპელანტს მოწმეთა დაკითხვის შესახებ, რითაც შეზღუდა პროცესის მონაწილეთა უფლებები და დაარღვია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნები, კერძოდ:

პალატა განმარტავს, რომ შუამდგომლობები, მათ შორის –მოწმეთა დაკითხვის შესახებ, განიხილება სასამართლო სხდომის მოსამზადებელ ეტაპზე, სსსკ-ის 457-ე-469-ე მუხლებით დადგენილი წესით, რომლებითაც ხელმძღვანელობს სააპელაციო პალატა (სსსკ-ის 532-ე მუხლი). ამდენად, მოწმეთა დაკითხვის საკითხი უნდა გადაწყდეს სასამართლო გამოძიების დაწყებამდე მხარეთა მონაწილეობით (მიუხედავად იმისა, სააპელაციო საჩივარში აღნიშნულია თუ არა დასაკითხ პირთა სია), მით უფრო, რომ სსსკ-ის 468-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პირს, რომელსაც უარი უთხრეს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, უფლება აქვს განაცხადოს იგი სასამართლო გამოძიებისას მხოლოდ საქმისათვის ახალი არსებითი გარემოების გამოვლენის შემთხვევაში.

დადგენილია, რომ სააპელაციო სასამართლოში დაცვის მხარეს მოწმეთა დაკითხვის შესახებ გამოძიების დაწყებამდე არ უშუამდგომლია იმის მიუხედავად, რომ სხდომის თავმჯდომარემ სსსკ-ის 468-ე მუხლიდან გამომდინარე შუამდგომლობებთან დაკავშირებით მიმართა მხარეებს. ვინაიდან მხარეებს მოწმეთა დაკითხვა არ მოუთხოვიათ, სააპელაციო პალატამ არ იმსჯელა საჩივარში მითითებული პირების დაკითხვასთან დაკავშირებით და, შესაბამისად, შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარი არ უთქვამს. ეს გარემოება არ ზღუდავდა დაცვის მხარეს, მოეთხოვა მოწმეთა დაკითხვა სასამართლო გამოძიების დასრულებამდე, რასაც ადგილი არ ჰქონია.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 468-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული, მასში კონკრეტულად უნდა იქნეს გადმოცემული მოთხოვნა და მისი არგუმენტაცია, შუამდგომლობის ავტორი ვალდებულია, მიუთითოს, რა გარემოებათა დასადგენად არის განცხადებული შუამდგომლობა. აპელანტებმა თავიანთი საჩივრით მოითხოვეს პირთა დაკითხვა «საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით» და მიუთითეს, რომ «მტკიცებულებების დაზუსტება» მოხდებოდა სასამართლო სხდომაზე.

სააპელაციო სასამართლოში საქმის გამოძიების დასრულებისას მხარეებს გამოსაკვლევად ახალი მტკიცებულება არ წარუდგენიათ.

ამრიგად, პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების მოტივს, რომ სასამართლომ შეზღუდა მათი უფლებები.

სწორია კასატორების მოტივი, რომ დაცვის მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს, მაგრამ შუამდგომლობა უნდა გაცხადდეს კანონით დადგენილი წესით და იგი დასაბუთებული უნდა იყოს.

მოცემულ შემთხვევაში პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, გააუქმოს განაჩენი და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაგზავნოს იმ მოტივით, რომ დაცვის მხარემ მოწმეთა დაკითხვა მოითხოვოს კანონით დადგენილი წესით და დასაბუთოს მოთხოვნა.

ამასთან, საქმეზე არასწორადაა გადაწყვეტილი ზოგიერთი ნივთმტკიცების ბედი, კერძოდ დადგენილია, რომ ხ. ტ-იანის ბინის ჩხრევისას სხვა ნივთებთან ერთად ამოღებულ იქნა საწოლის გა-დასაფარებელი ორი ბალიშის პირით, ლომის თავისა და ლომის გამოსახულებით, ხოლო ნ. ხ-ძის პირადი ჩხრევისას ამოიღეს «სამსუნგის» მარკის მობილური ტელეფონი. დაზარალებულმა ამოიწრო მხოლოდ ორლულიანი თოფი, მოწითალო ფეხსაცმელი, «პანასონიკის» მარკის დისტანციური მართვის ტელეფონი, მამაკაცის ქურთუკი და შარვალ-პიჯაკი, რაც მითითებულია საბრალდებო დასკვნაში, ხოლო «სამსუნგის» მარკის მობილური ტელეფონი ამავე საბრალდებო დასკვნით და დაზარალებულის ჩვენებებით არ გაუტაციათ. შესაბამისად, საწოლის გადასაფარებელი და მობილური ტელეფონი ზ. თ-შვილის ნაცვლად უნდა დაუბრუნდეს მათ კანონიერ მფლობელებს.

გარდა ამისა, საბრალდებო დასკვნით დადგენილია, რომ დაზარალებულისათვის მიყენებული მატერიალური ზიანი შეადგენს 14554 ლარს. ამ უკანასკნელს გასაჩივრებული განაჩენით უნდა დაუბრუნდეს ნივთმტკიცებად ცნობილი, 500 ლარად ღირებული სანადირო თოფი, 400 ლარად ღირებული მამაკაცის ფეხსაცმელი, 200 ლარად ღირებული დისტანციური მართვის ტელეფონი, 250 ლარად ღირებული ქურთუკი და 500 ლარად ღირებული შარვალ-პიჯაკი, ე.ი. სულ 1850 ლარად ღირებული ნივთები, შესაბამისად, მსჯავრდებულ ნ. ხ-ძეს დაზარალებულის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 12704 ლარის გადახდა, ნაცვლად სააპელაციო პალატის განაჩენში მითითებული 12804 ლარისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი, გარდა აღნიშნულისა, სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულების -ნ. ხ-ძისა და ხ. ტ-იანის და მათი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. შ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 დეკემბრის განაჩენი შეიცვალოს: მსჯავრდებულ ნ. ხ-ძეს დაზარალებულ ზ. თ-შვილის სასარგებლოდ საბოლოოდ დაეკისროს 12704 ლარის გადახდა;

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი -საწოლის გადასაფარებელი ორი ბალიშის პირით, ლომის თავის და ლომის გამოსახულებით, ასევე, მობილური ტელეფონი «სამსუნგი», რომლებიც ინახება შინაგან საქმეთა სამინისტროს გლდან-ნაძალადევის სამმართველოში -დაუბრუნდეს მათ კანონიერ მფლობელებს.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**8. უცხო სახელმწიფოს მოქალაქის ექსტრადიცია**

**განჩინება**

#17<sup>1</sup>

4 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**

**ლ. მურუსიძე,**

**დ. სულაქველიძე**

განიხილა ხ. ჯ-ოვის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ხ-შვილის კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 16 აპრილის დადგენილებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

2007 წლის 25 აგვისტოს მესტიის რაიონში დააკავეს რუსეთის ფედერაციის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი ხ. ჯ-ოვი. იმავე დღეს ხ. ჯ-ოვს მესტიის რაიონული სასამართლოს ბრძანებით შეეფარდა საექსტრადიციო პატიმრობა 3 თვის ვადით. ამასთან, ხ. ჯ-ოვის საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სასაზღვრო პოლიციამ აღნიშნული პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. ხ. ჯ-ოვს ბრალად ედებოდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთა (საქართველოს სსკ-ის 344-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული).

2007 წლის 21 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის ბრძანების საფუძველზე ხ. ჯ-ოვს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა და-პატიმრება ორი თვის ვადით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

2007 წლის 26 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის ბრძანების საფუძველზე გაუქმდა ხ. ჯ-ოვის მიმართ გამოყენებული საექსტრადიციო პატიმრობა, ვინაიდან მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდებოდა საქართველოში და, შესაბამისად, ექსტრადიციის საქმის განხილვა გადაიდო.

2007 წლის 12 ნოემბერს საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მიღებულ იქნა რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა ხ. ჯ-ოვის ექსტრადიციის შესახებ.

2007 წლის 7 დეკემბერს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის შესაბამისად, ხ. ჯ-ოვი გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთისათვის. იმავე დღეს ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ხ. ჯ-ოვს აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა საექსტრადიციო პატიმრობა სამი თვის ვადით, რომელშიც ჩაითვალა მესტიის რაიონული სასამართლოს მიერ 2007 წლის 25 აგვისტოს შეფარდებული სამთვიანი პატიმრობიდან გამოყენებული 33 დღე.

2007 წლის 28 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის ბრძანების საფუძველზე ხ. ჯ-ოვის საქსტრადიციო პატიმრობა გაგრძელდა 2 თვით, 2008 წლის 4 აპრილამდე.

2008 წლის 31 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო კოლეგიის მოსამართლის ბრძანების საფუძველზე ხ. ჯ-ოვის საქსტრადიციო პატიმრობა გაგრძელდა 2 თვით 7 თვემდე, ანუ 2008 წლის 4 ივნისამდე.

2006 წლის 4 აპრილს ხ. ჯ-ოვი ბრალდებულის სახით პასუხისგებაში იქნა მიცემული რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 209-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 205-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 317-ე მუხლით, 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ე», „ჟ» და „ზ» ქვეპუნქტებითა და 222-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის გამო. რუსეთის ფედერაციის ნაღიკის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 2 მაისის ბრძანების საფუძველზე, ზემოაღნიშნულ ბრალდებებთან დაკავშირებით, ხ. ჯ-ოვს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა დაპატიმრება.

2006 წლის 10 აპრილს ხ. ჯ-ოვის მიმართ გამოცხადდა ძებნა, ხოლო იმავე წლის 19 აპრილს - სახელმწიფოთაშორისი ძებნა.

2007 წლის 12 აპრილს გამოტანილ იქნა ახალი დადგენილება ხ. ჯ-ოვის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 209-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 279-ე მუხლით, 205-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 317-ე მუხლით, 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ე», „ჟ» და „ზ» ქვეპუნქტებით, 30-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 226-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა» და „ბ» ქვეპუნქტებით, 226-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა» და „ბ» ქვეპუნქტებით, 166-ე მუხლის მე-4 ნაწილითა და 222-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის გამო.

აღნიშნული დადგენილებით შეივსო ხ. ჯ-ოვის მიმართ მანამდე არსებული ბრალდებები.

საქართველოს გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელ გ. ლ-ძის 2008 წლის 28 მარტის დადგენილებით დაკმაყოფილდა რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა და მიღებულ იქნა დადგენილება ხ. ჯ-ოვის, როგორც ძებნილი პირის, უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციის შესახებ, იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა შესაბამებოდა „ექსტრადიციის შესახებ» 1957 წლის ევროპული კონვენციით, „სამოქალაქო, საოჯახო და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ» მინსკის 1993 წლის 22 იანვრის კონვენციითა და საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ამასთან, ხსენებული დადგენილების მიხედვით, არ არსებობდა ხ. ჯ-ოვის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები.

აღნიშნული დადგენილებით ხ. ჯ-ოვის ექსტრადიციის უნდა მოხდეს რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 209-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ბანდიტიზმი, ე. ი. მოქალაქეებსა და ორგანიზაციებზე თავდასხმის მიზნით შექმნილ მყარ შეიარაღებულ ჯგუფში (ბანდაში) მონაწილეობა), 279-ე მუხლით (რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლის, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით შეიარაღებულ აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა), 205-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ტერორისტული აქტი, ე. ი. აფეთქება, ცეცხლის წაკიდება ან სხვაგვარი ქმედება, რომელიც აზინებს მოსახლეობას და ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანისა და სხვა მძიმე შედეგის დადგომის საფრთხეს, ჩადენილი ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე ზემოქმედების მიზნით, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, იარაღის გამოყენებით და რამაც სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია), 317-ე მუხლით (სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა სიცოცხლის ხელყოფა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით მათი კანონიერი საქმიანობისათვის ხელის შეშლის მიზნით, აგრეთვე აღნიშნული პირების ამგვარი საქმიანობის განხორციელებისათვის შურისძიების მიზნით), 30-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 226-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა» და „ბ» ქვეპუნქტებით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის გატაცების მცდელობა, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით), 166-ე მუხლის მე-4 ნაწილით (ავტომობილის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება გატაცების მიზნის გარეშე, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით) და 222-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის, მისი ძირითადი ნაწილების, საბრძოლო მასალების, ფეთქებად ნივთიერებათა და ასაფეთქებელი მოწყობილობების უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა და ტარება, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით.

2008 წლის 11 აპრილს საქართველოს გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებლის დადგენილება რუსეთის მოქალაქის -ხ. ჯ-ოვის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. ხ-შვილმა გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში და ითხოვა მისი გაუქმება იმ მოტივით, რომ რუსეთის სამართალდამცავი ორგანოების მუშაკები ხ. ჯ-ოვს მოეპყრობიან არაადამიანურად და მისი სიცოცხლე საფრთხის ქვეშ დადგება, ასევე არ არის გამორიცხული, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ გამოიყენონ სასჯელის უმაღლესი ზომა -სიკვდილით

დასჯა. ამასთან, რუსეთის ფედერაციის მხრიდან არ არსებობს იმის გარანტიები, რომ ხ. ჯ-ოვი ექსტრადიციის შემთხვევაში არ დაექვემდებარება წამებას, სასტიკ, არაადამიანურ მოპყრობასა და სასჯელს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 16 აპრილის დადგენილებით საქართველოს გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებლის 2008 წლის 28 მარტის დადგენილება ხ. ჯ-ოვის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შესახებ, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, დარჩა უცვლელად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 16 აპრილის დადგენილება რუსეთის მოქალაქის -ხ. ჯ-ოვის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. ხ-შვილმა გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.

ადვოკატი მ. ხ-შვილი კერძო საკასაციო საჩივრით ითხოვს ხ. ჯ-ოვის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შესახებ, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 16 აპრილის დადგენილების გაუქმებას, რათა ხ. ჯ-ოვი არ დაექვემდებაროს ექსტრადირებას რუსეთის ფედერაციაში. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის მიერ მოყვანილი ფაქტები, დაეყრდნო მხოლოდ 2008 წლის 28 მარტის დადგენილებას, რაშიც საკმაოდ ფართოდ არის საუბარი სამართლებრივ საფუძვლებზე, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 254-ე-260-ე მუხლებით, «ექსტრადიციის შესახებ» ევროპული კონვენციითა და «სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ» მინსკის 1993 წლის 22 იანვრის კონვენციით. ასევე საუბარია გარანტიებზე, რომლებსაც იძლევა ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფო, ამ შემთხვევაში -რუსეთის ფედერაცია. კასატორის მოსაზრებით, «ექსტრადიციის შესახებ» ევროპული კონვენციითა და «სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ» მინსკის 1993 წლის 22 იანვრის კონვენციით, ასევე საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით, კერძოდ, მე-6 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად: «არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული, დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის, აგრეთვე ის, ვინც ჩაიდინა ქმედება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება ან თუ ჩადენილი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯაა დაწესებული იმ სახელმწიფოში, რომელიც გადაცემას მოითხოვს».

დადგენილებაში მოყვანილია «ექსტრადიციის შესახებ» ევროპული კონვენციის მესამე მუხლი, რომლის თანახმად, პირი არ შეიძლება დაექვემდებაროს ექსტრადიციას პოლიტიკური ან მასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის. მართალია, არ არის ჩამონათვალი, თუ რომელი დანაშაულებია პოლიტიკური და დადგენილების ავტორიც იმას აღნიშნავს, რომ ეს შეფასებითია, მაგრამ აქვე განსაზღვრავს, რომ ხ. ჯ-ოვის მიერ ჩადენილი დანაშაული მიზნად ისახავდა პოლიტიკური შედეგების დადგომას. გარდა ამისა, ხ. ჯ-ოვი იძლევა ახსნა-განმარტებას, რომ იგი მონაწილეობდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში 2003-2004 წლებში. აღნიშნულ არჩევნებში გაიმარჯვა მათმა ლიდერმა ა. ზ-ევმა, რომელიც მოკლეს 2005 წლის მისში თავის სახლში, ასევე მოკლეს ერთ-ერთი ლიდერი - რ. ც-ევი 2004 წლის შემოდგომაზე, მას სასტიკად სცემეს და საავადმყოფოში გარდაიცვალა. 2004 წელს თავად ხ. ჯ-ოვიც არაერთხელ უსაფუძვლოდ დააპატიმრეს, მასზე და მის ოჯახზე ხელისუფლების მხრიდან ხორციელდებოდა ფიზიკური ზეწოლა, მისგან ითხოვდნენ პოლიტიკური შეხედულებების უარყოფას. ამდენად, ხ. ჯ-ოვის ქმედება სწორედ პოლიტიკურია და, შესაბამისად, იგი აღნიშნული მუხლისა და კონვენციის საფუძველზე არ უნდა იქნეს ექსტრადიციას დაქვემდებარებული.

შიდა კანონმდებლობისა და საერთაშორისო აქტების შემდეგი მოთხოვნაა ის, რომ ექსტრადიციის მომთხოვნ სახელმწიფოში სასჯელის სახით არ უნდა იყოს სიკვდილით დასჯა. მართალია, დადგენილებაში მითითებულია, რომ რუსეთმა ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 დამატებით ოქმს და იქ სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმია დაწესებული, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ სახელმწიფოში სიკვდილით დასჯა გაუქმებულია. მითუმეტეს, რომ რუსეთის ფედერაციის დღეს მოქმედი კონსტიტუციის მე-20 მუხლი კვლავ განიხილავს სიკვდილით დასჯის შესაძლებლობას გამონაკლის შემთხვევებში ფედერალური კანონით. ანალოგიური ცნებაა ჩადებული რუსეთის ფედერაციის სსკ-ის 44-ე მუხლის «ნ» პუნქტსა და 59-ე მუხლში. რუსეთს არ მოუხდენია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციის დამატებითი, მე-13 ოქმის რატიფიცირება, რაც გულისხმობს სწორედ სიკვდილით დასჯის გაუქმებას დათქმების გარეშე, რაც ჩვენთან განხორციელდა 2006 წლის 27 დეკემბრის საკონსტიტუციო ცვლილებით. ამ შემთხვევაში კონტრაქტის ხელისმომწერ ქვეყანას უფლება აქვს, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციის §2-ის მე-2 მუხლთან შესაბამისად, გარკვეული პირობების გათვალისწინებით, გამოიყენოს სიკვდილით დასჯა, მით უფრო, რომ ერთ-ერთი დანაშაული, რაშიც ხ. ჯ-ოვს ედება ბრალი, ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას.

«ექსტრადიციის შესახებ» ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულისათვის, რომლის მიზეზითაც დგება ექსტრადირების საკითხი, მისი მომჩივანი მხარის კანონმდებლობა ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას და თუ სასჯელის ამ უკიდურეს ზომას არ

ითვალისწინებს ადრესატი ქვეყნის კანონმდებლობა ან ეს ზომა აქ ზოგადად არ აღესრულება, მაშინ ექსტრადირება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ მომჩივანი მხარე წარუდგენს ამ უკანასკნელის ჩათვლით საკმარის გარანტიებს, რომ გადასაცემი პირის მიმართ არ იქნება გამოყენებული სასჯელის ეს უკიდურესი ზომა. დადგენილების თანახმად, რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურა იძლევა გარანტიას, რომ ხ. ჯ-ოვის ექსტრადიციის შემთხვევაში აღნიშნული პირი, საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნება დაცვის უფლებით. ამასთან, ხ. ჯ-ოვი არ დაექვემდებარება წამებას, სასტიკს, არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობასა და სასჯელს. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 12 აპრილის განაჩენი საქმეზე #36378/02 «შამაევი და 12 სხვა საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ»; რა შედეგები მოჰყვა ამ საქმეს, ესეც ცნობილია, თუმცა, ამ საქმესთან დაკავშირებითაც საკმაოდ ბევრს საუბრობდნენ გარანტიებსა და იმ ვალდებულებებზე, რაც რუსეთის სახელმწიფომ აიღო საკუთარ თავზე.

საკასაციო პალატის სხდომაზე ადვოკატმა მ. ხ-შვილმა ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები, მან მხარი დაუჭირა კერძო საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება, რასაც დაეთანხმა ექსტრადიციის დაქვემდებარებული პირი -ხ. ჯ-ოვი. კასატორის განმარტებით, მათი ორგანიზაციის მიერ გაგზავნილ იქნა შუალედური განაცხადი სტრასბურგის სასამართლოში და 2008 წლის 6 მაისს სასამართლოდან მიიღეს გადაწყვეტილება, სადაც მითითებულია, რომ სასურველია ხ. ჯ-ოვი არ იქნეს ექსტრადირებული რუსეთის ფედერაციაში ახალ ბრძანებამდე. ადვოკატმა მ. ხ-შვილმა აქვე აღნიშნა, რომ საქართველო არის აღნიშნული კონვენციის მონაწილე და მისთვის ეს მითითება შესასრულებლად სავალდებულოა. აღნიშნული ექსტრადიცია შეუსაბამოა ექსტრადიციის შესახებ ევროპულ კონვენციასთან და სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ მინსკის კონვენციასთან.

საკასაციო პალატის სხდომაზე ადვოკატმა მ. ხ-შვილმა წარმოადგინა რუსეთის ფედერაციიდან მიღებული რეკომენდაცია, ქართულ ენაზე ნათარგმნი, დამოწმებული ორიგინალი, სადაც საუბარია იმაზე, რომ ხ. ჯ-ოვი მისი რუსეთის ფედერაციაში ყოფნის დროს მონაწილეობას ღებულობდა არჩევნებში და მის ოჯახის წევრებზე ხორციელდებოდა ზეწოლა, მათ წინააღმდეგ იყენებდნენ კანონით აკრძალულ მეთოდებს. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს ზუსტად ეს ორგანიზაცია, რომელიც წერს, რომ ხ. ჯ-ოვის ოჯახის წევრებმა ამ ორგანიზაციას მიმართეს ასეთ ფაქტებთან დაკავშირებით და იძლევა რეკომენდაციას, რომ სასურველი არ არის ხ. ჯ-ოვი გადაცემულ იქნას, ვინაიდან არსებობს მაღალი ალბათობა იმისა, რომ იგი დაექვემდებაროს წამებას.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორებმა -გ. ბ-ძემ და ი. ჩ-აშვილმა ვრცლად მიმოიხილეს საქმის მასალები და იშუამდგომლეს გასაჩივრებული დადგენილების უცვლელად დატოვება.

პროკურორმა გ. ბ-ძემ აღნიშნა, რომ ბრალდების მხარე მხარს არ უჭერს დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ გარკვეულ მტკიცებულებებს. ადვოკატის განმარტებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება დროებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ, რაც საქართველოს ავალდებულებს დროებით თავი შეიკავოს ჯ-ოვის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციისაგან, რადგან არ მოხდეს აუნაზღაურებელი ზიანის მიღება. საქართველოს ვალდებულებაა ითანამშრომლოს სასამართლოსთან და შესაბამისად ბრალდების მხარე აღიარებს ამ გადაწყვეტილებას, თუმცა ეს გადაწყვეტილება არ გულისხმობს, რომ არ მოხდეს ჯ-ოვის ექსტრადირება რუსეთის ფედერაციაში. შესაძლებელია მიღებულ იქნას ექსტრადირების შესახებ გადაწყვეტილება, თუმცა არ აღსრულდეს მანამ, სანამ ევროპული სასამართლო საბოლოოდ არ შეაფასებს ემუქრება თუ არა საფრთხე ხ. ჯ-ოვს. თუმცა, მანამდე საქართველოს საერთო სასამართლოებს შეუძლიათ შეაფასონ, თუ რამდენად კანონიერია ხ. ჯ-ოვის ექსტრადირება რუსეთის ფედერაციაში საქართველოს შიდა კანონმდებლობასთან და საერთაშორისო ვალდებულებებთან მიმართებით.

რაც შეეხება წამებასთან დაკავშირებით დაცვის მხარის მიერ გამოთქმულ რისკს, დაცვის მხარე ყურადღებას ამახვილებდა მ-ოვის საქმეში არსებულ ფაქტებზე. რა თქმა უნდა საქართველოს გენერალური პროკურატურა აცნობიერებს საქართველოს ვალდებულებას არ მოახდინოს ექსტრადიცია იმ სახელმწიფოში, სადაც ექსტრადირებულ პირს შესაძლებელია ემუქრებოდეს წამების საფრთხე, ასევე აცნობიერებს, რომ წამება არის აბსოლუტური უფლება და ნებისმიერი რისკის არსებობისას სახელმწიფო ვალდებულია უარი თქვას პირის ექსტრადიციაზე, რაც ნაგულისხმევია ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლში და გაეროს წამების აკრძალვის შესახებ კონვენციის მე-3 მუხლში. იგივეს ადასტურებს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს საკმაოდ ერთგვაროვანი პრაქტიკა, თუმცა მაშინ, როდესაც საქართველოს გენერალური პროკურატურა იღებდა ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილებას, დაცვის მხარეს არ წარმოუდგენია კონკრეტული მტკიცებულება, რომ ჯ-ოვის მიმართ იარსებებდა წამების საფრთხე, ასევე არ არსებობდა რაიმე კონკრეტული ხელჩასაჭიდი მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ ჯ-ოვის მიმართ შესაძლებელი იყო განხორციელებულიყო წამების საფრთხე ან/და საერთოდ არსებობდა თუ არა წამების რისკი. საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მხედველობაში მიიღო ის პრინციპი, რომელიც დაადგინა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ მ-ოვი და ა-ოვი თურქეთის წინააღმდეგ საქმეში, სადაც სასამართლო გადაწყვეტილების 53-ე პარაგრაფში აღნიშნავს, რომ წამების რისკის შეფასებისას უნდა არსებობდეს

კონკრეტული მტკიცებულებები კონკრეტული ადამიანების მიმართ. აღნიშნული მტკიცებულებები არ არსებობდა მაშინ, როდესაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება ექსტრადიციის შესახებ.

ის მტკიცებულებები, რომელიც დაცვის მხარის მიერ იქნა წარმოდგენილი, არ ყოფილა წარმოდგენილი სულ თავიდანვე ჯერ მაშინ, როდესაც საქართველოს გენერალურ პროკურატურაში იხილებოდა საკითხი ჯ-ოვის ექსტრადიციის შესახებ და ასევე ამ მოცულობით, რა მოცულობითაც დაცვის მხარემ წარადგინა დოკუმენტები არ ყოფილა წარმოდგენილი საქმის სასამართლოში განხილვის დროს. შესაბამისად, კომპეტენტური უწყებების მიერ, ამ შემთხვევაში საქართველოს გენერალური პროკურატურისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ შეფასებულ იქნა, რომ ჯ-ოვის მიმართ არ არსებობდა წამების საფრთხე.

პროკურორის განმარტებით, დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმაოდ სერიოზულია, თუმცა სასამართლომ თავად უნდა შეაფასოს ისინი.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 16 აპრილის დადგენილება და საქართველოს გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებლის 2008 წლის 28 მარტის დადგენილება უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პირის უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციის საკითხის განხილვისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაძლო დამაბრკოლებელი გარემოება. საქართველოს გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებლის 2008 წლის 24 მარტის დადგენილებაში მიმოხილულია ყველა ის საექსტრადიციო მოთხოვნები, რომლებიც მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, «ექსტრადიციის შესახებ» ევროპულ კონვენციასა და «სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ» მინსკის კონვენციაში.

ამასთან, პალატას მიაჩნია, რომ დადგენილება მიღებულ იქნა ზემოთ მოცემული ექსტრადიციის მარეგულირებელი ყველა სამართლებრივი აქტის დაცვით. თუმცა, არსებითად მნიშვნელოვანია, სათანადოდ შეფასდეს ექსტრადიციის ყოველი გადაწყვეტილების შესაბამისობა გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის კონვენციის (შემდეგში – გაეროს წამების კონვენცია) მე-3 მუხლითა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის (შემდეგში – ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია) მე-3 მუხლით საქართველოს მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებთან.

ხსენებული საერთაშორისო ხელშეკრულებების მიხედვით, წამებისა და არაადამიანური მოპყრობისგან დაცვა წარმოადგენს ერთ-ერთ ხელშეუხებელ უფლებას, რომლისგან გადახვევაც უპირობოდ დაუშვებელია. გაეროს წამების კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით, პირის წამებისგან დაცვის ვალდებულება ასევე მოიცავს ვალდებულებას, არ იქნეს გაძევებული, დაბრუნებული ან ექსტრადირებული პირი სხვა სახელმწიფოში, სადაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ იგი იქ დაექვემდებარება წამებას.

იგივე ვალდებულება ასევე ნაგულისხმევია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლში, როგორც ეს განმარტებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ თავის ცალკეულ გადაწყვეტილებებში.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე *შოერინგ ვ. ტჰე უნიტედ კინგდომ* (ჯუდგმენტ ოფ 7 ჟულაი 1989, შერიეს A ნო. 161, §§ 90-91) დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლების ეფექტური დაცვის უზრუნველსაყოფად ხელშემკვრელ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ეკისრება პირის ექსტრადირებისათვის, თუ არსებობს ექსტრადიციის შუამდგომლობით მიმართველ სახელმწიფოში ხსენებული მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევის გათვალისწინებადი საფრთხე. სასამართლომ იმავე პრინციპს არაერთხელ მიმართა სხვა საქმეებშიც (*შადი ვ. Iტალა* (გრანდ ჩჰამბერ ჟუდგმენტ, 28 თებერვალი 2008, *აპლიკაციონ ნო. 37201/06* პარა. 125, *ვილვარაჯაჰ ანდ ოტჰერს*, ციტედ ახოვე, § 103; *შალაჰ შჰეეკჰ ვ. ტჰე ნეტჰერლანდს*, ნო. 1948/04, § 135, 11 თანაურე 2007).

განსხვავებით სხვა უფლებებისა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით დაცულ უფლებას აბსოლუტური ხასიათი აქვს, რაც უპირობოდ გამორიცხავს ამ უფლების დაცვისგან გადახვევის შესაძლებლობას (*შელმოუნ ვ. ფრანცე* [Gჩ], ნო. 25803/94, § 95, Eჩიდ 1999-V; *ალ-ადსანი ვ. ტჰე უნიტედ კინგდომ* [Gჩ], ნო. 35763/97, § 59, Eჩიდ 2001-XI). აღნიშნული ასევე გულისხმობს იმას, რომ მიმღებ სახელმწიფოში წამების რისკის არსებობის შემთხვევაში ექსტრადიციას არ ამართლებს საექსტრადიციო პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი (*შჰამაყეე ანდ ოტჰერს ვ. გეორგია ანდ ლუსსია*, ნო. 36378/02, § 335, Eჩიდ 2005-III), თუ მხედველობაში იქნება მიღებული ის ფაქტი, რომ ხ. ჯ-ოვს რუსეთის ფედერაციაში ბრალად ედება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის – ტერორიზმის ჩადენა.

გარდა ამისა, გადამცემი სახელმწიფო ვალდებულია, სათანადოდ გამოიკვლიოს და შეაფასოს მიმღებ სახელმწიფოში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ არსებული წამების საფრთხე (*შადი ვ.*



*იტალი* (გრანდ ჩჰამბერ ჟუდგმენტ, 28 თებერვალი 2008, *აპლიკაციონ ნო. 37201/06* პარა. 133). ასეთი საფრთხის შეფასებისას საკმარისი არ არის მიმღებ სახელმწიფოში არსებული ზოგადი მდგომარეობის შესწავლა. საჭიროა, სათანადო მტკიცებულებები იქნეს მოპოვებული კონკრეტულ საექსტრადიციო პირთან მიმართებით (*მამატკულოვ ანდ ასკაროვ ვ. თურკეყ* [GB], ნოს. 46827/99 ანდ 46951/99, § 73, ECHR 2005-I).

ამასთან, ხ. ჯ-ოვის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის საკითხის განხილვისას არ გამოკვლეულა ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან მიმართებით მიმღებ სახელმწიფოში არსებული მდგომარეობა წამების საფრთხის მხრივ, რამაც შეიძლება საქართველოს შეუქმნას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და გაეროს წამების კონვენციით აღებულ ზემოხსენებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის რისკი. იმავდროულად, პალატა მხედველობაში იღებს რა ზემოაღნიშნული ვალდებულების იმპერატიულობასა და ამ ვალდებულებით დაცული უფლების აბსოლუტურობას, მიიჩნევს, რომ საქართველოს გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებლის დადგენილება და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 16 აპრილის დადგენილება, რომლითაც საქართველოს გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებლის 2008 წლის 28 მარტის დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით ხ. ჯ-ოვის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შესახებ დარჩა უცვლელად, უნდა გაუქმდეს, ვინაიდან აღნიშნული დადგენილებების მიღებისას გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელსა და სასამართლოს არ უმსჯელიათ და სათანადოდ არ გამოუკვლევიათ ექსტრადიციის შემთხვევაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლისა და გაეროს წამების კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის საფრთხე და ამ საფრთხის რეალურობა.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ე» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

კერძო საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 16 აპრილის დადგენილება, რომლითაც უცვლელად დარჩა საქართველოს გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებლის 2008 წლის 28 მარტის დადგენილება ხ. ჯ-ოვის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შესახებ მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით.

გაუქმდეს ხ. ჯ-ოვის მიმართ, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, მისი რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შესახებ საქართველოს გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებლის 2008 წლის 28 მარტის დადგენილება.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.